საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 სექტემბერი **შაბათი** 2012 №225 (13 831) ფასი 80 თეთრი


# აუფ რა თამაში შალკეზე

## ამ უქმეებზე ევროპაში დიდი ფეხბურთია: ინგლისში: სიტი-არსენალი, გერმანიაში: შალკე-ბაიერნი



8

## ლელოს სტუმარი



12

# როგორ მოვხვდეთ NBA-ში?

თორნიკე შენგელიას მარტივი რეცეპტი



# შერმადიანი დებიუტი

### გიორგი მაქაბიში 15-ით იწყებს

**გიორგი შერმადინმა** თელ-ავივის „მაქაბის“ შემადგენლობაში პირველი თამაში ჩაატარა. დებიუტი უხვმოსავლიანი გამოუვიდა: 20 წუთში 15 ქულა (8-დან 7 საჯარიმო, 5-დან 4 ორქულიანი), 7 მოხსნა და 2 დაფარება მოაგროვა. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით იგი გუნდში საუკეთესო იყო (27), ხოლო 15 ქულა მაქაბის“ ბომბარდირობისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

თელავიველებმა გერმანიაში, ნიურნბერგის ტურნირზე რუსულ „ხიმკისთან“ 20-ქულიანი სხვაობით დათმეს - 60:80.

მომდევნო შეხვედრას შერმადინის თანაგუნდელები დღეს ადგილობრივ „ბროსესთან“ გამართავენ.

ვაჟა სიმონიშვილი

## ამბავი ამომავალი მზის ქვეყნიდან, ჩამავალი კარიერის შესახებ:



10

# კოკაიმ დოჰიოდან გადააბიჯა

ძიუდოს ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებში

# მოვერცხლილი კვარცხლბეკი უნდა მოიოქროს




10

ჭელიძემ (მარჯვნივ) ჰარუთინიანს კი მოუგო, მაგრამ ზედიზედ მეორე ევროფინალი წააგო

● პოზიცია



# იაშვილისა და ბურდულის გამოხმაურებები

## შეუშვებენ ცნობილ ფეხბურთელებს დემეტრაძესთან?



**ბოლო პერიოდში საქართველოში დატრიალებულმა მოვლენებმა გულგრილი არავინ დატოვა. კალიგულას შთამომავალთა ბნელი საქმიანობა გამოაშკარავდა და ხალხი უზომოდ აღშფოთებულია.**

პატიმრებსა და მათ ოჯახებს სოლიდარობა უცხოეთსა და საქართველოში მოთამაშე სპორტსმენებმა გამოუცხადეს. მათ თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **ლადო ბურდული** უერთდება: "მე არ ვარ პოლიტიკოსი, მაგრამ რაც ვნახეთ, გამაოგნებელი იყო. ასე ადამიანებთან მოქცევა არ შეიძლება, თუნდაც ის კრიმინალი იყოს. პატიმარი ისედაც დასჯილია, რადგან ციხეშია და თავისუფლება შეზღუდული აქვს. მასზე ზეწოლა და ღირსების აყრა არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. რაც ჩვენ ვნახეთ, ეს ერის სირცხვილია.

ამიტომაც მინდა, გვერდში დავუდგე პატიმრებსა და მათი ოჯახის წევრებს. ჩემი უახლოესი ნათესავებიდან და ძმაკაცებიდან ციხეში არავინ ზის, მაგრამ ძალიან კარგად მესმის მათი, ვინც ცხოვრებამ გისოსებს მიღმა დატოვა. ამ კადრების ხილვის შემდეგ ცუდად გავხდი. ჩვენ სამართლიანი და გაბრწყინებული საქართველო გვინდა, რომელიც პატიმრის უფლებას იცავს და არ აწამებს".

გასული წლის დასასრულს თურქული „ქაისერისპორის" მთავარმა მწვრთნელმა, **შოთა არველაძემ** თქვა, რომ პრეზიდენტის სახელზე დაიწერა მიმართვა გიორგი დემეტრაძის გათავისუფლების თაობაზე, რომელსაც საფეხბურთო სამყაროს ბევრი წარმომადგენელი აწერდა ხელს. წერილის ავტორებს ჰქონდათ იმედი, რომ პრეზიდენტი გაითვალისწინებდა გიორგი დემეტრაძის დამსახურებას და საახალწლოდ ამნისტიით გაათავისუფლებდა.

სამწუხაროდ, დემეტრაძე კვლავ პატიმარია, 2011 წლის მიწურულს კი მისმა ადვოკატებმა საჩივარი გაგზავნეს ევროსასამართლოში და, როგორც თავად გიორგი ამბობს, მისი ერთადერთი ოცნებაა, ამ ჯოჯოხეთს თავი დააღწიოს. იყო კიდეც ინფორმაცია, რომ დემეტრაძეზე ზეწოლა ხორციელდებოდა და მის შეურაცხყოფას ცდილობდნენ.

ლადო ბურდულს **გიორგი დემეტრაძის** შესახებაც დავეკითხეთ. აპირებენ თუ არა ფეხბურთელები ციხეში დემეტრაძის მონახულებას და რეალური მდგომარეობის გარკვევას?

„ჩემი გულისტკივილი ყველა პატიმარს ეხება და რა თქმა უნდა, მათ შორის, გიორგი დემეტრაძესაც. გიორგიზე ზეწოლასაც არ გამოვრიცხავ, რადგან ნანახი ბევრ ეჭვს გვიჩენს. ეს ადამიანები არ უნდა დაისაჯონ უფრო მეტად, ვიდრე ამას კანონი ითვალისწინებს. მათზე ზეწოლა და ღირსების აყრა არანაკლები დანაშაულია, ვიდრე ის, რისთვისაც გისოსებს მიღმა ხვდებიან".

გიორგი ჩემი მეგობარია, ერთად გვითამაშია ნაკრებში, ერთად ვჭამდით, ერთად ვცხოვრობდით და მასზე გული შემტკივა. ის არა მხოლოდ კარგი ფეხბურთელი, ძალიან გულიანი ადამიანიც არის. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ამაზე უნდა იფიქრონ, რომ ციხეში მოხვედრისგან არავინ არის დაზღვეული და პატიმრებს ადამიანურად მოექცნენ.

... ჩემი ოჯახის ადვოკატის დახმარებით ვცდილობდი შემეტყო, რა მდგომარეობაში იყო გიორგი და როგორ შემეძლო დავხმარებოდი. დიდი სურვილი მაქვს, მივმართო ფეხბურთელებს და თუ ეს შესაძლებელი იქნება, შევიდეთ ციხეში, მოვინახულოთ გიორგი და გავამხნევოთ" – ამბობს ბურდული.

პატიმართა ახლობლებს მხარდაჭერას უცხადებს „ბოხუმის" თავდამსხმელი **ალექსანდრე იაშვილიც**: "სამწუხაროდ, შორიდან მიხდება იმ ადამიანებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერა, ვინც ასეთ არაადამიანურ დღეში აღმოჩნდნენ. შეუძლებელია, იმ საზარელმა კადრებმა, რომლებიც, ალბათ, ჩვენი ქვეყნიდან სხვადასხვა მიზეზით გასულმა ყველა ქართველმა ნახა, არ შეგძრას და არ დაგაფიქროს იმ ტრაგედიის მიზეზებზე, რაც თურმე ციხეებში ხდება. ადამიანის უფლებების, პირველ რიგში - ღირსების შელახვა დაუშვებელია. სასტიკად უნდა დაისაჯოს ყველა, ვისაც ამ სამარცხვინო ვითარების შექმნაში მიუძღვის წვლილი, იდეოლოგებიდან - ჯალათებამდე. რაც მოხდა, ყველა ჩვენგანის, თითოეული ქართველის ღირსების გათელვაა. იმედი მაქვს, ეს გაუგონარი უმსგავსობა დაუსჯელი არ დარჩებ".

# შოთა არველაძე: დროულად გაათავისუფლონ ნაწამები ხალხი და გადაუხადონ კომპენსაცია

საქართველოში დატრიალებულ მოვლენებზე კომენტარი გააკეთა თურქული „ქაისერისპორის" მთავარმა მწვრთნელმა, **შოთა არველაძემ** და ხელისუფლებას გონივრული გადაწყვეტილება შესთავაზა.

"19 წელიწადია, საქართველოდან წასული ვარ და თუ თურქეთში რაიმეთი ვამაყობდი, ეს ჩემი ქართველობა იყო. ჩვენ სხვებისგან მართლაც განსხვავებულები ვართ, მაგრამ არა სიზარმაცით. მგონია, რომ ადამიანებისადმი სიყვარულით გამოვირჩევით. ჩვენს წარსულსაც რომ გადახედოთ, ისტორიას გმირობისა და სიკეთის მაგალითები სწორედ ასეთი თვისებების გამო შემორჩა.

ჩემს ვაჟს, 15 წლის გიორგის საქართველოში არ უცხოვრია და ვუხსნი ამ განსხვავებას, რატომ უნდა იამაყოს ქართველობით, ჩვენი სტუმართმოყვარეობით ა.შ. არსად სტუმარს სახლის კარს ასე არ უხსნიან, არსად მისი წასვლისას 50 წუთი არ ყოვნდებიან და არ უჭირთ მასთან შელევა. ჩვენსავით მეგობრობა, ნათესაობა და მეზობლობა არ იციან. თურქეთში, ჰოლანდიაში, გერმანიაში მილიონჯერ მაქვს მოყოლილი, რომ საქართველოში ახალგადმოსულ მეზობელს პირველივე დღეს შეუძლია პურის სათხოვნელად მოსვლა, როდესაც იქ 20 წელი მეზობელი შენთან არ მოვა. ამაში ხარ განსხვავებული, ეს კი დიდი ადამიანური სიყვარულია.

ტელევიზიებით გავრცელებული კადრები კი ჩვენს ამ თვისებებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და მიკვირს, როგორ შეუძლია ამ ხროვას ასეთი საქციელით ისიამოვნოს? და თუ ამას სათანადო პასუხი არ გაეცა და მხოლოდ ერთი-ორი ადამიანის დასჯით შემოვიფარგლეთ, მაშინ ჩვენს წარსულსა და მომავალს და იმას, რასაც ჩვენს შვილებს ვუხსნით, კითხვის ნიშანი კი არ დაესმება, მთლიანად წაიშლება.

სასამართლომ ყველა პატიმარს თავისუფლება შეუზღუდა და არ მიუსაჯა 200 როზგი, ტუბერკულოზით დაავადება, ხელის მოჭრა, შამფურით დამლის დადება, ცოცხით შეურაცხყოფა და გაუპატიურება. თუ აწამებენ, მაშინ კანონში ჩაწერონ - ზოგიერთ ქვეყანაში ჩამოხრჩობა ხომ დაკანონებულია.

შაბათ-კვირას პაემნებს სკაიპით რომ უნიშნავენ და ნალენჯიხელს სხვაზე ადრე ანახვებენ პატიმარს, ეს გამოსავალი არ არის. ადამიანს შიოდა, აკუმულატორი ან პური მოიპარა და ამის გამო აწამეს.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელმა ილაპარაკა, მალე ყველაფერი მოწესრიგდებაო. აქ დროზე არ შეიძლება ლაპარაკი, ყველაფერი უცებ უნდა შეიცვალოს, იგივე არასოდეს არც ერთი პატიმრის მიმართ რომ არ განმეორდეს. ხომ ხედავთ, საზოგადოება რა აღშფოთებული არის.

ასე რომ, ჩემი აზრით, პრობლემას კომპლექსური მიდგომა სჭირდება: თუ ვილაცებს ვადამდე ადრე ათავისუფლებენ, ამ სიებში ნაწამები ხალხიც შეიყვანონ. პრეზიდენტმა და დეპარტამენტის ახალმა თავმჯდომარემ ნაწამები ხალხის სია შეადგინონ, ისინი ვადამდე გაათავისუფლონ და მორალური და ფიზიკური ზიანისთვის კომპენსაცია გადაუხადონ, რადგან მისჯილზე მეტად დაისაჯნენ. ვისაც მკურნალობა სჭირდება, ეს ხარჯიც სახელმწიფომ აანაზღაუროს. ამ ყველაფერს კი კანონი უნდა ითვალისწინებდეს. თუ საჭიროა, ფონდი შეიქმნას და ხალხი დავუდგებით გვერდით.

ასეთი რამ მთელ მსოფლიოში მიღებულია. იმ ადამიანს გარეთ გამოსვლა მხოლოდ იმიტომ კი არ უნდა, რომ სუფთა ჰაერით ისუნთქოს, ადამიანად უნდა იგრძნოს თავი.

კადრებში ვნახე, პატიმარს ტანი რა დღეში ჰქონდა - საკეისროს შემდეგ ქალის ნაიარევი იმასთან შედარებით ლამაზად გამოიყურება. ასეთი ადამიანი ქუჩაში უნდა გააგდო და არაფრით დაეხმარო? ასე ძაღლებს არ ექცევიან.

თუ გვაქვს სახელმწიფო და მის თითოეულ მოქალაქეზე ვზრუნავთ, ასე უნდა მოვიქცეთ. და თუ პატიმრებზე გამოჩენილი მზრუნველობა მხოლოდ ფარსი და მოჩვენებითია, ამას მაინც ყველა დაინახავს" – ამბობს არველაძე.



● U19 ელიტრაუნდის სამზადისი

# კაჭარავამ მიუნხენელი თავდამსხმელი გამოიძახა

საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" შეკრება დაიწყო.

ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** შეკრებაზე 25 ფეხბურთელი გამოიძახა:

**ოთარ კაკაბაძე, ვაჟა მათიაშვილი, საბა ლობჟანიძე, გიორგი პაპუნაშვილი, ბუდუ ზივზივაძე (ყველა — „დინამო" თბილისი), გურამ სამუშია („ზესტაფონი"), ლევან გეგეჭკორი, პაპუნა ფონიავა (ორივე — „მერანი", მარტვილი), ნიკა სანდოხაძე, თემურ მარკოზაშვილი (ორივე —„ტორპედო", ქუთაისი), დაჩი ცნობილაძე, გაბრიელ თებიძე (ორივე —„მეტალურგი", რუსთავი), გიორგი გოროზია, ბაჩო მიქავა (ორივე —„ლოკომოტივი" თბილისი), ლაშა დვალი („ოლიმპი", თბილისი), ალექსანდრე ადამია, ირაკლი ლერკენაშვილი (ორივე —„გაგრა"), ბაჩო არაბული („საბურთალო", თბილისი), ავთო ენდელაძე („ზუგდიდი"), სულხან კახიძე („კოლხეთი", ფოთი), გიორგი აბურჯანია („დილა", გორი), ნიკა ნარმანია („რუხი", პოლონეთი), ნიკა კაჭარავა („ვანდიში", შვეიცარია), დავით უბილავა („ვიტ ჯორჯია"), ლუკა ჩხაიძე („მიუნხენ 1860", გერმანია)**



ჩვენი ყურადღება სიაში ორმა მოთამაშემ მიიქცია: **ირაკლი ლერკენაშვილი** კიევის "ობოლონში" თამაშობდა, მაგრამ ზაფხულში "გაგრაში" გადავიდა. კაჭარავამ "მიუნხენ 1860"-ის ასაკობრივი გუნდის 18 წლის თავდამსხმელი **ლუკა ჩხაიძეც** გამოიძახა, რომელიც ელიტ რაუნდის მატჩებამდე 19-წლამდელთა წინა თაობის მწვრთნელის, **ოთარ კორღალიძის** სიაშიც მოხვდა, მაგრამ საქართველოს მოქალაქეობის არქონის გამო, "ჯვაროსნებში" ვერ ითამაშა.

მიუნხენში დაბადებულ-გაზრდილი მოთამაშე თბილისში მალე ჩამოვა, ქართულ პასპორტს გადასცემენ, კაჭარავა კი დააკვირდება და შეაფასებს, გამოადგება თუ არა ნაკრებს.

19-წლამდელები ბაზაზე 30 სექტემბრამდე იქნებიან და ვარჯიშების პარალელურად, ქართულ კლუბებთან ტესტ-მატჩებსაც გამართავენ.

შეგახსენებთ, რომ ოქტომბრის ბოლოს, კაჭარავას გუნდი ხორვატიაში გაემგზავრება. მანამდე გუნდი დასკვნით საწვრთნელ შეკრებას გაივლის.

ხორვატიაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებს საქართველო ხორვატიის, აზერბაიჯანისა და ისლანდიის ნაკრებების წინააღმდეგ ჩაატარებს.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტუაცია

# ევროკომისია, გაზპრომი, პუტინი...

## რუსებმა ამ კომპოტში ჟორდანიაც ახსენეს
## ვიტესი 10 მილიონზე მეტს ელოდება

**მას შემდეგ, რაც არნემის "ვიტესის" პრეზიდენტი და მფლობელი მერაბ ჟორდანია გახდა, ამ პერიფერიულ ჰოლანდიურ კლუბს უკვე აქვს გარკვეული წარმატებები – წინა სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონატში მე-7 ადგილზე გავიდა და ამ ზაფხულს ევროპა ლიგის შესარჩევში ითამაშა, ამ დროისთვის კი "ვიტესი" ჰოლანდიის ჩემპიონატში ხუთი ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა, უკან ჰყავს მოტოვებული პსვ, "აიაქსი" და "ფეიენოორდი".**



ახლახან კი გაჩნდა ცნობა, რომ **მერაბ ჟორდანია** მოლაპარაკებას აწარმოებს რუსულ გიგანტ-კომპანია "გაზპრომ-თან". ეს ამბავი პირველად ჰოლანდიურ მედიაში გაჟღერდა, მერე კი რუსული გაზეთების და საიტების არცთუ მეორეხარისხოვანი თემა გახდა.

რატომ უნდა აძლევდეს ხელს "გაზპრომს" არნემის "ვიტესის" სპონსორობა? "ვიტესი" არ არის ტიტულოვანი კლუბი, მხოლოდ სიძველით თუ მოიწონებს თავს – 1892 წელს არის შექმნილი. მაშ, რაშია საქმე?

"გაზპრომი" ლონდონის "ჩელსის" ერთ-ერთი პარტნიორია, "ჩელსის" მფლობელი კი **რომან აბრამოვიჩია**, ვისთანაც მერაბ ჟორდანიას ახლო და კარგი ურთიერთობა აქვს. ამბობენ, რომ სწორედ აბრამოვიჩის დახმარებით აღმოჩნდა ჟორდანია არნემული კლუბის სათავეში.

ამ ვერსიას გაგრძელებაც აქვს. ევროკომისიამ "გაზპრომი" მონოპოლიაში დაადანაშაულა და ამ გიგანტურ კომპანიას იმიჯის გამოკეთება სურს, "ვიტესის" სპონსორობა კომერციული თვალსაზრისით ამ ეტაპზე დიდად მომხიბვლელი ვერ იქნება "გაზპრომისთვის", სამაგიეროდ გაჩნდება სოციალური პროექტი შუაგულ ევროპაში.

"გაზპრომი" უკვე არის ერთი საფეხბურთო კლუბის მფლობელი – სანკტ პეტერბურგის "ზენიტის" ძლევამოსილებას სწორედ ამ გიგანტის ფინანსური ზურგი განაპირობებს. გარდა ამისა, "გაზპრომი" ასპონსორებს სერბულ "ცრვენა ზვეზდას". აქ შესაძლოა პოლიტიკური მოტივიც იყოს, რუსეთი და სერბეთი ხომ მოკავშირეებად მიიჩნევიან, თუმცა ისიცაა, რომ "ცრვენა ზვეზდა" უსახელო გუნდად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

"გაზპრომი" შვიდი წლის განმავლობაში გელზენკირხენის "შალკეს" სპონსორი იყო და ყოველწლიურად ვესტფალელებს 10 მილიონ ევროს უხდიდა.

როგორც რუსულ მედიაში ვარაუდობენ, თუ "ვიტესსა" და "გაზპრომს" შორის შეთანხმება მოხდება, არნემული კლუბი უფრო მეტს მიიღებს ყოველწლიურად. "ვიტესი" ახლა გენერალური სპონსორის გარეშეა დარჩენილი, გუნდის მაისურს არანაირი კომპანიის სახელი არ ამშვენებს.

რატომ უნდა გადაუხადოს "გაზპრომმა" არარუსულ კლუბს მილიონები, როცა შეუძლია, რომ რუსეთში გაზიფიკაციით აითვისოს რეგიონები და დამატებითი შემოსავალი მიიღოს?

ევროკომისიამ "გაზპრომის" საქმის გამოძიება 4 სექტემბრიდან დაიწყო და თუ ამ გიგანტს დაუმტკიცებენ მონოპოლიას, ჯარიმის სახით 6-დან 10 მილიარდამდე ევროს აჰკიდებენ. ცხადია, "გაზპრომს" ის ურჩევნია, რომ ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილ ევროპულ ფეხბურთს დაეხმაროს, თანხა ჯერაც პერიფერიული ევროპული კლუბისთვის გამოიმეტოს და ევროკომისიის ვერდიქტზე რამენაირად იმოქმედოს. საკითხი პოლიტიზირებულია. რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** რამდენიმე დღის წინ განკარგულება გასცა, რომლის მიხედვითაც რუსეთის სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებს ეკრძალებათ ევროკომისიის გადაწყვეტილებების შესრულება რუსეთის მთავრობასთან შეთანხმების გარეშე.

ანუ, "გაზპრომი" მარტო არ არის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გაზზე მსოფლიო ფასი ეცემა.

რუსულ მედიაშიც ტვინის ჭყლეტა მიდის, რატომ უნდა აიკიდოს "გაზპრომმა" ჰოლანდიური, ჯერაც უსახელო კლუბი?

"მოსკოვსკი კომსომოლეცი" ყოველივე ამასთან დაკავშირებით ჰოლანდიური "ტვენტეს" რუს ფეხბურთელს, **დმიტრი ბულიკინს** დაუკავშირდა.

"ჰოლანდიაში მართლაც საუბრობენ "გაზპრომის" მიერ "ვიტესის" შესაძლო შეძენაზე, მიზეზად სხვადასხვა რამე სახელდება, ის კი ნაღდია, რომ "გაზპრომი" "ვიტესის" ყიდვას "ზენიტის" გასაძლიერებლად არ აპირებს. სხვათა შორის, "ვიტესის" მფლობელი კარგად იცნობს რუს ოლიგარქებს" – უთქვამს ბულიკინს.

ერთი სიტყვით, თბილისის "დინამოს" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ჟორდანია საკმაოდ მნიშვნელოვან მოლაპარაკებებშია ჩართული. თუ "გაზპრომი" ფულს "ვიტესისკენაც" გაისვრის, თქმა რად უნდა, რომ ეს ჟორდანიას აქტივშიც ჩაიწერება.

**დავით თავართქილაძე**

პირველი ლიგა

# ფანცხავა სამგურალში

იდეალური კლიმატის გამო, ადრე წყალტუბოში ხშირად ეწყობოდა სანაკრებო შეკრებები და საკონტროლო მატჩები. მრავალი ცნობილი მოთამაშის გამზრდელი "სამგურალი" კი დიდხანს იყო უმაღლესი ლიგის ბინადარი.

მაგრამ გუნდს ფინანსურად გაუჭირდა, გავერანდა სტადიონიც და ბაზაც, "სამგურალი" რეგიონულ ლიგაში ჩაიკარგა და საქართველოს საფეხბურთო რუკიდან წყალტუბო ლამის ამოიღეს.

ამჟამად "სამგურალი" პირველი ლიგის "ბ" ზონაში თამაშობს. კლუბში იმედიანად არიან, რადგან სასიკეთო ნაბიჯები გადაიდგა. ამის პირველი მანიშნებელი წყალტუბოს სტადიონის განახლების დაწყება არის. ვისაც ეს არენა უნახავს, დამეთანხმება, რომ მისი მოწესრიგებით, საქართველოს ერთი ძალიან კომფორტული სტადიონი შეემატება. მანამდე კი გუნდი, სავარაუდოდ, ქუთაისში ითამაშებს.

"სამგურალის" წევრთა კიდევ ერთი იმედი ის არის, რომ გუნდის დაფინანსება გაზარდეს. წყალტუბოელთა მთავარი მწვრთნელი სოხუმის "ცხუმის", ქუთაისის "ტორპედოსა" და რუსულ კლუბებში ნათამაშები **გიორგი გოგიაშვილი** გახლავთ.

გუნდს წლეულს მიზნად უმაღლეს ლიგაში გადასვლას არ სთხოვენ, მაგრამ ხუთეულში შესვლა, გაძლიერება და შემდგომისთვის უმაღლესზე დამიზნება კი ნამდვილად სურთ. თუმცა, საამისოდ აუცილებელი წინაპირობა კლუბის ბიუჯეტის გაზრდა უნდ იყოს.

გოგიაშვილმა წლეულს გუნდში ბევრი საინტერესო ფეხბურთელი მიიწვია, მათ შორის, წყალტუბოში გაზრდილი **ვახტანგ ფანცხავა**, რომელსაც უთამაშია "გაგრაში", ფრანგულ "ლე მანში", თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში.

"დინამოდან" წასვლის შემდეგ ეს ნიჭიერი თავდამსხმელი, რომელსაც საფრანგეთის "ლიგა 1"-შიც კი უთამაშია, უგუნდოდ დარჩა. ასე რომ, მისთვის "სამგურალში" თამაში ფორმის აღდგენისა და კარიერის გაგრძელების შანსია. ახლა თავდამსხმელი მთელი სერიოზულობით ემზადება და იმედოვნებს, რომ ზამთრამდე ფორმას აღიდგენს და რომელიმე ევროპულ კლუბში გადავა.

შევიტყვეთ, რომ ფანცხავას თურქეთის სუპერლიგის "ქარაბუქი" აკვირდება და იმედია, დიდ ფეხბურთს მალე დაუბრუნდება - **ზაზა ჯანაშიასავით** არასტანდარტული თავდამსხმელი ჯერ მხოლოდ 23 წლის არის და მისი ჩამოწერა საცოდაობა იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

**საფეხბურთო კლუბი „საბურთალო" და ამ კლუბის გენერალური დირექტორი კახა ჭუმბურიძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ხობის „კოლხეთის" ვეტერანი ფეხბურთელის**

**მელორ ზაქარაიას**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

# 1000 კვირის [illegible]

**დავით თავართქილაძე**

# ვისია, ვისია დილა ლამაზი?

როცა გადავწყვიტე, რომ ამერიკელებისგანაც მესწავლა ჟურნალისტიკა, მითხრეს, რომ ამ ხელობისთვის ცნობისმოყვარეობა ერთობ აუცილებელია.

მერე ისიც მითხრეს, რომ სიზუსტეც აუცილებელა, კულუარულ ინფორმაციებს თუ მიიტან გაზეთში, რომელსაც რომელიმე ოფიციალური პირი არ ადასტურებს, ნდობას დაკარგავ და შენ სტატიებს არავინ წაიკითხავსო.

იცი რას გეტყვით, ამერიკა პანამაში შევიდა და დაბომბა...

მერე რა, ეს ოპერაცია ძალიან მალე დასრულდა, ამერიკამ უცბად დატოვა პანამა.

ამერიკამ იაპონიაში ატომური იარაღი გამოიყენა...

აქ ჟურნალისტიკის სკოლაა და არა პოლიტკლუბი. და საერთოდ, ქართველებმა ალბათ არ იცით, რომ პოლიტიკაზე საუბარი ამერიკულ ოჯახებში და სხვაგან გამართულ წვეულებებზე უტაქტობაა.

ამერიკა მხარს უჭერს ისეთ რეჟიმებს, რომ...

ჩემო ძვირფასო მეით ( მატე), შენ ბნელი ხარ, საბჭოთა კავშირისა და რუსეთის იქით თუ რამე არის, ვერ წარმოგიდგენია - დისკუსიაში ქართველი თანაკურსელიც ჩაერთო.

ამერიკას ერიხ მარია რემარკიც კი აშარჟებდა, ისიც ბნელი იყო?

მაგ შენი ვითომდა ინტელექტით ვერაფერს დაგვიმტკიცებ. მე ყველაფერი ვიცი და არაფრის სწავლა არ მჭირდება, სწორედ ეს არის ტვინჩაცემენტებული ქართული მენტალიტეტი, ძვირფასო მეიტ.

იყო დრო, როცა ათას სისულელეზე ვკამათობდი, ოლონდაც მეგონა, რომ კამათის დროს ფაქტები და არგუმენტები იყო მთავარი და არა ის, ვინ უფრო აგრესიული იქნებოდა. კამათის დროს შეურაცხყოფის მიყენება თუ ჩხუბით დასრულდებოდა, არც ეს იყო განსაკუთრებული შემთხვევა. ქართველები საერთაშორისო ერი ჯერაც ვერ გავხდით – კამათში აგრესიულად დამარცხებულ თუ გამარჯვებულ მხარეს ასე ამშვიდებდა ერთი ჭკვიანი კაცი. სტუდენტობა კი მაინც ტკბილი და გემრიელი იყო.

ახლა კი ქვეყანა აფორიაქდა, სტუდენტები, რომლებზეც ზოგი ამბობდა, მხოლოდ სექსი და გრანტი აინტერესებთო, ქუჩაში გამოვიდნენ. ბევრი მითი დაიმსხვრა. მე კი ისევ საკუთარ ცნობისმოყვარეობას დავყევი და ვცადე გამეგო, ამ დროისთვის ვინ აფინანსებს გორის "დილას".

კულუარული წყაროები ერთს მიმტკიცებენ – "დილას" დაფინანსება "საქართველოს ბანკს" დაავალეს და ამ ბანკმაც უკვე გადაურიცხა კლუბს სოლიდური თანხაო. ცნობა მართლაც საინტერესოა, მანამდეც მომხდარა, რომ ღონიერ ბანკებს ქართულ საფეხბურთო კლუბებთან საქმიანი ურთიერთობა დაუჭერიათ და თუ "დილასაც" მართლა გამოუჩნდა ასეთი პარტნიორი, ეს ზოგადად კარგია ქართული ფეხბურთისთვის.

ვინაიდან ამ გორის "დილაზე" შეფობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა (თუ ისევ აქვს) აღებული, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე მხოლოდ "საქართველოს ბანკში" ვცადე ამ ინფორმაციის დაზუსტება-გადამოწმება. დავრეკე ამ ორგანიზაციაში და არ მითხრეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის მობილურის ნომერი. ბანკის პატივცემულ მოხელეს არ მოვეშვი, მაგრამ მაინც არაფერი გამომივიდა. რამდენიმე დღის მერეც დავრეკე და ისევ ვერ, ან არ დამაკავშირეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელთან. ცნობისმოყვარეობა დანებების უფლებას არ მაძლევდა. საბოლოოდ მაინც მივაღწიე რაღაც შედეგს – დაახლოებით "გაფუჭებული ტელეფონის" მექანიზმით მითხრეს, რომ საფეხბურთო კლუბი გორის "დილა" ამ ბანკის საკუთრება არ არის.

ვის დავუჯერო? "გაფუჭებული ტელეფონით" მოპოვებულ ინფორმაციას თუ კულუარებს, რომლებსაც ჩემთვის ტყუილი ჯერ არ უთქვამთ. იქნებ ჯობდა, რომ ამერიკელი ინსტრუქტორებისთვის დამეჯერა და საერთოდ არ დამეწერა ამ საკითხზე?

რა გაეწყობა, ყველა კითხვაზე ზუსტი პასუხი ალბათ არ არსებობს, მათ შორის იმაზეც, აძლევს თუ არა ფულს "საქართველოს ბანკი" გორის "დილას" და თუ აძლევს, რის საფუძველზე?

"დილას" ახალი მწვრთნელი ჰყავს და სადებიუტო შეხვედრაშიც წარმატებას მიაღწია. მანამდე "დილა" ხელმოცარული იყო საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატში, ალბათ იმიტომ, რომ ევროპის ლიგაზე ჯგუფში შესვლისთვის შმაგად იბრძოდა. იქიდან აქ უცბად გადმორთვა კი ძალიან ძნელია. "დილა" მეტეორივით შემოიჭრა მოწინავე ქართული კლუბების მარაქაში და იმედია, რომ საამისო სახსრები კვლავაც ექნება. "გაფუჭებულ ტელეფონს" კი როგორმე სხვაგანაც ვითამაშებთ.



საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. VI ტურის წინათქმა

# სამი ლიდერის ამოცანა და მთავარი ამბავი ზესტაფონში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ჩემპიონატის წინა ტურმა სატურნირო ცხრილში გარკვეული გადაადგილებები გამოიწვია და გამორიცხული არ არის, ცვლილებები დღევანდელი მატჩების შემდეგაც მოხდეს. ტურის ცენტრალური შეხვედრა ზესტაფონში გაიმართება, რამდენიმე ქალაქში კი ერთმანეთს უშუალო კონკურენტები დაუპირისპირდებიან, რაც უშელავათო ბრძოლის გარანტია უნდა იყოს.

22.09. განმუხური. 16:00
**ზუგდიდი–ჩიხურა**

22.09. მარტვილი. ცენტრალური. 16:00
**მერანი–სიონი**

22.09. რუსთავი. ფოლადი. 16:00
**მეტალურგი–კოლხეთი**

22.09. ქუთაისი. ცენტრალური. 18:00
**ტორპედო–დინამო (ბთ)**

22.09. ზესტაფონი. დ. აბაშიძე 18:00
**ზესტაფონი–დილა**
LIVE. რეპორტაჟი I არხზე

22.09. თბილისი. დინამო არენა. 19:00
**დინამო (თბ)–ვიტ ჯორჯია**



2012 წლის 26 მაისი. საქართველოს თასის ფინალი. დილა-ზესტაფონი

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო*

### წინა სეზონის გამოძახილი

გასულ სეზონს სკანდალები არ აკლდა, ყოველივეს "დაგვირგვინება" კი საქართველოს თასის ფინალი იყო, სადაც "დილამ" "ზესტაფონს" სძლია, გორელთა გამარჯვებას კი ჩრდილი არბიტრ **ლევან კვარაცხელიას** გაუმართლებელმა გადაწყვეტილებებმა მიაყენა.

თასის ფინალის გარდა, ეს გუნდები გასულ სეზონში ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ზესტაფონში გამართული ორივე მატჩი "დილამ" მოიგო. განსაკუთრებით სენსაციური პირველი წრის შეხვედრა იყო, რომელშიც შიდაქართლელებმა საქართველოს ჩემპიონი სტუმრად 4:0 გაანადგურეს. თანაც, იმ დროისთვის "დილას" არც გავლენიანი მფლობელი ჰყოლია და არც – სოლიდური ბიუჯეტი ჰქონია.

ეს მატჩები უკვე წარსულშია, დღევანდელ შეხვედრას კი მეტოქეები სულ სხვა მოცემულობით ხვდებიან – თუკი წინა სეზონში **ქიაბრიშვილი-ყიფიანის** დუეტის მიერ მომზადებული "ზესტაფონი" **შალამბერიძე-ცეცაძის** გაწვრთნილ "დილას" ებრძოდა, ახლა უკვე **მუჯირი-ზამთარაძის** ტანდემისა და **გიორგი დარასელიას** ტაქტიკური დაპირისპირების მომსწრენი გავხდებით.

ორივე გუნდის ახალ მწვრთნელებს ახალ პოსტზე დებიუტი წინა ტურში ჰქონდა. დებიუტი წარმატებული გამოდგა – "ზესტაფონმა" ფოთში "კოლხეთს" სძლია, "დილამ" კი გორში დაბრუნება თბილისის "დინამოს" დამარცხებით აღნიშნა და ცხრილის ფსკერს დაემშვიდობა.

დღეისთვის არც ერთი გუნდის სატურნირო მდგომარეობას სახარბიელო არ ეთქმის და, შესაბამისად, ორივეს ქულათა მარაგის სასწრაფოდ შევსება ესაჭიროება. დისკვალიფიკაციის გამო "ზესტაფონს" მცველები, **თემურ ლონლაძე** და **თევდორე გრიგალაშვილი** დააკლდებიან.

კარგია, რომ ამ მატჩს მხოლოდ "დავით აბაშიძეზე" მისული ქომაგები არ ნახავენ – შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერით ვიხილავთ.

წინა სეზონში "დილამ" "ზესტაფონს" რამდენიმე მწარე მარცხი კი აგემა, მაგრამ მათ ურთიერთშეხვედრათა ისტორიაში აშკარა უპირატესობა ფეროელთა მხარესაა – ჩემპიონატის ეგიდით ისინი 14-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და აქედან "ზესტაფონმა" 12 მატჩი მოიგო, "დილამ" კი – მხოლოდ ორი.

"ზესტაფონი" სრული შემადგენლობით ქუთაისს ეწვია, სადაც ბაგრატის განახლებული ტაძარი მოილოცა.

### დერბი მოკლებული ინტრიგით

იყო დრო, როცა "დინამოსა" და "ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირებებში საქართველოს ჩემპიონის ბედი ირკვეოდა. თბილისური დერბი ახლო წარსულში ჩვენი უმაღლესი ლიგის მშვენება იყო, დღეს კი დედაქალაქური კლუბებიდან ძველი ამბიციები მხოლოდ "დინამოს" შემორჩა, "ვიტ ჯორჯია" კი მხოლოდ უძლიერესთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ "დინამო არენაზე" გამარჯვებულის ვინაობა წინასწარ არის ცნობილი, მაგრამ ახლო წარსულისგან განსხვავებით, წყვილის უდავო ფავორიტი "დინამოა". გორში განცდილი მარცხით **დუშან უჰრინის** გუნდმა უდანაკარგო სვლა შეაჩერა და ერთპიროვნული ლიდერობა დაკარგა, დღეს კი მორიგი გამარჯვების შანსი აქვს.

თავის მხრივ, ვეტერინარები უბრძოლველად არაფერს დათმობენ. საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალში **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდმა "ლოკომოტივთან" დაძაბული ორრაუნდიანი ბრძოლა მოიგო და დღევანდელ მატჩს კარგი ფსიქოლოგიური განწყობით ხვდება.

### ლიდერობის შესანარჩუნებლად

ქულათა თანაბარი რაოდენობით საქართველოს ჩემპიონატს სამი ლიდერი ჰყავს, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობით პირველ საფეხურზე ქუთაისის "ტორპედოა". **გია გეგუჩაძის** გუნდს პოზიციების გამყარების შესანიშნავი შანსი აქვს – ბათუმის "დინამოსთან" საშინაო მატჩში "ტორპედო" ფავორიტია და ვნახოთ, შეძლებს თუ არა დაგეგმილი სამი ქულის მოპოვებას.

დღეისთვის უმაღლეს ლიგაში ორადორი გუნდია, რომელსაც გამარჯვება ჯერ არ მოუპოვებია – ბათუმის "დინამო" და ფოთის "კოლხეთი". მოვლენებს წინ არ უნდა გავუსწროთ, მაგრამ ორივეს რთული გასვლა აქვს და ნაკლებად წარმოსადგენია, ამ ტურის შემდეგ მათ გამარჯვებათა გრაფაში კვლავ ნული არ ეწეროს.

რუსთავის "მეტალურგს" სტაბილურობისთვის ჯერ არ მიუღწევია, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევ ძალად რჩება და თუ დღეს "კოლხეთს" აჯობებს, ლიდერთა ჯგუფს წინ დიდი სხვაობით გაქრის საშუალებას არ მისცემს.

თანალიდერი "ჩიხურა" ანაკლიაში "ზუგდიდს" სტუმრობს, სადაც უთუოდ მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევს. "ზუგდიდს" მიმდინარე ჩემპიონატში ჯერ მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვს, რაც ამჟამინდელი შემადგენლობის გუნდისთვის დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი არ უნდა იყოს. მოკლედ, ერთმანეთს ორი ამბიციური კლუბი დაუპირისპირდება და საინტერესოა, რომელი მათგანი შეძლებს ამ ტურის წინ დასახული ამოცანის განხორციელებას. "ჩიხურას" ყვითელი ბარათების ჭარბი რაოდენობის გამო ძირითადი მეკარე **გიორგი სომხიშვილი** ვერ დაეხმარება. იქიდან გამომდინარე, რომ "ტორპედოსა" და "დინამოს" დღეს გამარჯვების კარგი შანსი აქვთ, თანალიდერობის შესანარჩუნებლად "ჩიხურასაც" სამი ქულისთვის ბრძოლა მართებს, რაც საკმაოდ რთული იქნება.

მარტვილში კი "მერანი" საშინაო ტრადიციის გაგრძელებასა და მორიგი სამი ქულის მოპოვებას გეგმავს. "მერანი" და "სიონი" ერთმანეთის უშუალო კონკურენტები არიან, დღეისთვის ქულებიც თანაბარი რაოდენობით აქვთ და თუ რომელიმე მათგანმა გაიმარჯვა, საუკეთესო ექვსეულში მოხვედრის კარგ შანსს შეინარჩუნებს.

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები: გატ | ბურთები: გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 5 | 4 | 0 | 1 | 12 | 3 | 12 |
| 2 | დინამო (თბ) | 5 | 4 | 0 | 1 | 12 | 4 | 12 |
| 3 | ჩიხურა | 5 | 4 | 0 | 1 | 8 | 4 | 12 |
| 4 | მეტალურგი | 5 | 3 | 0 | 2 | 4 | 5 | 9 |
| 5 | ზესტაფონი | 5 | 2 | 1 | 2 | 5 | 3 | 7 |
| 6 | მერანი | 5 | 2 | 0 | 3 | 3 | 8 | 6 |
| 7 | ზუგდიდი | 5 | 1 | 3 | 1 | 3 | 2 | 6 |
| 8 | სიონი | 5 | 1 | 3 | 1 | 7 | 7 | 6 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 5 | 1 | 2 | 2 | 2 | 3 | 5 |
| 10 | დილა | 5 | 1 | 1 | 3 | 6 | 7 | 4 |
| 11 | დინამო (ბთ) | 5 | 0 | 2 | 3 | 2 | 9 | 2 |
| 12 | კოლხეთი | 5 | 0 | 2 | 3 | 1 | 10 | 2 |

ლეგიონერები

# ქულა დვალიშვილის გოლით

გუშინ ევროპის მოედნებზე ჩვენმა რამდენიმე ლეგიონერმა ითამაშა, რომელთაგანაც **ვლადიმერ დვალიშვილის** შედეგია გამოსარჩევი – ვარშავის "პოლონიას" ქართველმა ფორვარდმა დედაქალაქურ დერბიში "ლეგიას" კარი დალაშქრა.

"ლეგიასა" და "პოლონიას" მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა, დვალიშვილმა კი ანგარიში 29-ე წუთზე გახსნა. "ლეგიამ" წონასწორობა სამ წუთში აღადგინა და შეხვედრაში მეტი გოლი აღარ გასულა. დვალიშვილი, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იყო, 70-ე წუთზე შეცვალეს.

რუსეთის პრემიერლიგაში "კრასნოდარმა" "მორდოვია" მიიღო და მეტოქე 6:1 გაანადგურა. **ნუკრი რევიშვილი** "კრასნოდარის" 18-კაციან განაცხადშიც კი არ ყოფილა - ვერ გეტყვით, უკავშირდება თუ არა ეს ფაქტი წინა ტურში არადამაჯერებელ თამაშს. მასპინძელთა კაპიტანმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა** კი მოედანზე 90 წუთი გაატარა და პირველ ტაიმში ყვითელი ბარათი მიიღო.

იტალიის სერია B-ში "ემპოლიმ" "ტერნანას" უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა. **ლევან მჭედლიძე** მასპინძელთა განაცხადში არ შეუყვანიათ, **ირაკლი შეყილაძე** კი მოედანზე 75-ე წუთზე შევიდა. ამ დროისთვის მატჩის საბოლოო ანგარიში უკვე დაფიქსირებული იყო.

კვლავაც არ შემდგარა **მათე ვაწაძის** დებიუტი დანიურ "ორჰუსში". "ორჰუსი" გუშინ საკუთარ მოედანზე "სონდერისკეს" დაუპირისპირდა და ფრედ, 2:2 ითამაშა. **დავით სხირტლაძე** "ორჰუსის" სასტარტო შემადგენლობაში იყო და მე-80 წუთზე შეცვალეს, **დავით დევდარიანი** კი თამაშში 64-ე წუთიდან ჩაერთო.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**



ვლადიმერ დვალიშვილი (მარცხნივ)

იტალია. სერია A. IV ტურის წინ

# ალეგრი ბეწვის ხიდზე

## იუვე მორიგი ტრიუმფის მოლოდინში

**დღეს**

**პარმა-ფიორენტინა 20.00**

ტრავმა: ბიაბიანი, ამაური, სანსონე, სანტაკროჩე - აკვილანი, ელ ჰამდაუი, როკა.

**იუვენტუსი-კიევო 22.45**

ტრავმა: პეპე, პადოინი - პალოსკი, სკუიცი, ლუსიანო.

**ხვალ**

**სამპდორია-ტორინო 14.30**

**დისკვალიფიკაცია:** და კოშტა (სამპდორია).

**ტრავმა:** ჟუან ანტონიო, პოლი - სუჩი, ბირსა.

**ატალანტა-პალერმო 17.00**

**ტრავმა:** მარილუნგო, რადოვანოვიჩი, პერეირა პინტუ, კაპელი, კარმონა, პულუზო, ბიონდინი, სკელოტო - ჩეტო, სანსევერინო, ზაჰავი.

**ბოლონია-პესკარა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** პორტანოვა - ტერლიცი.

**ტრავმა:** რომანიოლი, სეველონი (პესკარა).

**კალიარი-რომა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** გუბერტი (რომა).

**ტრავმა:** კოსუ - ლობონტი, დოდო, ბრედლი, დე როსი.

**კატანია-ნაპოლი 17.00**

**ტრავმა:** კეკო - არონიკა.

**ინტერი-სიენა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ლარონდო, ვიტიელო, ტერცი, ბელმონტე (სიენა).

**ტრავმა:** კივუ, სტანკოვიჩი, მარიგა, მუდინგაი, ჯონათანი - კამპანიოლო.

**უდინეზე-მილანი 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ლაძარი (უდინეზე).

**ტრავმა:** ბადუ, ჰერლუ, მურიელი, დომიცი - ბონერა, რობინიო, პატო, შტრასერი, დიდაკ ვილა, მუნტარი.

**ლაციო-ჯენოა 22.45**

**ტრავმა:** ბროკი, რადუ, კონკო - როსი, ვარგასი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 9 |
| 2. ნაპოლი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| 3. ლაციო | 3 | 3 | 0 | 0 | 7-1 | 9 |
| 4. სამპდორია | 3 | 3 | 0 | 0 | 6-3 | 8 |
| 5. ინტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-3 | 6 |
| 6. ფიორენტინა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 7. რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 7-6 | 4 |
| 8. კატანია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-7 | 4 |
| 9. ტორინო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 3 |
| 10. მილანი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 11. ჯენოა | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 12. კიევო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 13. პარმა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 14 ბოლონია | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 3 |
| 15. ატალანტა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 2 |
| 16. კალიარი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| 17. უდინეზე | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |
| 18. პალერმო | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| 19. პესკარა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-9 | 0 |
| 20. სიენა | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | -4 |

**შენიშვნა:** *სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 4 - იოვეტიჩი (ფიორენტინა); 3 – პაცინი (მილანი), კლოზე (ლაციო), ერნანესი (ლაციო), მაქსი ლოპესი (სამპდორია).

სერია A-ს მეოთხე ტურს წინ ევრობატალიები უძღვოდა, სადაც იტალიურმა გუნდებმა მთლიანობაში უფრო წარმატებით ითამაშეს, ვიდრე წარუმატებლად. მართალია, ჩემპიონთა ლიგაზე "მილანმა", ევროპის ლიგაზე კი "ინტერმა" და "უდინეზემ" საშინაო შეხვედრები ვერ მოიგეს, მაგრამ სამაგიეროდ, "იუვენტუსმა", "ნაპოლიმ" და "ლაციომ" ჩაატარეს საკმაოდ კარგი მატჩები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არც ერთ იტალიურ გუნდს არ წაუგია და ეს მიუხედავად იმისა, რომ მაგალითად, ევროპის ლიგაზე სერია A-ს ბინადრები რბილად რომ ვთქვათ გადახალისებული შემადგენლობით გაისარჯნენ.

### კვალიარელა და ლუსიო ძირითადში

სერია A-ს მორიგი ტური ტრადიციულად ორ დღეზეა გაწერილი, დღეს კი ყურადღების ცენტრში "იუვენტუსი"-"კიევოს" პაექრობაა მოქცეული. "გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, ტურინელთა სამწვრთნელო შტაბი შეტევის წინა ხაზზე **მირკო ვუჩინიჩისა და ფაბიო კვალიარელას** ტანდემს გაამწესებს. დიახ, კვალიარელა ძირითადში მოიაზრება და ეს არც არის გასაკვირი, რადგან "ჩელსისთან" გასვლით პაექრობაში თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. სასტარტოში მოიაზრება **ლუსიო**, რომელიც დაცვის ცენტრში **ლეონარდო ბონუჩის** ადგილს დაიკავებს... ტრადიციულად, "იუვე" 3-5-2 ტაქტიკით გაირჯება, დანარჩენი კი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.

**იუვენტუსი-კიევო**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – ბარცალი, ლუსიო, კიელინი – ისლა, ჯაკერინი, პირლო, მარკიზიო, ასამოა – ვუჩინიჩი, კვალიარელა.

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – დაინელი, ცეზარი, იოკიჩი, სარდო – რიგონი, ჰეტემაი, ვაჩეკი – კრუსადო - პელისიერი, თერეუ.

### რომაელებს სარდინია ცუდად ახსოვთ

"რომას" სარეაბილიტაციოდ აქვს საქმე და ამის გაკეთებას სარდინიაზე შეეცდება. თუმცა, მიზნის მიღწევა იოლი არ იქნება, რადგან "კალიარი" საკუთარ მოედანზე ტრადიციულად ძნელად გასატეხი გუნდია. ამასთან, დედაქალაქელებს კარგად ემახსოვრებათ გასული სეზონი, როდესაც კუნძულზე გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდნენ. **ზდენეკ ზემანი** კბილებს ილესავს და აცხადებს, რომ მისი გუნდი მეტოქეს პირველივე წუთებიდან შეუტევს. რაც მთავარია, რომაელებს ფსიქოლოგიური ბარიერი აქვთ გადასალახი, რადგან როდესაც ორბურთიან უპირატესობას ამოგიქაჩავენ და დაგამარცხებენ, დიდია შანსი, საკუთარი თავის რწმენა დაკარგო. მოკლედ, სტუმრებმა ჯერ საკუთარ თავს უნდა აჯობონ და მერე მეტოქეს - ვნახოთ, რამდენად კარგად გამოუვათ ეს საქმე.

**კალიარი-რომა**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**კალიარი (4-3-3):** აგაცი – ფ. პიზანო, ასტორი, პერიკო, როსეტინი – ეკდალი, კონტი, ნაინგოლანი – რიბეირო, პინილია, საუ.

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი – პირისი, ბურდისო, კასტანი, ბალცარეტი – ტაჩტიდისი, პიანიჩი, ფლორენცი – ტოტი, დესტრო, ლამელა.

### შედგება რევანში?

ევროპის ლიგაზე "ნაპოლიმ" გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა, რაც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა როტაციის აუცილებლობით ახსნა. მოკლედ, **ვალტერ მაცარიმ გორან პანდევი, ედინსონ კავანი** და სხვა წამყვანი ფეხბურთელები დაასვენა და თქმა არ სჭირდება, რომ "კატანიასთან" პაექრობისთვის შემოინახა. მაცარიმ ისიც აღნიშნა, რომ კატანიაში თამაში მის გუნდს ყოველთვის უჭირდა და ამიტომ, მოახლოებულ შეხვედრაზე სრული კონცენტრაცია მართებთ. როგორც ჩანს, ვალტერს დღემდე მწარედ ახსოვს სიცილიაში განცდილი მარცხი, სადაც პრაქტიკულად დაესვა კიდეც წერტილი ნეაპოლელთა სასკუდეტო ამბიციებს. ის უკვე ვთქვით, რომ "ნაპოლი" გორან პანდევით და ედინსონ კავანით შეუტევს, სხვა წამყვანი ფეხბურთელებიც ძირითად შემადგენლობაში იქნებიან და ვნახოთ, შედგება თუ არა რევანში.

**კატანია-ნაპოლი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი – ალვარესი, სპოლი, ლეგროტალიე, მარკეზე – ალმირონი, ბიაჯანტი, ლოდი - ბარიენტოსი, ბერგესიო, გომესი.

**ნაპოლი (3-5-1-1):** დე სანკტისი – ბრიტოსი, კანავარო, კამპანიარო – მაჯო, ჯემაილი, ინლერი, ცუნიგა, ჰამშიკი – პანდევი – კავანი.

### გამარჯვება, თანაც შთამბეჭდავი...

"ინტერმა" "რუბინთან" სუსტი შეხვედრა ჩაატარა და იღბალს უნდა უმადლოდეს, რომ ქულა მაინც აიღო. ამიტომ, მილანელებსაც სარეაბილიტაციოდ აქვთ საქმე და შეეცდებიან, ეს "სიენასთან" შეხვედრაში მოახერხონ. მეტოქეც ისეთი ჰყავთ, თავიდანვე შეუტევენ და შეეცდებიან, შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვონ, რაც "ნერაძურისთვის" ფსიქოლოგიური კუთხითაც მნიშვნელოვანია. **ანდრეა სტრამაჩონი** 4-3-1-2 ტაქტიკაზე შეჩერდება და შეტევის წინა ხაზზე **დიეგო მილიტოსთან** ერთად **ანტონიო კასანოს** გაამწესებს. მათ უკან **ვესლი სნეიდერი** გაირჯება, რომელსაც ბოლო დროს მწვრთნელთან ურთიერთობა დაეძაბა და ეს მის თამაშზეც შესაბამისად აისახება. ჰოლანდიელი ვერ ბრწყინავს და საინტერესოა, გატეხავს თუ არა ნავსს "სიენასთან" ჭიდილში...

**ინტერი-სიენა**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ინტერი (4-3-1-2):** ჰანდანოვიჩი – ძანეტი, რანოკია, სამუელი, ნაგატომო – კამბიასო, პერეირა, გუარინი - სნეიდერი – კასანო, მილიტო.

**სიენა (3-5-2):** პეგოლო – ნეტო, ფელიპე, კონტინი - ანჯელო, ვერგასოლა, დელ გროსო, როზინა, დაგოსტინო – ზე ედუარდო, კალაიო.

### ალეგრის ბოლო შანსი?

"მილანი" კრიტიკის ქარცეცხლშია გახვეული და უდინეში სამი ქულის მოსაპოვებლად ჩადის. თუმცა, არც უდინელებს აქვთ უკან დასახევი გზა და შეეცდებიან, რომ ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვონ. მით უმეტეს, ევროპის ლიგაზე ფრიულელებმა წამყვანი ფეხბურთელები დაასვენეს და მთელი ძალებით ლომბარდიელებთან პაექრობისთვის ემზადებიან.

"გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, **ფრანჩესკო გვიდოლინი ანტონიო დი ნატალეს** ბრაზილიელ **ბარეტოს** შეუწყვილებს, მათ უკან კი შემდეგი ხუთეული იმოქმედებს: **ბასტა, პერეირა, პინცი, ვილიანსი, პარმერო.** რაც შეეხება "მილანს", შეტევის წინა ხაზზე **სტეფან ელ შაარავის** და **ჯამპაოლო პაცინის** ვიხილავთ. იტალიურ სპორტულ პრესაში ისიც ითქვა, რომ უდინური მატჩი **მასიმილიანო ალეგრისთვის** ბოლო შანსია - წაფორხილების შემთხვევაში, "როსონერის" მთავარმა მწვრთნელმა შესაძლოა პოსტი დატოვოს და ბუნებრივია, ეს ამ შეხვედრის დამატებითი ინტრიგაა.

**უდინეზე-მილანი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**უდინეზე (3-5-2):** პადელი – ბენეტია, დანილო, კოდა – ბასტა, პერეირა, პინცი, ვილიანსი, პარმერო – ბარეტო, დი ნატალე.

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – აბატე, მექსე, იეპესი, ანტონინი – ამბროზინი, ნოჩერინო, მონტოლივო – ბოატენგი – ელ შაარავი, პაცინი.

### პეტკოვიჩი: ტემპი არ დავაგდოთ!

"ლაციო" სეზონის სტარტს საკმაოდ კარგ ფორმაში შეხვდა - სერია A-ს პირველ სამ ტურში ცხრა ქულა აქვს მოგროვილი, ევროპის ლიგაზე კი "ტოტენჰემს" ლონდონში არ დაუთმო არაფერი. მოკლედ, "ბიანკოჩელესტეს" კარგი ტემპი აქვს აკრეფილი და სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას გუნდის მთავარი მწვრთნელი **ვლადიმირ პეტკოვიჩი:**

*"სამ დღეში ერთხელ თამაში იოლი არაა, მაგრამ ეს რეალობაა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ. ლონდონში ურთულესი მატჩი გადავიტანეთ, კვირას კი "ჯენოას" ვმასპინძლობთ და მორიგი გამარჯვების იმედი გვაქვს. მოხდება თუ არა შემადგენლობის როტაცია? - თუ დააკვირდებით, შემადგენლობა თითქმის ყველა შეხვედრაში იცვლება და გამომდინარე აქედან, როტაციის გარეშე არც აქამდე გავდიოდით ფონს. ძირითად შემადგენლობაში ის ფეხბურთელები იქნებიან, რომლებიც მოცემული მომენტისთვის საუკეთესო ფორმაში არიან. კარგი ტემპი გვაქვს აღებული და ასევე უნდა გავაგრძელოთ".*

"გაძეტას" ვარაუდით, რომაელთა რიგებში ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი **მიროსლავ კლოზე** იქნება, მის უკან კი ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი გაირჯება. დაცვაში ჩადგომას არც სტუმრები აპირებენ, და წესით, საინტერესო ჯახი უნდა შედგეს.

**ლაციო-ჯენოა**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლაციო (4-5-1):** მარკეტი – სკალონი, დიასი, ბიავა, კავანდა – გონსალესი, ლედესმა, ერნანესი, მაური, კანდრევა – კლოზე.

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – სამპირიზი, ბოვო, კანინი, ანტონელი – კუჩკა, იანკოვიჩი, სეიმური, ბერტოლაჩი – იმობილე, ბორიელო.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობენ, რომ მასიმილიანო ალეგრის უდინეში მხოლოდ გამარჯვება გადაარჩენს

ფიორენტინა

# მონტელა აკვილანის უფრთხილდება

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **ალბერტო აკვილანიმ** ტრავმა პრაქტიკულად მოიშუშა და უკვე ბურთთან ერთადაც ვარჯიშობს. ექიმთა დასკვნით, ალბერტოს კიდევ სამი-ოთხი დღე სჭირდება იმისთვის, რომ წვრთნებში სრულფასოვნად მიიღოს მონაწილეობა და ითამაშოს კიდეც. ამიტომ, "ფიორენტინას" გულშემატკივრებს იმედი გაუჩნდათ, რომ ალბერტო გუნდს შუა კვირას გასამართ პაექრობაში დაეხმარება, სადაც "ვიოლას" პრინციპულ მეტოქესთან, "იუვენტუსთან" უწევს პაექრობა... ამ საკითხზე კომენტარი ფლორენციელთა მთავარმა მწვრთნელმა **ვინჩენცო მონტელამ** გააკეთა:

*"ტიფოზთა სურვილის კარგად მესმის, მაგრამ სამწუხაროდ, "იუვენტუსთან" შეხვედრაში აკვილანი ვერ მიიღებს მონაწილეობას. შესაძლოა, იმ დროისთვის თავი კარგადაც იგრძნოს, მაგრამ მისი ჯანმრთელობის გარისკვა მაინც არ შეიძლება. მინიმუმ ერთი კვირა, ვარჯიშებზეც კი მსუბუქად დაიტვირთება, შემდეგ კი ვნახოთ... ალბერტო გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და მის ჯანმრთელობას უნდა მოვუფრთხილდეთ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



ალბერტო აკვილანი

გერმანია. ბუნდესლიგა. IV ტურის წინ

# შეუძლია შალკეს ბაიერნის გაჩერება?

## დაღლილი დორტმუნდი დაწნეხილ ჰამბურგს სტუმრობს

**გუშინ**

**ნიურნბერგი–აინტრახტი 1:2**

**დღეს**

**შალკე–ბაიერნი 17:30**

**ტრავმა:** ჰილდებრანდი - რედერი, კონტენტო, ალაბა, გომესი

**ვოლფსბურგი–ფიურტი 17:30**

**ტრავმა:** პილარი, პოლაკი, ჰელმესი - კრაუსი, ტირალა, ცილნერი, ფალი, ოჰანძა

**მაინცი–აუგსბურგი 17:30**

**ტრავმა:** ჰ. მიულერი, კლასნიჩი - იენტცში, ფილპი, ბა, კალსენ-ბრაკერი, კოო, მუსონა, მიოლდერსი

**ჰამბურგი–ბორუსია (დ) 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** რაიკოვიჩი (შიდა), ირაჩეკი (ორივე ჰამბურგი)

**ტრავმა:** აოგო, შარნერი, კაჩარი, რინკონი - ოვომოიელა, დუკში

**ფორტუნა–ფრაიბურგი 17:30**

**ტრავმა:** ბალოგუნი - როზენტალი

**ხვალ**

**ლევერკუზენი–ბორუსია (მ) 17:30**

**ტრავმა:** არავინ

**ვერდერი–შტუტგარტი 19:30**

**დისკვალიფიკაცია:** იბიშევიჩი (შტუტგარტი)

**ტრავმა:** ფანდერი, აიჩიჩეკი, ა. სტევანოვიჩი, პ. სტევანოვიჩი, თრაიბული, ილდირიმი - ჰუგლანდი, მოლინარო, რიუდიგერი, აუდელი, დიდავი

**ჰოფენჰაიმი–ჰანოვერი 19:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჰუშტი (ჰანოვერი)

**ტრავმა:** ვიზე, კრისი, იაისლე - შულცე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აინტრახტი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-4 | 12 |
| 2. ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 12-2 | 9 |
| 3. ჰანოვერი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 4. შალკე | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 5. ბორუსია (დ) | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 6. ნიურნბერგი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 7. ფორტუნა | 3 | 1 | 2 | 0 | 2-0 | 5 |
| 8. ფრაიბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-6 | 4 |
| 9. ბორუსია (მ) | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 10. ვოლფსბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-4 | 4 |
| 11. ვერდერი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 12. ლევერკუზენი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 13. ფიურტი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-5 | 3 |
| 14. მაინცი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 15. აუგსბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 16. შტუტგარტი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| 17. ჰამბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |
| 18. ჰოფენჰაიმი | 3 | 0 | 0 | 3 | 4-11 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 – თ. მიულერი (ბაიერნი); 2 – ჰუნტელაარი (შალკე), ლანიგი (აინტრახტი), მანჯუკიჩი (ბაიერნი), ა. მაიერი (აინტრახტი), შაჰინი (ფორტუნა), სობიეხი (ჰანოვერი).

**ბუნდესლიგა** უკვე მე-4 ტურში გვთავაზობს ერთ ისეთ მატჩს, რომელიც არა მარტო ამ ტურის, არამედ მთლიანად სეზონის ერთ-ერთ ყველაზე ლაზათიან დაპირისპირებად უნდა მივიჩნიოთ: დღეს „შალკე“ გელზენკირხენში მიუნხენის „ბაიერნს“ მასპინძლობს. უაღრესად საინტერესო იქნება „ლევერკუზენისა“ და „გლადბახის“ დერბი და უქულო „ჰამბურგისა“ და ჩემპიონი „დოტმუნდის“ დაპირისპირება ჩრდილოგერმანული კლუბის სტადიონზე, რომლის პუბლიკის წინაშე პირველად წარდგება რაფაელ ვან დერ ვაარტი. ხვალ ფელიქს მაგათი თავისი „ვოლფსბურგით“ ყოფილ გუნდს, „შტუტგარტს“ დაუპირისპირდება, „ჰამბურგის“ დარად უქულოდ მყოფი „ჰოფენჰაიმი“ კი ძალიან კარგ ფორმაში მყოფ, მაგრამ ჟაბოლჩ ჰუშტის გარეშე დარჩენილ „ჰანოვერს“ მიიღებს.

### კლასიკა გელზენკირხენში

„შალკესა“ და „ბაიერნის“ ჯახებს ინტრიგა არასდროს აკლდა, მაგრამ მას მერე, რაც გელზენკირხენული კლუბის მარგალიტი **მანუელ ნოიერი** მიუნხენში გადავიდა, ამ გუნდების დუელებს სიმძაფრე მოემატა. „შალკემაც“ და „ბაიერნმაც“ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული სტარტი აიღეს: გელზენკირხენელებმა „ოლიმპიაკოსს“ სტუმრად 2:1 მოუგეს, ხოლო ბავარიელებმა კი ასეთივე ანგარიშით „ვალენსია“ დაამარცხეს. „შალკეს“ სამი ტურის შემდეგ 7 ქულა აქვს და ფაქტია: **ჰუუბ სტევენსის** შეგირდები ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ ასპროცენტიანი შედეგის მქონე „ბაიერნმა“ ამ სეზონში ქულები პირველად სწორედ „არენა აუფ შალკეზე“ დაკარგონ.

თუმცა „შალკეს“ ჰოლანდიელ თავკაცს საკადრო პრობლემები აქვს: კითხვის ნიშნის ქვეშაა მთავარი დამრტყმელი ძალის, **კლაას-იან ჰუნტელაარისა** და წამყვანი საყრდენი ნახევარმცველის, **ჯერმაინ ჯონსის** ასპარეზობა. ისინი „ოლიმპიაკოსთან“ მატჩში დაშავდნენ და გუშინ სალამომდე უცნობი იყო, მოახერხებენ თუ არა დღეს მოედანზე გასვლას.

„ბაიერნში“ კი „ოქტობერფესტის“ მოახლოებასთან ერთად იდეალური განწყობაა, რადგან რეკორდმაისტერმა ბუნდესლიგა სამი მოგებით დაიწყო და ჩემპიონთა ლიგაშიც პირველი სამი ქულა (თანაც, უშუალო კონკურენტთან) მოიპოვა. ორი სეზონია, არაფერი მოგვიგია და რა საკვირველია, ყველანი დამშეულები ვართო, ამბობს **თომას მიულერი**, რომელიც ძალიან კარგ ფორმაშია (სამი გოლი ბუნდესლიგაში) და რომელიც **იუპ ჰაინკესმა** „ვალენსიასთან“ სასტარტოში არ გაამწესა. „დონ იუპს“ შემადგენლობა როტაციის საშუალებას აძლევს და „შალკესთანაც“ რამდენიმე ცვლილებაა მოსალოდნელი.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი - ჰიოვედესი, კ. პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი - ნოიშტედტერი, ჯონსი - ფარფანი, ჰოლტბი, დრაქსლერი (ან აფელაი) - ჰუნტელაარი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ბადშტუბერი - ხავი მარტინესი (ან ლუის გუსტავო), შვაინშტაიგერი - რობენი, თ. მიულერი, რიბერი - მანჯუკიჩი.

**შალკე:** თუ **ჯონსმა** ვერ ითამაშა, მას **ჰიოგერი** შეცვლის. გამორიცხული არაა, რომ სტევენსმა საყრდენ ნახევარმცველად **ნოიშტედტერის** გვერდით **ჰოლტბი** ათამაშოს, ხოლო გამთამაშებლად კი **აფელაი** ვიხილოთ.

**ბაიერნი:** ჰაინკესმა შეიძლება დაასვენოს **შვაინშტაიგერი** ან **მარტინესი** და ერთ-ერთის ნაცვლად **ლუის გუსტავო** ათამაშოს. საინტერესოა, ვინ იქნება გამთამაშებელი: **მიულერი** თუ **კროოსი**?

### რას მოიფიქრებს დესპოტი ფელიქსი?

ამბიციური „ვოლფსბურგი“, რომლისთვისაც სამი ტურის შემდეგ აქტივში მხოლოდ 4 ქულის ქონა დიდი ვერაფერი მიღწევაა, დებიუტანტ „ფიურტს“ (3 ქულა) მასპინძლობს და ფავორიტადაც მიიჩნევა. საინტერესოა რომელ ფეხბურთელებს გაამწესებს „მგლების“ თავკაცი **ფელიქს მაგათი** საყრდენ ნახევარმცველებად? პირველ ტურში მან **კნოხესა** და **შეფერის** წყვილი ათამაშა, მეორეში უპირატესობა **ჟოსუე**/შეფერის დუეტს მიანიჭა, მესამე ტურში კი საყრდენებად **კიაერისა** და **კალენბერგის** სახით ისეთი ფეხბურთელები გაამწესა, რომლებიც სეზონის წინ ჩამოწერილები ჰყავდა და მათი გაშვება უნდოდა.

როტაციაა მოსალოდნელი „ფიურტშიც“, რადგან თავდამსხმელებმა **ედუმ** და **სარარერმა** მწვრთნელ **მაიკ ბიუსკენსის** იმედები ვერ გაამართლეს, **აზემისა** და **ნიოთეს** სახით კი ბიუსკენსს ორი კარგი ალტერნატივა ჰყავს. „ფიურტის“ ფანების საყვარელი ფეხბურთელი **ჯერალდ ასამოა** ამბობს, ჩვენი პრობლემა თავდაჯერების არქონაა, ვერაფრით ვიჯერებთ, რომ დიდი გუნდების დამარცხება შეგვიძლიაო.




მანუელ ნოიერისთვის დღეს მნიშვნელოვანი მატჩია: ბაიერნთან ერთად ყოფილ კლუბ შალკეს ესტუმრება

„მაინცს“ და „აუგსბურგს“ თითო-თითო ქულა აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლა უკვე ორივე გუნდი ვალდებულია მოიგოს. წინა სეზონში ორივე დუელი აუგსბურგელებმა მოიგეს, რაც ამ გუნდის კიპერ **მოჰამედ ამსიფს** კარგ ნიშნად მიაჩნია - შარშან პირველი გამარჯვება სწორედ მაინცში მოვიპოვეთ და იმედია, ამჯერადაც ასე იქნებაო. მწვრთნელი **მარკუს ვაინცირლი** შეგირდებს სტილის შეცვლას და ბურთის მეტოქეზე ხშირად ფლობას სთხოვს. ტაქტიკური სქემის შეცვლას აპირებს „მაინცის“ თავკაცი **თომას ტუხელიც**, რომელიც 4-3-2-1-ზე უარს იტყვის და შეგირდებს 4-1-2-1-2-ით ათამაშებს, რაც ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ მაინცელები აქტიურად შეუტევენ. კითხვის ნიშნის ქვეშაა **რისსეს** ასპარეზობა.

### იხსნის ჰამბურგი საკუთარ რეკორდს?

როგორც მოსალოდნელი იყო, „ჰამბურგმა“ ახალი სეზონი კატასტროფულად დაიწყო - **ტორსტენ ფინკის** გუნდი სამი ტურის შემდეგ უქულოდაა. შესაბამისად, ჩრდილოელები უკვე უმძიმესი წნეხის ქვეშ არიან მოქცეულები და დღეს ჩემპიონი „დორტმუნდის“ სახით ურთულესი მეტოქე ჰყავთ. მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, ჰამბურგელთა თავკაცი ცდილობს პოზიტიურად იფიქროს და აცხადებს, „ბორუსიას“ დამარცხება შეგვიძლიაო. ფინკი დღეს წამყვან ნახევარმცველ **ირაჩეკს** ვერ გამოიყენებს - ჩეხი დისკვალიფიცირებულია.

დორტმუნდელები კი ამ შეხვედრას გადაღლილები, მაგრამ ძალიან კარგ ხასიათზე ხვდებიან - **იურგენ კლოპის** გუნდმა ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში „აიაქსი“ 1:0 დაამარცხა და სიკვდილის ჯგუფში სამქულიანი სტარტი აიღო. მოსალოდნელია, რომ კლოპი ისევ როტაციას მიმართავს და ცვლილებები პირველ რიგში ნახევარდაცვის წინა ხაზს უნდა შეეხოს, სადაც კლოპს მართლაც დიდი არჩევანი აქვს: **როისი, გიოტცე, ბლაშჩიკოვსკი, პერიშიჩი** და **გროსკროიტცი**. კითხვის ნიშნის ქვეშაა მეკარე **ვაიდენფელერისა** და საყრდენი **გიუნდოგანის** ასპარეზობა (ორივეს გრიპი აქვს).

„დორტმუნდს“ ბუნდესლიგაში 31-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და იმ სუპერ-რეკორდს უახლოვდება (ზედიზედ 36 მატჩი წაგების გარეშე), რომელიც სწორედ „ჰამბურგს“ ეკუთვნის! ამრიგად, ჰამბურგელებს ჩემპიონის დამარცხებით დღეს საკუთარი რეკორდის გადარჩენა შეუძლიათ.

### ფორტუნას გოლი ჯერ არ მიუღია

ელიტაში ალზევებული „ფორტუნა“ „ფრაიბურგს“ მასპინძლობს და რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, დიუსელდორფული კლუბი ერთადერთია ბუნდესლიგაში, რომელსაც გოლი ჯერ არ გაუშვია. *„მერჩივნა, ყველა მატჩში ბურთის ფლობის 90-პროცენტიანი მაჩვენებელი გვქონოდა, მაგრამ მეტოქეები ამის საშუალებას არ გვაძლევენ,“* - ორაზროვნად ამბობს „ფორტუნას“ თავკაცი **ნორბერტ მაიერი**. დიუსელდორფელი ფეხბურთელები მწვრთნელს ამ ოცნებას ვერც „ფრაიბურგთან“ მატჩში აუხდენენ - ბრაისგაუელებმა წინა ტურში „ჰოფენჰაიმთან“ შემტევი ფეხბურთი ითამაშეს და 5:3 მოიგეს. შესაბამისად, „ფორტუნას“ დაცვის ხაზს დღეს სერიოზული გამოცდა ელის.

### მძაფრი დერბი ლევერკუზენში

ევროპალიგის გამო კვირას სამი მატჩი გაიმართება, რომელთაგან ყველაზე საინტერესო „ლევერკუზენისა“ და მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ დერბია. ამ გუნდებს თავიანთი ფანებისთვის „ბოდიში აქვთ მოსახდელი“: „ლევერკუზენმა“ წინა ტურში დოტმუნდში უსიცოცხლოდ ითამაშა და 0:3 დამარცხდა, „გლადბახმა“ კი საკუთარ მოედანზე „ნიურნბერგთან“ 2:3 წააგო. ამ მატჩის შემდეგ მიონხენგლადბახელთა თავკაცმა **ლუსიენ ფავრმა** განგაშის ზარებს შემოჰკრა და ქომაგებისთვის გულის მოსაკლავი სიტყვები წამოსცდა - ამ სეზონში ალბათ გადარჩენისთვის ბრძოლა მოგვიწევსო. არადა, „გლადბახი“ ის გუნდია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა და ჯგუფურ ეტაპამდე ერთი ნაბიჯი აშორებდა. ამ მატჩში წაგებული ევროსაგზურების ზონასთან კავშირს დაკარგავს, მოგებული კი შევებით ამოისუნთქავს. წინა დერბი „გლადბახმა“ 2:1 მოიგო (გოლები: **კისლინგი; როისი, დე კამარგო**), იმის წინ კი ფრე 2:2 დაფიქსირდა (როისი, **ჰერმანი; რაინარტცი, შიურლე**).

### არც ვიზე, არც ჰუშტი

სატურნირო ცხრილს თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ „ჰოფენჰაიმსა“ და „ჰანოვერს“ შორის დღესდღეობით დიდი განსხვავებაა. ერთ მხარესაა გუნდი, რომელმაც სეზონი კატასტროფულად დაიწყო, ახალი სეზონის ოთხივე მატჩი წააგო (თასზე და ბუნდესლიგაში) და ბურთების სამარცხვინო შეფარდება (4:15) აქვს; სხვათა შორის, „ჰოფენჰაიმი“ არსებობის ისტორიაში პირველადაა ბუნდესლიგის ბოლო ადგილზე. „ჰოფეს“ მეტოქე ბრწყინვალე ფორმაში მყოფი, მაგრამ **ჟაბოლჩ ჰუშტის** გარეშე დარჩენილი „ჰანოვერია“. „წითლებმა“ 9 შესაძლოდან 7 ქულა აიღეს. უნგრელი შემტევი ნახევარმცველის არყოფნა **მირკო სლომკასთვის** სერიოზული დანაკლისია, რადგან ჰუშტიმ „ჰანოვერის“ ბოლო შვიდ გოლში უშუალო მონაწილეობა მიიღო, ახლა კი დისკვალიფიცირებულია, რადგან წინა ტურში მეორე ყვითელი ბარათი გოლის მაისურის გახდით ზეიმის გამო აუფრიალეს. „ჰოფენჰაიმს“ კი ტრავმის გამო **ტიმ ვიზე** დააკლდება - მეკარე, რომელმაც „ფრაიბურგთან“ წარმოუდგენელი შეცდომები დაუშვა. შესაბამისად, ეს „სოფლელებისთვის“ შეიძლება კარგიც იყოს.

საინტერესო უნდა გამოვიდეს „ვერდერისა“ (3 ქულა) და „შტუტგარტის“ (1) დაპირისპირებაც. **თომას შააფს სებასტიან პრიოდლის** სახით წამყვანი მცველი უბრუნდება, რომელმაც ბრემენული კლუბის სუსტი უკანა ხაზი უნდა გააძლიეროს. შტუტგარტელებს კი საკადრო პრობლემები აქვთ: მართალია, **სერდარ ტასკი** გამოჯანმრთელდა, მაგრამ, სამაგიეროდ, **ჰუგლანდი** და **მოლინარო** დაშავდნენ, **ვედად იბიშევიჩი** კი დისკვალიფიცირებულია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**







ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი: უბედური ტიმ ვიზე ტრავმირებულია, ბედნიერი ჟაბოლჩ ჰუშტი - დისკვალიფიცირებული

ესპანეთი. ლა ლიგა. V ტურის წინ

# ლა ლიგა კვდება!

## უდანაკარგო ბარსა ანდალუსიელებს დანაკარგებით ეგებება

**დღეს**

**სარაგოსა-ოსასუნა 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** ხ. ლორენტე, პუნიალი (ოსა)
**ტრავმა:** ობრადოვიჩი, პინტერი, ლოოვენსი (სარ)

**სელტა-ხეტაფე 20:00**

**ტრავმა:** ლუკასი (?, სელტა)

**ბეტისი-ესპანიოლი 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლონგო (ესპ)
**ტრავმა:** ჩიკა (?) - ს. გარსია, კოლოტო, მატიონი, ბაენა

**ბარსელონა-გრანადა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბენიტესი (გრა)
**ტრავმა:** მუნიესა, პიკე, აბიდალი, კუენკა, ინიესტა, პუიოლი - ლუსენა, იგპალო, რობერტო, რიკო, იებდა

**ხვალ**

**მალიორკა-ვალენსია 14:00**

**დისკვალიფიკაცია:** ნუნიეში (მალ)
**ტრავმა:** სანტოსი, ხიმენესი - პიატი, ალბელდა, ბანეგა, კანალესი, გაგო

**ლევანტე-სოსიედადი 18:00**

**ტრავმა:** აგირეჩე (?), ელუსტონდო, კასტრო (?), პრიეტო (?), პარდო (?), კადამურო (?)

**ატლეტიკო-ვალიადოლიდი 20:00**

**ტრავმა:** -

**ბილბაო-მალაგა 21:50**

**დისკვალიფიკაცია:** ხოაკინი (მალ)
**ტრავმა:** ანდერი, პერესი (?) - ბუონანოტე, ფერნანდესი, ბაპტიშტა

**ვალეკანო-რეალი 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** ფ. კოენტრაო (რეალი)
**ტრავმა:** -

**ზეგ**

**დეპორტივო-სევილია 23:30**

**ტრავმა:** კამუნიასი (?) - რეიესი, პეროტი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 0 | 12-3 | 12 |
| 2. მალაგა | 4 | 3 | 1 | 0 | 6-2 | 10 |
| 3. მალიორკა | 4 | 2 | 2 | 0 | 5-3 | 8 |
| 4. სევილია | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| 5. ატლეტიკო | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 6. ვალეკანო | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 7. ბეტისი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| 8. დეპორტივო | 4 | 1 | 3 | 0 | 7-5 | 6 |
| 9. ვალიადოლიდი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-3 | 6 |
| 10. სოსიედადი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-7 | 6 |
| 11. ვალენსია | 4 | 1 | 2 | 1 | 6-6 | 5 |
| 12. რეალი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-4 | 4 |
| 13. ხეტაფე | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 14. ლევანტე | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 15. ბილბაო | 4 | 1 | 1 | 2 | 8-12 | 4 |
| 16. სელტა | 4 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 3 |
| 17. სარაგოსა | 4 | 1 | 0 | 3 | 2-5 | 3 |
| 18. გრანადა | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| 19. ესპანიოლი | 4 | 0 | 1 | 3 | 7-10 | 1 |
| 20. ოსასუნა | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 |

**ბომბარდირები:** 6 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 4- ტომერ ჰემედი (მალიორკა), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 3 - არიც ადურისი (ბილბაო), გონსალო იგუაინი (რეალი), ხორხე მოლინა (ბეტისი).

**მადრიდის „რეალმა" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის I მატჩის ფანტასტიკურ სტილში მოგების შემდეგ ცოტა კი ამოისუნთქა, მაგრამ ლა ლიგაში ჯერაც სავალალოდ აქვს საქმე - ჟოზე მოურინიოს გუნდს 4 თამაშიდან მხოლოდ 4 ქულა აქვს. პორტუგალიელი მძიმედ კი იწყებს ხოლმე, მაგრამ ეს მეტისმეტია. ხვალ „სამეფო კლუბს" მცირე მადრიდული დერბი ელის „ელვებთან". აქვე გასახსენებელია, რომ „რეალი" ერთხელ უკვე დამარცხდა დერბიში ამ სეზონში - „ხეტაფესთან". დღეს ლიდერსა და უდანაკარგო „ბარსელონას" გაცილებით იოლი ამოცანა ელის - სტუმრად „გრანადა" ეწვევა, რომელსაც აქამდე მხოლოდ 2 ქულა მოუგროვდა და არა გვგონია, „კამპ ნოუზე" რამე შეიმატოს...**

### ექსპერტის აზრით

სანამ უშუალოდ ამ ტურის მოვლენებზე გადავალთ, ლა ლიგის მოყვარულთ ერთი საკმაოდ ცნობილი ფინანსური ექსპერტის მოსაზრებას გაგაცნობთ - **ხოსე მარია გაი** მიიჩნევს, რომ ლა ლიგა კვდება! მან შეისწავლა ხუთი მოწინავე ლიგის ფინანსური წლის შედეგები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მაშინ, როცა გერმანული ბუნდესლიგა და ფრანგული ლიგა 1 მომჭირნე პოლიტიკით სწორ დგას ადგანან, ესპანეთის ჩემპიონატი სტაგნაციას განიცდის. გაის თქმით, წინ მხოლოდ ორი კლუბი, „ბარსელონა" და „რეალი" მიდის, სხვები? სხვები კი იმავე სიტუაციაში არიან, როგორც, დავუშვათ, ხუთი წლის წინათ. *„პრიმერადივიზიონი წინ ვერ მიდის, პრიმერადივიზიონი მხოლოდ „ბარსელონა" და „რეალი" არ არის - მე თუ მკითხავთ, ესპანური ფეხბურთი კვდება. ეს ლიგა სხვებს უკვე 5 წლით ჩამორჩება. ქვეყნის სილატაკე და სტადიონები ამ ჩამორჩენის მთავარი მიზეზია"*, - აცხადებს ექსპერტი. აღსანიშნავია ისიც, რომ გაი ინგლისური პრემიერლიგის მოდელს მიუღებლად მიიჩნევს, სამაგიეროდ აქებს ფრანგულ და გერმანულ მოდელებს.

### არა პუიოლი, არც პიკე

დღეს „ბლაუგრანა" შეეცდება ლა ლიგაში ერთადერთ ქულადაუკარგავ გუნდად დარჩეს. **ტიტო ვილანოვას** გუნდმა ჩემპიონთა ლიგის სეზონის გახსნა, „სპარტაკთან" ურთულესი გამარჯვებით მოინელა, ახლა კი მოკრძალებულ ანდალუსიურ „გრანადას" მასპინძლობს. მასპინძლებს ორი ცენტრალური მცველის, **კარლეს პუიოლისა და ჟერარდ პიკეს** გარეშე მოუწევთ ბრძოლა. პიკემ „სპარტაკთან" კოჭი დაიშავა, ხოლო პუიოლმა - წინა ტურში მუხლი. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებთან მატჩში დაშავდა **ანდრეს ინიესტა**. ეს სამეული დიდი ძალაა და მათ გარეშე „ბარსას", წესით, უნდა გაუჭირდეს. სამაგიეროდ, ბრუნდება **ხორდი ალბა**, ხოლო დაცვის ცენტრში ღრიჭოს **ალექს სონგი** შეავსებს, რომელიც ამპლუით ნახევარმცველია. „გრანადას" ყველაზე სახიფათო ფეხბურთელი შემტევი **ანტონიო ფლორო ფლორესია**, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებდა, თუმცა ახლა მწყობრშია. სტუმრებს საკადრო პრობლემები ოხრად აქვთ, მართალია, **ბორხა გომესმა** დისკვალიფიკაცია მოიხადა, მაგრამ **იგპალო, ფრან რიკო, ჰასან იებდა, მანოლო ლუსენა** და მეკარე **რობერტო** ვერ ითამაშებენ. სწორედ რობერტოს ნაცვლად იჯდება სათადარიგოთა სკამზე **ხორხე სანჩესი**, რომლის ირგვლივაც „მარკამ" დიდი აჟიოტაჟი ატეხა - 19 წლის გოლკიპერი თურმე თვეში 100 ევროს იღებს გასამრჯელოს სახით.

„გრანადა", რა თქმა უნდა, **ლეო მესის** უნდა უფრთხოდეს, რომელიც ზეფანტასტიკურ ფორმაშია. თანაც, სწორედ მესიმ შეუსრულა ჰეთთრიკი ანდალუსიელებს ბოლო შეხვედრისას.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბარსელონა:** *ვალდესი - დანი ალვეში, მასკერანო, სონგი, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი - ტელიო, მესი, სანჩესი.*

**გრანადა:** *ტონიო - ნიომი, ლოპესი, გომესი, სიკეირა - ირინეი, მ. რიკო - ტორჯე, ორელიანა, ელ-არაბი - ფლორო ფლორესი.*

### დავეწიოთ რაიოს

**ჟოზე მოურინიო** კი გუნდს „რაიო ვალეკანოსთან" დაპირისპირებისთვის ამზადებს. ბედის, ირონიით „ელვებს" „რეალზე" 3 ქულით მეტი აქვთ. „რეალმა" არანაკლები ბრძოლა გამოიარა ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში (თუ მეტი არა) „მანჩესტერ სიტისთან" დაპირისპირებაში. „სამეფო კლუბმაც" დრამატულ ბრძოლაში მოიგო. თუკი „ბარსას" მესიმ უშველა, „რეალს", როგორც იქნა, **კრიშტიანო რონალდო** შეეხიდა. რომელიც აცხადებს, რომ „რეალში" უკვე ბედნიერად გრძნობს თავს. დაძაბული მატჩის მიუხედავად თითქოს, „რეალის" ბანაკმა ტრავმები აიცილა. **ჟოზე მოურინიოს** კვლავ არ ექნება **კოენტრაოს** იმედი, პორტუგალიელი მცველი ისევ დისკვალიფიცირებულია.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რაიო ვალეკანო:** *კობენიო - ტიტო, ამატი, კასადო - პიტი, ტრაშორასი, ფუეგო, ხოსე კარლოსი - დელიბაშიჩი, ლეო კარილიო, ლ. ბანგურა.*

**რეალი:** *კასილიასი - არბელოა, პეპე, სერხიო რამოსი, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია, მოდრიჩი, რონალდო - ბენზემა.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ბარსას გრანადასთან არც პუიოლი ეყოლება და არც - პიკე

საფრანგეთი. ლიგა 1. VI ტურის წინ


ეროვნული ბიბლიოთეკა

რუდი გარსიას გუნდი კრიზისშია

# ლიდერი, წესით, არ უნდა შეიცვალოს

**მონპელიე-სენტ ეტიენი 1:1**

**დღეს**

| | |
|---|---|
| ბასტია-პსჟ | 19:00 |
| ლორიანი-ნიცა | 22:00 |
| სოშო-ტრუა | 22:00 |
| ბრესტი-ვალანსიენი | 22:00 |
| რეიმსი-ნანსი | 22:00 |
| ტულუზი-რენი | 22:00 |

**23 სექტემბერი**

| | |
|---|---|
| ბორდო-აიაჩო | 16:00 |
| მარსელი-ევიანი | 19:00 |
| ლილი-ლიონი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 5 | 5 | 0 | 0 | 8-1 | 15 |
| 2. ლიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 11-4 | 13 |
| 3. ლორიანი | 5 | 3 | 2 | 0 | 11-6 | 11 |
| 4. პსჟ | 5 | 2 | 3 | 0 | 6-3 | 9 |
| 5. ბორდო | 5 | 2 | 3 | 0 | 5-3 | 9 |
| 6. ვალანსიენი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-3 | 8 |
| 7. ტულუზი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-5 | 8 |
| 8. სტ. ეტიენი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-6 | 7 |
| 9. რეიმსი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 10. ნიცა | 5 | 1 | 3 | 1 | 7-6 | 6 |
| 11. ლილი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-7 | 6 |
| 12. ბასტია | 5 | 2 | 0 | 3 | 7-12 | 6 |
| 13. ბრესტი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-10 | 6 |
| 14. მონპელიე | 6 | 1 | 2 | 3 | 7-9 | 5 |
| 15. აიაჩო | 5 | 2 | 1 | 2 | 3-5 | 5 |
| 16. ევიანი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-7 | 4 |
| 17. ნანსი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |
| 18. რენი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-9 | 3 |
| 19. სოშო | 5 | 1 | 0 | 4 | 4-9 | 3 |
| 20. ტრუა | 5 | 0 | 2 | 3 | 5-10 | 2 |

* აიაჩოს -2 ქულა

**ბომბარდირები:** 5 – იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 4 – ა. ტრაორე (ლორიანი); 3 – ობამეიანი (სტ. ეტიენი), ბარბოსა (ევიანი), ბენ იედერი (ტულუზი), მ. ბასტოი (ლიონი), ჟინიაკი (მარსელი), გომისი (ლიონი).

**საფრანგეთის ჩემპიონატის მეექვსე ტური, წინას მსგავსად, ისევ სამ დღეზე იქნება გაწელილი. პირველი მატჩი გუშინ გაიმართა "მონპელიესა" და "სენტ ეტიენს" შორის. ამ შეხვედრის ანგარიში ჩვენს გაზეთში შეგიძლიათ ნახოთ. ცენტრალური შეხვედრა კი კვირას არის დაგეგმილი: "ლილი" "გრანდ სტად ლილ მეტროპოლზე" "ლიონს" უმასპინძლებს...**

"პარი სენ-ჟერმენი" შაბათს კორსიკაზე "ბასტიასთან" სათამაშოდ ჩადის. პარიზელებმა სამშაბათს კიევის "დინამო" გაანადგურეს და ჩემპიონთა ლიგაში 8-წლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნება შთამბეჭდავი გამოუვიდათ. გუნდის ასპარეზობით **კარლო ანჩელოტიც** კმაყოფილი იყო: *"პირველი მატჩის მოგება ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით ბედნიერი იმის გამო ვარ, რომ საკმაოდ კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ, ეს ყველაფერი კი ჩვენს თავდაჯერებულობაზე კარგად მოქმედებს. "ლილის" და "ტულუზის" წინააღმდეგ დაცვაში ძალიან კარგად ვითამაშეთ, "დინამოსთან" კი უკვე შეტევაშიც შესანიშნავად გამოვიყურებოდით"* – განაცხადა ანჩელოტიმ, რომელმაც კიეველებთან თამაშში საუკეთესოდ **ჟერემი მენეზე** დაასახელა, მიუხედავად იმისა, რომ მას არ გაუტანია.

გუნდის და საკუთარი ასპარეზობით კმაყოფილი იყო **ზლატან იბრაჰიმოვიჩიც**: *"ჩვენ ამ მოგებით მთელ ლიგა 1-ს და ევროპას გავუგზავნეთ შეტყობინება. მთავარია, რომ ყურადღება ჯგუფიდან გასვლაზე გადავიტანოთ, არ აქვს მნიშვნელობა, პირველ ადგილზე გავალთ თუ მეორე, მთავარია პლეიოფში გავაღწიოთ. ამ მოგების გამო ღრუბლებში ფრენა არ უნდა დავიწყოთ, წინ კიდევ ხუთი ტურია"*.

პსჟ-ს მომდევნო მეტოქე არის "ბასტია", გუნდი, რომელიც ლიგა 1-ს 7-წლიანი პაუზის მერე დაუბრუნდა. კორსიკელებმა ჩემპიონატი კარგად დაიწყეს და ზედიზედ ორი მატჩი მოიგეს, მაგრამ ამას სამი წაგება მოაყოლეს. ახლა "ბასტია" 6 ქულით მე-12 ადგილზეა და სამი ქულით ჩამორჩება "პარი სენ-ჟერმენს", რომელსაც ორი ტურის შემდეგ 4 ქულით უსწრებდა. მასპინძელთა მწვრთნელი **ფრედერიკ ჰანტცი** იმედოვნებს, რომ ანჩელოტის გუნდის აღმავლობა არ გაგრძელდება და "ბასტია" თუნდაც ქულის მოპოვებას შეძლებს. წესით ამ შეხვედრაში ლიგა 1-ში **ტიაგო სილვას** დებიუტი უნდა შედგეს, რომელმაც პარიზელთა რიგებში პირველი თამაში უკვე ჩაატარა ("დინამოსთან") და გოლიც გაიტანა.

ჩემპიონატის ლიდერი "მარსელი" სახლში "ევიანს" მასპინძლობს და, რა თქმა უნდა, ფავორიტია. პროვანსელებს აქვთ შანსი, რომ ზედიზედ მეექვსე თამაში მოიგონ. საინტერესოა, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში 5 ტურის შემდეგ 100-პროცენტიანი შედეგი უკანასკნელად 1998/99 წლების სეზონში "ბორდოს' ჰქონდა, რომელსაც "მარსელის" ამჟამინდელი თავკაცი **ელი ბოპი** ედგა სათავეში. შუა კვირაში თამაში ლიდერსაც მოუწია: "ოლიმპიკი" ევროპის ლიგაზე სტუმრად "ფენერბაჰჩეს" ეთამაშა და მიუხედავად, იმისა, რომ ორბურთიანი სხვაობით აგებდა, **ვალბუენას** და **ანდრე აიუს** გოლების წყალობით სტამბულიდან ქულა წამოიღო.

"მარსელს" და "ევიანს" ლიგა 1-ის ისტორიაში სულ 2 მატჩი აქვთ ჩატარებული, რა თქმა უნდა, შარშან. "ველოდრომზე" "მარსელმა" **ლოიკ რემის** დუბლის წყალობით 2-0 მოიგო და დიდი შანსია შედეგი წელსაც ანალოგიური იყოს.

ტურის ცენტრალური მატჩი კი ლილში გაიმართება, სადაც "ლილი" "ლიონს" უმასპინძლებს. **რუდი გარსიას** გუნდმა ჩემპიონატი ცუდად დაიწყო. მასპინძლებს მხოლოდ 6 ქულა აქვთ და ლიდერ "მარსელს" უკვე 9 ქულით ჩამორჩებიან. ხასიათი საფრანგეთის ექსჩემპიონს ჩემპიონთა ლიგამაც ვერ გამოუკეთა, სადაც ფრანგები სახლში სენსაციურად დამარცხდნენ "ბატესთან". კიდევ ერთი ფეხის დაცდენა და "ლილს" შეუძლია ჩემპიონობაზე აღარც იფიქროს. გარსია რთული ამოცანის წინაშეა, რადგან მისი მეტოქე "ლიონია", გუნდი, რომელიც 13 ქულით მეორე ადგილზეა და ამ მომენტში "მარსელის" მთავარი კონკურენტია. შუა კვირაში **რემი გარდის** გუნდმაც ითამაშა – "ლიონმა" ევროპის ლიგაზე პრალის "სპარტას" უმასპინძლა და 2-1 მოუგო, გოლები **გომისმა** და **ლისანდრომ** გაიტანეს. "ლილს" შინ "ლიონთან" ბოლო 4 წელია არ წაუგია, მაგრამ თუ მასპინძლებმა ისე ითამაშეს, როგორც ბატე-სთან, ეს სასიამოვნო სერიაც დასრულდება.

**ტატო ბაციკაძე**

უცხოური ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა. V ტურის წინ

# ერთი დღის ორი დიდი თამაში

**დღეს**

**სუონსი-ევერტონი 15:45**

დისკვალიფიკაცია: ჩიკო (სუონსი)
ტრავმა: მონკი, ბარტლი, ტეილორი – იელავიჩი, გიბსონი

**ჩელსი-სტოკ სიტი 18:00**

დისკვალიფიკაცია: უილკინსონი (სტოკ სიტი)
ტრავმა: ტერი – ნესი

**საუთჰემპტონი-ასტონ ვილა 18:00**

ტრავმა: ჰოიველდი, კორკი, რიდერი – პეტროვი, გარდნერი, დანი, ოლბრაიტონი, კარატერსი

**ვესტ ბრომვიჩი-რედინგი 18:00**

დისკვალიფიკაცია: ოდემვინგე (ვესტ ბრომვიჩი)
ტრავმა: რიდი, ტომასი – რობერტსი, კებე, ფედერიჩი

**ვესტ ჰემი-სანდერლენდი 18:00**

ტრავმა: კოლინზი, კოული, კეროლი – ბერდსლი, როუზი, ჯონსონი, ბრაუნი

**უიგანი-ფულჰემი 18:00**

ტრავმა: ალკარასი – დეჟაგა, რუისი, რიჩარდსონი, დევისი, სენდეროსი, დიარა

**ხვალ**

**ლივერპული-იუნაიტედი 16:30**

ტრავმა: ლეივა, კოული – იანგი, რუნი, ევრა, სმოლინგი, ჯოუნსი

**ნიუკასლი-ნორვიჩი 18:00**

ტრავმა: ტიოტე, სიმპსონი, კრული, კოლოჩინი, ტეილორი, ვუკჩიჩი – ლაპინი, ბენეტი, უიტეკერი

**მანჩესტერ სიტი-არსენალი 19:00**

ტრავმა: რიჩარდსი, ნასრი – როსიცკი, უილშირი, ფრიმპონგი, სანია, შამახი, ფაბიანსკი, შჩესნი

**ტოტენჰემი-ქუინზ პარკი 19:00**

ტრავმა: პარკერი, ასუ ეკოტო, გომესი, კაბული – ფაბიო, მბია, ფერდინანდი, ჯონსონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-2 | 10 |
| 2. იუნაიტედი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-5 | 9 |
| 3. არსენალი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-1 | 8 |
| 4. სიტი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-6 | 8 |
| 5. სუონსი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-4 | 7 |
| 6. ვესტ ბრომვიჩი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 7. ევერტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 8. ვესტ ჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 9. ფულჰემი | 4 | 2 | 0 | 2 | 10-6 | 6 |
| 10. ტოტენჰემი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 11. ნიუკასლი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-6 | 5 |
| 12. სტოკ სიტი | 4 | 0 | 4 | 0 | 4-4 | 4 |
| 13. ასტონ ვილა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 14. უიგანი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 4 |
| 15. სანდერლენდი | 3 | 0 | 3 | 0 | 3-3 | 3 |
| 16. ნორვიჩი | 4 | 0 | 3 | 1 | 2-7 | 3 |
| 17. ლივერპული | 4 | 0 | 2 | 2 | 3-8 | 2 |
| 18. ქუინზ პარკი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-9 | 2 |
| 19. რედინგი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |
| 20. საუთჰემპტონი | 4 | 0 | 0 | 4 | 5-14 | 0 |

**ბომბარდირები:** 4 - მიგელ მიჩუ (სუონსი), რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 3 – კარლოს ტევესი (მანჩესტერ სიტი), სტივენ ფლეტჩერი (სანდერლენდი), დემბა ბა (ნიუკასლი), ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი)

## სიმპატიური გუნდების ჯახი

**"ევერტონს"** შარშან ერთი ნაბიჯი დააკლდა ევროთასებზე გასვლამდე. მისი ადგილი ევროპა ლიგაზე "ლივერპულმა" დაიკავა ლიგის თასზე გამარჯვების წყალობით. მიუხედავად ამისა, "ლურჯების" გამოსვლას მაინც წარმატებული ეთქმოდა. მერსისაიდელებმა წელს ძალიან კარგად დაიწყეს ჩემპიონატი, მაგრამ ბოლო ორ ტურში წაიფორხილეს. რაც შეეხება "სუონსის", უელსელებზე მხოლოდ დადებითის წერა შეიძლება. მიუხედავად ლიდერთა ჯგუფის ნასვლისა, "გედებმა" მშვენიერი სტარტი აიღეს, თუმცა დღევანდელი მეტოქისა არ იყოს, მე-3-4 ტურებში ფეხი მათაც დაუცდათ. მართალია, **მიკაელ ლაუდრუპის** გუნდი ძალზე სიმპათიურად გამოიყურება, მაგრამ თუნდაც "ლიბერთი სტედიუმზე" "ევერტონთან" მას ძნელად თუ მივიჩნევთ ფავორიტად. ასე ფიქრობენ ევროპელი ბუკმეიკერებიც. ჩვენი ლოგიკა ასეთია: პრემიერლიგას ყოველ წელს ჰყავს თითო ისეთი გუნდი, რომელიც მოულოდნელი შედეგებით ყველას თავბრუს ახვევს, მომდევნო სეზონში კი ძალები მხოლოდ პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის საბრძოლველად ჰყოფნის. შარშან ასეთი სწორედ "სუონსი" იყო. "წესით" მას წელს უფრო უნდა გაუჭირდეს.



არსენ ვენგერისა და რობერტო მანჩინის გუნდები ერთმანეთს V ტურის ცენტრალურ შეხვედრაში დაუპირისპირდებიან

## ერთი კალიბრის გუნდები

"ვესტ ჰემი" საკუთარ "ბოლეინ გრაუნდზე" მისივე კალიბრის გუნდს მასპინძლობს. "სანდერლენდი" ბოლო წლებში პრემიერლიგის საშუალო გაქანების კლუბებს შორის ირიცხება და საქმე წელსაც ძველებურად აქვს – ვერც ევროთასებისთვის იბრძოლებს და გავარდნაც არ დაემუქრება. უკეთესი პერსპექტივა არც "ჩაქუჩებს" აქვთ. მასპინძლებს სერიოზული საკადრო პრობლემები აქვთ – **ენდი კეროლის** თამაში გამორიცხულია, ხოლო **კარლტონ კოულის** - კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სამაგიეროდ, "შავ კატებს" ჰყავთ მწყობრში **სტივენ ფლეტჩერი**, ვინც ჯერჯერობით ამართლებს მასში გადახდილ უზარმაზარ (15 მილიონ ევროზე მეტი. რედ) ევროს.

## ტერიმ უნდა დაამტკიცოს

მართალია, "ჩელსი" "იუვენტუსთან" თამაშის მერე ცოტა დაღლილია, მაგრამ ლონდონელები ასეთი გრაფიკით ასპარეზობას რახანია შეჩვეულები არიან. შესაბამისად, არ გვგონია, რომ ამან გადამწყვეტი როლი ითამაშოს თამაშის მიმდინარეობაზე. აქ ერთი საკითხია: **ჯონ ტერიმ** ჩემპიონთა ლიგაში საშინლად ითამაშა. სწორედ კაპიტანი შეცდა "ქალბატონის" ორივე გოლისას, მაგრამ ტერი რისი ტერია, თუკი ასეთმა ჩავარდნამ დააძაბუნა? იმავე "იუვესთან" გაბრწყინების შემდეგ საინტერესოა, როგორ ითამაშებს პრემიერლიგაში ბრაზილიელი **ოსკარი**. „სტოკ სიტი" კერკეტი კაკალი ტრადიციულად მხოლოდ საშინაო დაპირისპირებებისას არის, ასე რომ, გვგონია, რომ მასპინძელი უპირობო ფავორიტია.

"წმინდანებს" აქამდე 4-დან 4 თამაში აქვთ წაგებული და წესით, "ასტონ ვილასთან" ხელი უნდა გამოილონ. მით უფრო, რომ "საუთჰემპტონს" ზედიზედ მოუხდა გრანდებთან დაპირისპირება და "არსენალის" გარდა ბრძოლა ყველას გაუმართა. ჩვენი აზრით, დიდი შანსია, მეტოქეებმა ქულა გაიყონ. ყოველ შემთხვევაში აშკარა ფავორიტის დასახელება შეუძლებელია.

"უიგანი" წელს დაცვაში ძალიან ცუდად თამაშობს, „ფულჰემში" პირიქით, თავდასხმა გამოირჩევა. ლონდონელებს წინა ხაზი ყველაზე უკეთ აქვთ დაკომპლექტებული და ეს გასაკვირი არცაა. ასე რომ, მიგვაჩნია, რომ სტუმარს სამი ქულის აღების მშვენიერი შანსი აქვს. მთავარია, უკანასკნელი ტრადიციულად დაცვამ არ დაალალატოს.

ალბათ არავის ეწყინება თუკი დავწერთ, რომ "ვესტ ბრომვიჩისა" და "რედინგის" მატჩი ყველაზე ნაკლებ ყურადღებას იქცევს. დიდხანს ვიფიქრეთ და მივხვდით, რომ სათქმელიც თითქმის არაფერი გვაქვს გარდა იმისა, რომ უფრო მასპინძელთა გამარჯვებას ველოდებით.

"ნიუკასლი" "ნორვიჩთან" დაპირისპირებაში აშკარა ფავორიტი რომ არის, ალბათ დავა-კამათის საგანი არ უნდა იყოს. მით უფრო, რომ "კაჭკაჭებს" პირველი ტურის მერე მოგება არ ღირსებიათ და ამჟამად იმ ადგილზე იმყოფებიან, რომელიც მათ ამბიციებს არ შეესაბამება. „სენტ ჯეიმს პარკზე" "იადონები" განწირულები არიან. მართალია, **დემბა ბამ** კლუბთან ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი თქვა, მაგრამ არ გვგონია, **ალან პარდიუმ** თავს იმის უფლება მისცეს, წინა ტურის გმირი ისევ სათადარიგოთა შორის გაამწესოს.

"ნიუკასლისა" არ იყოს, "ქუინზ პარკთან" საშინაო დაპირისპირებაში სამი ქულის ულაპარაკო პრეტენდენტებად მიგვაჩნია "ტოტენჰემი". მხოლოდ ლონდონურ დერბიში კი არა, **მარკ ჰიუზის** გუნდს სეზონის ბოლომდე დააკლდება ვეტერანი თავდამსხმელი **ენდი ჯონსონი**, ვისაც მუხლის ჯვარედინი იოგები აქვს გაწყვეტილი. "დეზები" აუცილებლად დაუბრუნდებიან ლიდერთა ჯგუფს.

## გემრიელი ლუკმები ბოლოს

დაბოლოს, მივადექით მე-5 ტურის ორ უმთავრეს დაპირისპირებას. "ლივერპული"-"მანჩესტერ იუნაიტედის" მატჩზე წინა დღეებში უკვე შემოგთავაზეთ მასალა და ახლა უბრალოდ შეგახსენებთ: ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის **დევიდ კემერონის** მიერ შექმნილმა დამოუკიდებელმა საგამოძიებო კომისიამ დაადგინა, რომ 1989 წლის აპრილში "ჰილსბოროს" ტრაგედიაში "ლივერპულის" ფანები არ იყვნენ დამნაშავენი. შესაბამისად, მათი ერთგვარი რეაბილიტაციაც მოხდა. "წითლები" სწორედ ამის აღნიშვნას აპირებენ. "იუნაიტედისგან" მათ ხელშეწყობის გარანტიები მიიღეს. "ენფილდზე" დიდი ფეხბურთი ერთგვარად ჩრდილშია მოქცეული. უშუალოდ თამაშს რაც შეეხება, "იუნაიტედისგან" განსხვავებით "ლივერპული" დასვენებულია, რადგან "იანგ ბოიზთან" ევროპა ლიგაზე **ბრენდან როჯერსმა** მთლიანად დუბლშემადგენლობა გაიყვანა. ტრიბუნების განსაკუთრებული მხარდაჭერის პირობებში მასპინძელმა გუნდმა მინიმუმ არ უნდა წააგოს, თუმცა ასე რომც მოხდეს, არ გაგვიკვირდება.

რაც უნდა დიდი ინტრიგა ახლდეს "ლივერპული"-"იუნაიტედის" შეხვედრას, სუფთა სატურნირო თვალსაზრისით ტურის ცენტრალური შეხვედრა "მანჩესტერ სიტი"-"არსენალია". ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი ხომ მესამეადგილოსანს მასპინძლობს. ორივე გუნდმა შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა, ასე რომ, ამ მხრივ მდგომარეობა თანაბარია. "სიტიმ" "რეალთან" ბოლო წუთებში ორი გოლი გაუშვა და წააგო, "არსენალმა" კი ცუდი თამაშით, მაგრამ "მონპელიესთან" გასვლაზე იმარჯვა. ხვალინდელ თამაშზე **არსენ ვენგერმა** ვრცლად ისაუბრა საკლუბო ტელეარხთან ინტერვიუში. ფრანგი სპეციალისტის კომენტარს აქვე გთავაზობთ: *"სიტისთვის" ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში შარშანდელს აქეთ ყველაფერი შეიცვალა, რადგან ისინი მოქმედი ჩემპიონები არიან. ამ შედეგის გამეორება ხშირად უფრო რთულია, ვიდრე პირველად მიღწევა, რადგან ბევრად უფრო მეტ კონცენტრაციას მოითხოვს გუნდისგან. შემიძლია ვთქვა, რომ "ეტიჰადზე" გასამართი შეხვედრისთვის საუკეთესოდ ვართ მომზადებულები. ბოლო შეხვედრაში 1:0 ვიმარჯვეთ (**მიკელ არტეტას** გოლით. რედ), მაგრამ მაშინ წარმატების შანსი ორივე გუნდს თანაბრად გვქონდა. ორი ასეთი დონის გუნდის დაპირისპირება ყოველთვის საინტერესო საყურებელია. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ამჟამინდელ შემადგენლობას ეყოფა სათამაშო კლასი საიმისოდ, რომ "სიტის" სერიოზული პრობლემები შეუქმნას".*

ამბები

## მოლაპარაკებები დაიწყო

"ტელეგრაფის" ინფორმაციით, "ლივერპულმა" **დანიელ აგერს** თანამშრომლობის გახანგრძლივება შესთავაზა. 27 წლის დანიელ მცველს მოქმედი ხელშეკრულება 2014 წლის ივნისში ეწურება. მოლაპარაკებების პირველი რაუნდი უკვე ჩატარდა. ალბათ გახსოვთ, რომ "მანჩესტერ სიტი" მთელი ზაფხულის განმავლობაში ცდილობდა ფეხბურთელის გადაბირებას, მაგრამ "ეტიჰადზე" გადასვლა თავად აგერმა არ ისურვა, განაცხადა რა, რომ "ენფილდზე" მას ყველაფერი აქვს საიმისოდ, რომ თავი ბედნიერად იგრძნოს. ორიოდე კვირის წინ ახალ კონტრაქტზე მოაწერა ხელი "წითლების" მეორე ნამყვანმა, უკანახაზელმა **მარტინ შკრტელმაც**.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**




დანიელ აგერი

შაბათის საკითხავი

# მე სპორტსმენი არ ვარ, მე მხატვარი ვარ

**ის 57 წლის ასაკში, 2011 წლის 4 დეკემბერს გარდაიცვალა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით უამრავ ადამიანს დასწყვიტა გული. სოკრატესი იყო ადამიანი, რომელსაც მოსაყოლი ძალიან ბევრი ჰქონდა, დღეს მხოლოდ 10 ისტორიას შემოგთავაზებთ.**

**1** ფეხბურთელი სახელად **სოკრატესი?** იმ დროს, როდესაც თანამედროვე საფეხბურთო ვარსკვლავებს საკმაოდ მოსაწყენი, **ლიონელის, კრიშტიანოს, უეინის** და **მარიოს** მსგავსი სახელები ჰქვიათ, სოკრატესის მამამ გადაწყვიტა, რომ მსოფლიო ლიტერატურისადმი სიყვარული შვილის სახელში გამოეხატა. *"როდესაც მე მოვევლინე სამყაროს, მამაჩემს პლატონის "რესპუბლიკა" ახალი წაკითხული ჰქონდა"* – იხსენებდა სოკრატესი. შესაბამისად, მამამ პირველ შვილს სოკრატესი (**სოკრატე**) დაარქვა, მომდევნო ორს კი **სოსთენი** და **სოფოკლე**. ამას უკვე "რაის ფაზა" მოჰყვა და მომდევნო შვილებს **რაიმუნდო, რაიმარი** და **რაი** დაარქვა. ამ უკანასკნელმა მიაღწია იმას, რაც ვერ შეძლო თავად სოკრატესმა - ბრაზილიის ნაკრებთან ერთად 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

**2** ზედმეტსახელი "დოქტორი" სოკრატესმა საქმით დაიმსახურა: ფეხბურთის პროფესიონალურად თამაშის მიღმა, სოკრატესმა მედიცინაში, კერძოდ პედიატრიაში დაიცვა ხარისხი. იმისთვის, რომ სწავლაში ხელი არ შეშლოდა, ფეხბურთელმა თავის პირველ კლუბ "ბოტაფოგოს" კონტრაქტში შესაბამისი პუნქტი ჩაადებინა.

**3** 1,92 მ სიმაღლის ნახევარმცველმა ინტელექტუალის სახელი მალე გაითქვა. მიზეზი მხოლოდ მედიცინის შესწავლა არ იყო. სოკრატესი 80-იანი წლების დიქტატორულ ბრაზილიაში პოლიტიკურადაც აქტიური პირი გახლდათ. 1982 წელს "კორინთიანსის" ვარსკვლავმა ორგანიზაცია "დემოკრასია კორინთიანა" დააარსა. ეს იყო ერთგვარი ფეხბურთელთა საპროტესტო მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო ბრაზილიის დემოკრატიზაციისკენ. 1982 წლის 15 ნოემბრის არჩევნების წინ, მოთამაშეები მოედანზე მაისურებით გამოდიოდნენ, რომლებზეც ეწერა: "Dia 15 Note", რაც ქართულად ასე ითარგმნება: "ხმა მიეცით 15-ში".

**4** სოკრატესის პოლიტიკური აქტივობა მალე მთელ გუნდს გადაედო. *"ჩვენ გადაწყვეტილებას კოლექტიურად ვიღებთ, ყველას ხმა თანაბარია, იქნება ეს ფეხბურთელი, მასაჟისტი თუ მინდვრის მომვლელი"* – ამბობდა სოკრატესი. თუმცა ყველა არ იზიარებდა მის ენთუზიაზმს: *"ახალწვეულები გაოცებულნი იყვნენ და კითხულობდნენ, რატომ არავინ ლაპარაკობდა გასახდელში ფეხბურთზე"*.

**5** ბრაზილიელმა კარიერის საწყის წლებში კარგი ცხოვრების (Bon Vivant) მოყვარული ადამიანის სახელი დაიგდო. გაოცებული ჟურნალისტები წერდნენ, რომ ინტერვიუების დროს სოკრატესი ლუდის კათხას კათხაზე ცლიდა და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. განსაკუთრებით ტრაგიკულად ეს ცნობები ახლა მოჩანს, როდესაც ვიცით, რომ გენიალური ფეხბურთელი 57 წლის ასაკში ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების გამო გარდაიცვალა. 1984 წელს სოკრატესმა წარმოთქვა ფრაზა: *"მე სპორტსმენი არ ვარ, მე მხატვარი ვარ"*.

**6** 1984 წელს სოკრატესმა ევროპაში გადასვლა გადაწყვიტა. ფლორენციის "ფიორენტინამ" ბრაზილიელში 8.5 მილიონი გადაიხადა, მაგრამ მხოლოდ 25 თამაშის (6 გოლი) და ნახევარი წლის შემდეგ, "დოქტორი" ისევ ბრაზილიაში დაბრუნდა. იტალიურმა პრესამ ბრაზილიელი მხატვარი საკმაოდ უხეში სტატიებით გააცილა, რაზეც სოკრატესის, რომელიც იტალიაში დიდი იმედებით ჩავიდა (*"მე იტალიური ფეხბურთის დემოკრატიზირება მსურს"*), პასუხმაც არ დააყოვნა: *"ფლორენციელებს ცხოვრება არ უხარიათ. იტალიელები ევროპაში ყველაზე უბედური და მოსაწყენი ერია"*.

**7** სოკრატესი "ჟოგა ბონიტოს", ანუ "ლამაზი თამაშის" სინონიმი გახლდათ. 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ბრაზილიის მეტოქე მოქმედი ევროპის ჩემპიონი საფრანგეთი იყო. ეს მატჩი ალბათ იმ ეპოქის ერთ-ერთი საუკეთესო დაპირისპირება გამოდგა, რომელიც **მიშელ პლატინის** საფრანგეთის გამარჯვებით დასრულდა და ბრაზილიელთა მარცხში წვლილი სოკრატესმაც შეიტანა. 73-ე წუთზე, როდესაც ანგარიში 1:1 იყო, სოკრატესმა **ზიკოს**, რომელიც პენალტის დასარტყმელად ემზადებოდა, ცუდი რჩევა მისცა (ზიკო: *"ის ჩემთან მოვიდა და ერთ-ერთ კუთხეში დარტყმა მირჩია, სამწუხაროდ, შეცდა"*). მოგვიანებით კი, პენალტების სერიაში, სოკრატესის დარტყმა ფრანგთა მეკარე **ჟოელ ბატსმა** მოიგერია.

**8** 2004 წელს, კარიერის დასრულებიდან 14 წლის შემდეგ, სოკრატესმა ბრიტანელი **საიმონ კლიფორდის** პიარ-აქციაში მიიღო მონაწილეობა და ინგლისი რიგით მეცხრე დივიზიონის გუნდ "გარფორთ თაუნში" ჩაირიცხა, რომლის მწვრთნელიც და მფლობელიც კლიფორდი იყო. კლიფორდმა, რომელმაც 8 წელიწადში 700-მდე საფეხბურთო სკოლა გახსნა, განაცხადა, რომ მომდევნო წლებში გუნდში ზიკო და **კარეკა** ჩაირიცხებოდნენ. მედიამ მიიჩნია, რომ სოკრატესის კონტრაქტი ხანგრძლივი იყო, რასაც ბრაზილიელმა ცივი წყალი გადაასხა: *"მე მხოლოდ ერთ ამხანაგურ შეხვედრაში ვითამაშებ, ისიც მხოლოდ 15 წუთით, ბოლოს და ბოლოს, უკვე 50 წლის ვარ"*. საბოლოოდ სოკრატესმა 12 წუთი ითამაშა.

**9** სოკრატესი პროფესიებს ისე აგროვებდა, როგორც ჩვეულებრივი ხალხი საფოსტო მარკებს აგროვებს. ბრაზილიელის პროფესიათა არასრული სია: ფეხბურთელი, პედიატრი, პოლიტიკური აქტივისტი, მხატვარი, მწერალი, პოლიტიკოსი, კოლუმნისტი, კომპოზიტორი, დრამატურგი.

**10** 2011 წლის 4 დეკემბერს სოკრატესი სან პაულოში, სეფსისით გამოწვეული ნაწლავური ინფექციით გარდაიცვალა. იმავე წლის აგვისტოში ის საავადმყოფოში, გასტროინტესტინალური სისხლდენის და ჰეპატიტის დიაგნოზით მოხვდა. გამოწერის შემდეგ სოკრატესი ალკოჰოლს უხვად მოიხმარდა. თვეების შემდეგ საავადმყოფოში მეორედ მოხვედრისას ბრაზილიელმა "ფეისბუქზე" ბოლო სტატუსი დაწერა: *"განაგრძეთ ჩემი მხარდაჭერა. ჩვენ ვიგებთ. ცხოვრება ერთი დიდი სიამოვნებაა. გმადლობთ. გმადლობთ. გმადლობთ"*. ცოტა ხანში სოკრატესი გარდაიცვალა.

**ტატო ბაციკაძე**



სოკრატესი

რასიზმი



მატჩის ეპიზოდი

# უეფა ლაციოს წინააღმდეგ

რა თქმა უნდა, თავშია რასიზმი – უეფა "ლაციოს" იმიტომ ემუქრება, რომ მისმა ტიფოზებმა ევროპალიგის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში "ტოტენჰემის" წინააღმდეგ თავს უფლება მისცეს, რასისტული ფრაზებით შეერაცხყოთ მეტოქე გუნდების ფეხბურთელები. მატჩი 0:0 დასრულდა, ხოლო შესაბამისი პატაკით უეფას შეხვედრის დელეგატმა **ადონის პროკოპიუმ** მიმართა. განსაკუთრებით ტოტენჰემელები, **არონ ლენონი, ენდროს თაუნსენდი** და **ჯერმეინ დეფო** დაზარალდნენ. *"უეფამ გახსნა სადისციპლინო საქმე "ლაციოს" წინააღმდეგ. რომაული კლუბის გულშემატკივრების რასისტული გამონათქვამების გამო"*, - ნათქვამია უეფას ოფიციალურ წერილში.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ლონდონელთა პორტუგალიელმა თავკაცმა **ანდრე ვილაშ-ბოაშმა** თქვა: *"უეფა ძალიან აქტიურია ასეთ სიტუაციებში და მართებულადაც – ჩვენი მიზანი უნდა იყოს რასიზმის განდევნა ფეხბურთიდან. თუმცა თავად ვერავის ვერაფერში დავადანაშაულებ, რადგან ეს გამონათქვამები არ გამიგია, იმდენად ვიყავი მატჩში ჩაფლული"*.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## ქართული სპორტი

ძიუდო. ევროპის ახალგაზრდული პირველობა

# ფინალებს ისევ ვაგებთ

ჩვენმა ნაკრებმა უცნაურად დაიწყო გამოსვლა ხორვატულ პორეჩში, ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე - გუშინ ორი ფინალი ვიჭიდავეთ, მაგრამ ორივეში დავმარცხდით და ვერცხლის მედლებს დავჯერდით; ხელიდან გავუშვით ბრინჯაოს მოპოვების შანსიც... ევროპის ვიცე-ჩემპიონები **ლერი ჭელიძე** (55) და **ვაჟა მარგველაშვილი** (60) გახდნენ, **ბექა ვიბლიანს** (66) კი ჰოლანდიელები დაუძლეველ ზღუდედ ექცნენ და მეხუთეზე გავიდა.

უცნაურია ისიც, რომ ჭელიძემ ზედიზედ მეორედ იჭიდავა ევროპირველობის ფინალში და მეორედაც დამარცხდა - ის კონტინენტის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონია და წლეულს შედეგის გაუმჯობესების მშვენიერი შანსი მიეცა - მეოთხედფინალში სწორედ ის სომეხი **გარიკ ჰარუთინიანი** დააიპონა, ვისთანაც შარშანდელი ფინალი წააგო, ამჯერად გადამწყვეტი შეხვედრა კი ბელგიელ **ადრიან ქვერტიმონტთან** უწევდა, ვისაც შარშან ნახევარფინალში აჯობა... სამწუხაროდ, ჩვენი იმედები არ გამართლდა და ბელგიელმა იუკოთი იმარჯვა.

შარშანდელისგან განსხვავებით, ჭელიძემ წლეულს მხოლოდ ერთი იპონი მიითვალა ზემოხსენებულ ჰარუთინიანთან, სხვებთან კი უფრო მოკრძალებული ანგარიშით იმარჯვა. ის პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი ჯერ უნგრელი **აკოშ ბარტა** დაამარცხა იუკოთი, სომეხის შემდეგ კი ნახევარფინალში ფრანგი **ვინსენტ მანქო** დაჯაბნა ასევე ვაზარით.

ტურნირი ძლიერად დაიწყო ვაჟა მარგველაშვილმა, რომელიც ჭელიძესთან ერთად შარშანდელიდან შემორჩენილი მცირერიცხოვანი გუნდიდან ერთ-ერთია - ფინალამდე ოთხი შეხვედრა მოიგო. პირველ წრეში ისიც ისვენებდა, მერე კი იუკოთი დაამარცხა ებრაელი **იუვალ კალიფა**, დააიპონა ფრანგი **კევინ აზემა**, ესპანელი **ფრანსისკო გარიგოსი** და ნახევარფინალში - იტალიელი **მარია კარმინე დი ლორეტო**. ფინალში მისი მეტოქე რუსი **ზაურ კალაშაოვი** აღმოჩნდა, რომელიც შარშანაც გამოდიოდა ანალოგიურ ტურნირში, თუმცა მაშინ წარუმატებლად იჭიდავა, ამ ჯერად კი სანადელს მიაღწია - მარგველაშვილი ვაზარ-იუკოს უპირატესობით დაგვიმარცხა. შარშანდელი ჩაგდებული სეზონის ფონზე ვერცხლი ჩვენებურისთვის არაა ურიგო შედეგი, თუმცა ორი წაგებული ფინალი ნაკრების მწვრთნელებს - **გია გუგავასა** და **გურამ მოდებაძეს** რა ხასიათზე დააყენებდა, იოლად მიხვდებით.

მწვრთნელებისთვის ხასიათის ცოტათი გამოკეთება ვიბლიანს შეეძლო, რომელიც მეოთხედფინალამდე მივიდა, მერე კი სანუგეშო წრეშიც მოიგო ერთი შეხვედრა და ბრინჯაოსთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა... პირველ წრეში არც ვიბლიანი ჭიდაობდა, მერე კი ესტონელ **ოსკარ პერტელსონს** ყველა სინჯის გდება ჩაუტარა, ხოლო მისი ტანჯვა ბოლოს იპონით დაასრულა. მეორე ბალტიისპირელთან, ლატვიელ **მიხალის შტაინბუკსთან** იუკოთი იმარჯვა, მეოთხე წრეში კი ჰოლანდიელთა მომავალ ფინალისტ **ხორდი ბაკესთან** წააგო. დამამშვიდებელში სერბ **ილია ციგანოვიჩს** ვაზარი ჩაუტარა, ბრინჯაოს მომტანი პაექრობა კი მეორე ჰოლანდიელ ხუნიორ დეგენთან წააგო, ვისაც ქართველებთან თავისი ანგარიშები ჰქონდა გასასწორებელი - შარშან ევროპირველობაზე, **ლაშა შავდათუაშვილთან** დამარცხდა. სხვათა შორის, მაშინ ჩვენს მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონთან ციგანოვიჩმაც წააგო.

გუშინ პორეჩში თითო შეხვედრა მოიგეს **ლუხუმ ჩხვიმიანმა** (66) და **ბექა ტუღუშმა** (66), **მინდია ლოლიჯაშვილი** (55) კი პირველივე წრეში მოხსნეს ფეხში ხელით შესვლისთვის.

დღეს ევროპაზე კიდევ ოთხი ქართველი იჭიდავებს. **ლევან გუგავა** (73) პირველ წრეში პორტუგალიელ **რენატო იგნასიოს** შეხვდება, ხოლო ამავე წონაში **ფრიდონ გიგანი** თავიდან ისვენებს და პორტუგალიელი **ნუნო სარაივასა** და სერბ **იოვან ნისკანოვიჩის** შეხვედრას დაელოდება, სადაც მისი მეტოქე გაირკვევა. გიგანის ახლოსაა **რომან მასტოპულოსი**, ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელ **გიორგი რევაზიშვილის** შვილი, რომელიც საბერძნეთის ღირსებას იცავს.

დღესვე გაიმართება შეხვედრები 81 კილოგრამშიც, სადაც შარშან ჭაბუკებში ყველაფრის მომგები, ხოლო ახალგაზრდებში მსოფლიოს პრიზიორი **ბექა ღვინიაშვილი** პირველ წრეში სლოვაკ **ფილიპ სტანცელს** დაეჭიდება, ბექა დონლვანი და მისი მომავალი მეტოქე, ბულგარელი **ივაილო ივანოვი** კი ამ დროს ისვენებენ.

დანარჩენი წონების წარმომადგენლები ხვალ იჭიდავებენ. შეგახსენებთ, რომ იმ წონებში საქართველოს ღირსებას **ლაშა ტაველური** (ეს პირველივე წრეში ევროპის შარშანდელ ჩემპიონსა და მსოფლიოს ვერცხლის მედალოსან **ხუსეინ ხალმურზაევს** ხვდება) და **რევაზ წულუკიძე** (ორივე - 90), **გიორგი ქავთარაძე**, ჭაბუკებში მსოფლიოს ჩემპიონი **გურამ თუშიშვილი** (100), **როსტომ ხახალეიშვილი** და ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ლევან მატიაშვილი** (+100) დაიცავენ.

**კვარცხლბეკი. ბიჭები.**

**55 კგ.** 1. ადრიან ქვერტიმონტი (ბელგია), **2. ლერი ჭელიძე (საქართველო),** 3. გარიკ ჰარუთინიანი (სომხეთი), აურელიან გლაქსი (საფრანგეთი).

**60 კგ.** 1. **ზაურ კალაშაოვი** (რუსეთი), **2. ვაჟა მარგველაშვილი (საქართველო),** 3. აჰმეტ შაჰინ კაბა (თურქეთი), მარია კარმინე დი ლორეტო (იტალია).

**66 კგ.** 1. გეორგიოს აზოიდისი (საბერძნეთი), 2. ხორდი ბაკესი, 3. ხუნიორ დეგენი (ორივე - ჰოლანდია), ნიკოლა გუსიჩი (სერბეთი). **5. ბექა ვიბლიანი (საქართველო).**

**ირაკლი თავაძე**

ფარიკაობა

# ხმალთა კვესება ქუთაისურად

22 წლის მოფარიკავე **თეონა ყვავაძე** ქუთაისელია. ცხრა წლის წინათ დაიწყო ხმალაობა **გელა მერკვილაძის** ხელმძღვანელობით. ოთხჯერ თანატოლებში მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა, ერთხელ უფროსებსაც აჯობა. ის იყო, დიდ სარბიელზე უნდა გასულიყო, რომ გათხოვდა და ფარიკაობას ჩამოშორდა. და აი, ოთხი წლის შემდეგ, მეუღლის თხოვნითა და ოჯახის თანადგომით კვლავ დაუბრუნდა საფარიკაო ბილიკებს. წლეულს გაზაფხულზე ქუთაისში საქართველოს თასზე მხოლოდ ნახევარფინალური პაექრობა დათმო თანაქალაქელ **ანა სინატაშვილთან** და მე-3 ადგილს დასჯერდა. გუშინ რიონისპირელთა გზები კვლავ გადაიკვეთა, ამჯერად თბილისის ფარიკაობის დარბაზში, სადაც 2012 წლის საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო. ასპარეზობა მოხმალავეებმა გახსნეს. თეონა ყვავაძემ ნახევარფინალში ქუთაისელი **თამარ კენჯია** დაამარცხა — 15:5, ანა სინატაშვილმაც თანაქალაქელი **ქრისტინე სანდუხაძე** დაჯაბნა — 15:11. გადამწყვეტ პაექრობაში ყვავაძემ საქართველოს თასზე მარცხისთვის რევანში აიღო — 15:11 სძლია სინატაშვილს და უფროსებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მეორედ ავიდა. ჩემპიონატში არ უასპარეზიათ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონებსა და საერთაშორისო ტურნირების მედალოსნებს — **თათია აფციაურსა** და **თეოდორა კახიანს,** რომლებიც წლეულს გათხოვდნენ და ეს შეჯიბრება გამოტოვეს.

საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა მოხმალავე ვაჟთა პაექრობები. მედლებისთვის 16 მუშკეტერი იბრძოდა. მეოთხედფინალში მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა ქუთაისელმა **სანდრო ბაზაძემ** ჭაბუკებში მსოფლიოს პირველობის მესამე პრიზიორი, თანაგუნდელი **მიხეილ მარდალეიშვილი** დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც უფროს ძმას — **ბექას** (ორივეს მამა — საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მერაბ ბაზაძე** ავარჯიშებს) დაუპირისპირდა. ეს უკანასკნელი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია როგორც მოზარდებში, ისე უფროსებში. იუნიორებში 2009 წლის მსოფლიოს თასის მეორე პრიზიორმა წლეულს 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მართალია, წლოვანებით სანდროზე უფროსია, მაგრამ ოფიციალურ შეხვედრებში უმცროს ძმასთან უარყოფითი ბალანსი აქვს. მათი ორთაბრძოლა გუშინაც შეღავათოდ წარიმართა — ბექამ ორი ჩხვლეტის უპირატესობით გაიმარჯვა (15:13) და საერთო შეხვედრათა ბალანსი მინუს ერთამდე დაიყვანა. ფინალში **გიორგი გორგიძის** (ქუთაისი) მძლეველ (15:11) **საბა სულამანიძეს** (თბილისი) შეხვდა, რომელიც ახალგაზრდებში ქვეყნის ორგზის ჩემპიონია, უფროსებში კი მედალოსანთა შორის პირველად მოხვდა. ახალგაზრდა მუშკეტერმა გამოცდილ მეტოქეს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია, 10:15 წააგო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ჩემპიონობა ბექა ბაზაძემ მოიპოვა.

დღეს საფარიკაო ბილიკებზე ჩემპიონატის მონაწილენი დაშნით, ხვალ კი რაპირათი გაითამაშებენ მედლებს.



თეონა ყვავაძე



ბექა ბაზაძე (მარცხნივ) და საბა სულამანიძე

**კვარცხლბეკი**

**ხმალი.**

**ქალები.** 1. თეონა ყვავაძე, 2. ანა სინატაშვილი, 3 თამარ კენჯია, ქრისტინე სანდუხაძე (ოთხივე — ქუთაისი).

**ვაჟები.** 1. ბექა ბაზაძე (ქუთაისი), 2. საბა სულამანიძე (თბილისი), 3. სანდრო ბაზაძე, გიორგი გორგიძე (ორივე — ქუთაისი).

**ვაჟა დანელია**

**ავტორის ფოტოების**

სუმო. სექტემბრის ბაშო. 9-23 სექტემბერი

# მოგება და წაგება

გუშინ შემოდგომის ბაშოზე ელიტის ორი ქართველიდან ერთმა მოიგო, ერთმა კი წააგო. **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** ორთაბრძოლაში არაფერი დაუთმო ოს **არანს,** სუპერტურნირზე მე-4 გამარჯვება მიითვალა. გაგამარუს 4-9 ბალანსი აქვს, ეს კი მაინც ძალზე ცუდი შედეგია და ვერ გამოსწორდება. **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** ჰომაშოსთან დამარცხდა და ბალანსი ზუსტად ისეთი აქვს, როგორიც მის თანამემამულეს. დღეს გაგამარუ **შოჰოზანს**, ხოლო ტოჩინოშინი **ტოიოოჰიბიკის** ხვდება.

13-დან 13 გამარჯვებით ბაშოს ერთპიროვნულად ლიდერობს ოძეკი **ჰარუმაფუჯი**. ალბათ, ყველაფერი ასპარეზობის ბოლო დღეს (ხვალ) გადაწყდება, როცა ერთმანეთის პირისპირ ჰარუმაფუჯი და დიდი მონღოლი **ჰაკუჰო** დადგებიან.

**XIII დღე** (მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კაკურიუ (ოშიდაში), ჰარუმაფუჯი-კისენოსატო (იორიკირი), მიოგირიუ-კიოკუტენჰო (იორიკირი), გოეიდო-ამინიშიკი (კუბინაგე), ტოიოოჰიბიკი-აოიამა (ოშიდაში), ჰომაშო-**ტოჩინოშინი** (იორიკირი), შოჰოზანი-კაისეი (იორიკირი), **გაგამარუ**-არანი (იორიტაოში), ტოჩიოძანი-ტაკაიასუ (იორიტაოში).



**სატურნირო მდგომარეობა**

**13-0: ჰარუმაფუჯი (ოძეკი)**
**12-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა)**

**10-3: კისენოსატო (ოძეკი), კაკურიუ (ოძეკი), ტაკაიასუ (მაეგაშირა 9), კიოკუტენჰო (მ 11)... 4-9:: ტოჩინოშინი (კომუსუბი), 3-9: გაგამარუ (მ 2).**

**XIV დღე** (მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კისენოსატო, ჰარუმაფუჯი-კაკურიუ, გოეიდო-ტოჩიოძანი, მიოგირიუ-ტაკეკაძე, **ტოჩინოშინი**-ტოიოოჰიბიკი, ჰომაშო-აოიამა, კაისეი-მასუნოიამა, **გაგამარუ**-შოჰოზანი, ტაკაიასუ-ამინიშიკი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# პირველი ევროპელი, შავი ზღვა წავიდა...

## 68 ბაშოსა და 902 ორთაბრძოლის ამბავი

ეს ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას არ ჰგავდა, 31 წლის **ლევან ცაგურიას** სპორტიდან წასვლაზე უკვე ბევრს ლაპარაკობდნენ იაპონიაში, ამის შესახებ ჩვენც ვწერდით. და მაინც, დასანანია, ამიერიდან პროფესიულ დოჰიოზე ველარ ვიხილავთ აფხაზეთში დაბადებულ ფალავანს, **კოკაი ფუტოშის**. ეს იაპონური საბრძოლო სახელია, რომელიც ბევრმა გაითავისა საქართველოში. სწორედ, კოკაის წყალობით შეუყვარდათ სპორტის ეს სახეობა საქართველოში და, თქვენ წარმოიდგინეთ, მთელ ევროპაში. ბევრმა იცის, რომ კოკაი „შავ ზღვას“ ნიშნავს (ლევანმა ეს სახელი მშობლიურ სოხუმთან ასოციაციის გამო მიიღო) - ქართველი „შავი ზღვა“ კი სუმოს ათასწლოვან ისტორიაში პატარა მიღწევის კაცი არაა - ის პირველია ევროპის კონტინენტიდან, რომელმაც ელიტური სუმოისტის, სეკიტორის სახელი მიიღო.

სწორედ კოკაიმ გაგვაცნო ახლოდან ეს სამყარო, რომლითაც მანამდე ქართველთა ერთობ მცირე ნაწილი **აკებონოს**, თუ ძმების, **ვაკანოჰანასა** და **ტაკანოჰანას** ბრწყინვალე ასპარეზობებით ვიცნობდით. სწორედ ის გახდა პირველი (და ჯერ ერთადერთი) ქართველი, რომელმაც დიდ ჩემპიონს ანუ იოკოძუნას მოუგო, თანაც ეს ორჯერ მოახერხა. სწორედ კოკაიმ შეძლო პირველმა ქართველთაგან სუმოს რანგით მე-4 ტიტულის - კომუსუბის მოპოვება და ის ერთადერთია ჩვენებურებში ჯერჯერობით, რომელმაც ტიტულის შენარჩუნება ერთ ბაშოზე მაინც შეძლო. წლების განმავლობაში მასთან ინტერვიუებით კიდევ უფრო მეტი შევიტყვეთ სუმოზე, რადგან სუმო მეტია, ვიდრე სპორტი.

გუშინ 31 წლის ლევან ცაგურიამ ოფიციალურად გამოაცხადა ინტაი ანუ სუმოდან წასვლა. ლევანი საქართველოში დაბრუნდება და, როგორც იაპონურ პრესაში დაწერეს, აქ ბიზნესს მიხედავს. ყოფილ რიკიშებს იაპონიაში შეუძლიათ მწვრთნელის ლიცენზიის აღება, მაგრამ კოკაი გამონაკლისია - ის იმპერატორის ქვეშევრდომი არ არის. „შავმა ზღვამ“ საყვარელ საქმეზე უარი ასაკის გამო არ თქვა, მას გამუდმებით აწუხებდა ტრავმები; კისრის მალების, იდაყვების, მუხლის, მხარის... ლევანი იბრძოდა, იბრძოდა, ბოლოს კი გაჩერდა... მისთვის ბოლო ბაშოზე 189 სანტიმეტრი სიმაღლის გოლიათი 165 კილოგრამს იწონიდა.

კოკაის დებიუტი პროფესიულ სუმოში 2001 წელს შედგა, 11 წლის წინათ. ზუსტად სამი წლის შემდეგ ის უმაღლეს, მაკუუჩი დივიზიონში გადავიდა, ტრიუმფით გაიარა რა ჯონოკუჩის, ჯონიდანის, სანდანმეს, მაკუშიტასა და ძურიოს დივიზიონები. 2006 წლის სექტემბრის ბაშოზე მან კომუსუბის ტიტულით იასპარეზა. 2011-ში ჩვენებური ზედიზედ 7-წლიანი უწყვეტი ასპარეზობის შემდეგ უმაღლესი დივიზიონიდან გავარდა, მაგრამ ეყო ძალები და მოახერხა უკან დაბრუნება. სამწუხაროდ, ეს დროებითი გამოდგა - ის ისევ გავარდა ძურიოში, საიდანაც კინაღამ მესამე დივიზიონში გადაინაცვლა, მაგრამ მაისის ბაშოზე ნამდვილი გმირობა ჩაიდინა - ტრავმის გამო ბაშო უნდა გამოეტოვებინა, მაგრამ დადებით ბალანსამდე 2 გამარჯვება აშორებდა, ბოლოს მაინც დაბრუნდა და მტკივანი ფეხით მოიპოვა ეს ორი გამარჯვება. სამწუხაროდ, ორგანიზმა ბევრი ველარ გაძლო - სექტემბრის ბაშოზე ორი საწყისი ორთაბრძოლა დათმო და ბაშოს შეეშვა, ახლა კი - სპორტსაც.




## დოსიე

**კოკაი ფუტოში**

**დაიბადა:** 1981 წლის 10 მარტს

სიმაღლე, წონა: 189 სმ, 165 კგ

**კლუბი:** ოიტეკაზე

**კარიერის რეკორდი:** 68 ბაშო, 446 მოგება, 458 მარცხი, 11 გამოუცხადებლობა, სულ 902 ორთაბრძოლა

**ტიტულები:** 1 ჯუნ იუშო (ვიცე ჩემპიონობა), 2 კანტო შო (მებრძოლი სული), 2 კინბოში (ოქროს ვარსკვლავი), ძურიოს ჩემპიონი, მაკუშიტას ჩემპიონი, სანდანმეს ჩემპიონი, ჯონიდანის ჩემპიონი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ქართული სპორტი

● თავისუფალი ჭიდაობა. ოქროს დიდი პრიზი

## ოქროები ოქროს პრიზზე

ბაქოში გუშინ დაიწყო ჰეიდარ ალიევის სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" ფინალური ტურნირი, რომელშიც წარმატებით ჩაებნენ ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები - ორი ოქრო მოიპოვეს. „ოქროს დიდი პრიზის" მფლობელები **ელიზბარ ოდიკაძე** (96) და **გიორგი საკანდელიძე** (120) გახდნენ, რომლებმაც ჯილდოდ 5 000 დოლარიც მიიღეს. შეჯიბრება არც ისე ძლიერი გა-




**გიორგი საკანდელიძე**

მოდგა, რაც ოლიმპიადის გავლენა გვგონია - ლიდერთა უმეტესობამ მაღალი საპრიზო ფონდისთვის ბრძოლას დასვენება არჩია.

საკანდელიძემ ფინალამდე აზერბაიჯანელები - **ასლან ძებისოვი** და **ალი ისაევი** დაამარცხა, ფინალში კი რუს **ალექსანდრ ბაზროვს** აჯობა. ოდიკაძემ გადამწყვეტ შეხვედრაში აზერბაიჯანელი **ალიევი** დაამარცხა. ბრინჯაოს მედლისთვის **იაკობ მაქარაშვილმაც** (740 იჭიდავა, მაგრამ წააგო.

ბაქოში დღეს ქალები იჭიდავებენ, ხვალ კი ასპარეზი ბერძენ-რომაელებს დაეთმობათ. იქ ჩვენს ღირსებას ექვსი ფალავანი დაიცავს - **ნიკა ცეცხლაძე** (55), **მარადი აბულაძე** (60), **ილია გულბათაშვილი** (74), **რევაზ ნადარეიშვილი** (84), **ირაკლი ქაჯაია** (96) და **სერგო გოგისვანიძე** (120).

**ირაკლი თავაძე**

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის მსურველთა სათანადოდ გაფორმებული საბუთების მიღება წყდება კვირას - 23 სექტემბერს 13 სთ-ზე.

არჩევნების ჩატარების წესი იხილეთ სეოკ-ის ვებ-გვერდზე: www.geonoc.org.ge- "სეოკ-ის წესდება".

*სეოკ-ის ალმასკომი*

● თარიღი

### 22-28 სექტემბერი

**22. 1976 წ.** დაიბადა **რონალდო** — ფეხბურთი.

**23. 1845 წ.** აშშ-ში (ნიუ-იორკი) „ნიკერბოკერზი" — ბეისბოლისტთა პირველი გუნდი დაარსდა.

**23. 1952 წ.** პროფესიული კრივის სუპერმძიმე წონაში **როკი მარჩიანომ** მე-13 რაუნდში დაამარცხა **ჯო უოლკოტი** ქ. ოჰაიოში.

**23. 1956 წ.** დაიბადა **პაოლო როსი** — ფეხბურთი.

**24. 1954 წ.** დაიბადა **მარკო ტარდელი** (იტალია) — ფეხბურთი.

**24. 2006 წ.** იტალიელმა **დელ პიერომ** საკლუბო დონეზე თავისი მე-200 გოლი გაიტანა.

**25. 1956 წ.** დაიბადა **კარლ-ჰაინც რუმენიგე** (გერმანია) — ფეხბურთი.

**26. 1908 წ.** დაარსდა საფეხბურთო კლუბი „ბერგენი" (ნორვეგია).

**26. 1927 წ.** დაიბადა **ენცო ბეარზოტი** (იტალია) — ფეხბურთელი და მწვრთნელი.

**27. 1947 წ.** დაიბადა **დიკ ადვოკაატი** (ჰოლანდია) — ფეხბურთელი და მწვრთნელი

**27. 1953 წ.** მადრიდის „რეალში" პირველი მატჩი ითამაშა **ალფრედო დი სტეფანომ.**

**.27. 1953 წ.** დაიბადა **კლაუდიო ჯენტილე** (იტალია) — ფეხბურთი.

**28. 1976 წ.** დაიბადა **ფრანჩესკო ტოტი** (იტალია) — ფეხბურთი.

**28. 1887 წ.** დაიბადა **ევერი ბრენდეჯი** — სოკ-ის პრეზიდენტი 1952-1972 წლებში.

**28. 1968 წ.** დაიბადა **მიკა ჰაკინენი** (ფინეთი) — ავტომრბოლი.

● ვიქტორინა

**1. დაასახელეთ ალპინისტი ქალი, რომელმაც პირველმა დაიპყრო პლანეტის უმაღლესი მწვერვალი ევერესტი 1975 წელს.**

ა — მარი პარადიზი (საფრანგეთი)

ბ — პარმინტერი (ინგლისი)

გ — იუნკო ტაბეი (იაპონია)

**2. ცნობილი მომღერალი ხულიო იგლესიასი ახალგაზრდობაში იყო:**

ა — მლებავი

ბ — ფეხბურთელი

გ — კარატისტი

**3. რამდენი წლისა იყო შვედი ლეგენდარული ჩოგბურთელი ბიორნ ბორგი, როცა ჩოგბურთიდან წასვლის თაობაზე განცხადება გააკეთა?**

ა — 26 წლის

ბ — 34 წლის

გ — 41 წლის

**4. რომელი მძლეოსანი ამხილეს სეულის ოლიმპიადაზე (1988) ანაბოლიკების გამოყენებაში და ჩამოართვეს 100 მეტრ რბენაში მოპოვებული ჩემპიონობა და ოქროს მედალი?**

ა — ლინფორდ კრისტი (ბრიტანეთი)

ბ — კარლ ლუისი (აშშ)

გ — ბენ ჯონსონი (კანადა)

**5. დაასახელეთ მეკარე და კაპიტანი, რომელსაც გოლები გააქვს მეტოქეთა კარში და სერია A-ში თავის გუნდში თანაბომბარდირიცაა.**

ა — ჯარეტა

ბ — მარსიო

გ — უოლასი

პასუხები: 1 — გ, 2 — ბ, 3 — ა, 4 — გ, 5 — ბ.

● ოლიმპიური მედლები




მოსკოვი, 1980



● პირველი, პირველმა, პირველად...

* * *

**პირველი** ოლიმპიური ოქროს მედალი ესპანეთმა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მოიპოვა 1972 წელს საპოროში.

* * *

**პირველმა** საბჭოთა კალათბურთელებიდან კონტრაქტი ნბა-ს კლუბთან გააფორმა **შარუნას მარჩიულენისმა.** ეს მოხდა 1989 წლის 24 ივნისს.

* * *

**პირველად** ჰეთ-თრიკი ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატში დაფიქსირდა 1888 წელს. **ალბერტ ალენმა** („ასტონ ვილა") სამი გოლი გაუტანა „ნოთს ქაუთს". მატჩი ალენის გუნდმა მოიგო — 9:1.

● სულელური სიტუაციები

## სულელური უბანე შენ...

**ამ რუბრიკით „ტაიმ-აუტის" წინა გამოშვებაში დავიწყეთ ჩოგბურთელების მიერ ყველაზე სულულურ სიტუაციაში მიღებული ტრამვების ტოპ ათეულის გამოქვეყნება. დავიწყეთ ბოლოდან და გაგაცანით სამი შემთხვევა (მე-10, მე-9, მე-8). ახლა გთავაზობთ კიდევ სამ ფაქტს. ყველა შემთხვევა სხვადასხვა მიზეზით გახდა ისტორიის კუთვნილება. მაშ, ასე:**




**7. გორან ივანიშევიჩი** მონტე კარლოში საკუთარი ბინიდან სავარჯიშოდ გამოვიდა და მერე გაახსენდა, რომ ჩოგნები შინ დარჩა. შებრუნდა და მარცხენა ხელით ჩოგანი აიღო თუ არა, უეცრად სახლის ღიად დარჩენილი კარები მიჯახუნდა და ხორვატს მარჯვენა ხელი მოყვა კარებში, რის შედეგადაც შუა თითი მოიტეხა. მას ისღა დარჩენოდა მარცხენა ხელში აღებული ჩოგანი უკან დაედო და ჯანმრთელი ხელით სასწრაფო დახმარების მანქანა გამოეძახებინა.

**6.** ახალგაზრდა **გოტფრიდ ვან კრუმი** საკუთარ ცხენს შაქრით კვებავდა როდესაც ცხენმა მას საჩვენებელი თითი მოაჭამა, მიუხედავად იმისა, რომ ხელზე 4 თითი დარჩა, 2- ჯერ მაინც მოეგო საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე იგი გახლდათ **ფრედ პერის** ღირსეული გერმანელი მოწინააღმდეგე.

**5.** როდესაც საჩოგბურთო კორტზე ერთმანეთს ხვდებოდნენ მარკ ფილიპუსისი და გორან ივანიშევიჩი, ხაზის მსაჯად დგომა სულაც არ იყო უხიფათო, რადგან ორივე ჩოგბურთელი გიჟური სისწრაფის მოწოდებით გამოირჩეოდა. თუმცა ტორონტოს ტურნირზე მატჩი ორივესათვის სავალალოდ დასრულდა — ბადესთან გასულმა ხორვატმა ბურთი მეტოქის ნახევარზე თავური დარტყმით გადააგდო, ფილიპუსისმა უფრო კლასიკურად უპასუხა და საბოლოოდ ორივე ჩოგბურთელი ერთმანეთს თავებით შეეჯახნენ.მარკს ტვინის შერყევა დაუდგინეს, გორანს კი სამახსოვროდ რამდენიმე ნაკერი დარჩა.

**გიორგი ბარბაქაძე**
(გაგრძელება იქნება)

● საინტერესო ამბების აბგიდან

**გამოკვლევით** დადგენილია, რომ პროფესიულ ჰოკეიში სპორტსმენთა 68 პროცენტს თამაშის დროს ყინულზე დაკარგული აქვს სულ მცირე ერთი კბილი მაინც.

■ ■ ■

**ისტორიაში** პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა **კორები** — მზარეული ელადიდან 776 წელს.

■ ■ ■

**ძიუდოში** ფაქტობრივად არსებობს 12 და არა 10 დანი. მე-11 დანი ჯერ არავის დაუმსახურებია, მე-12 დანი კი მხოლოდ ერთს მიენიჭა — **ძიგარო კანოს,** ძიუდოს ფუძემდებელს.

■ ■ ■

**1477 წელს** ინგლისში ედუარდ IV-ს აკრძალა კრიკეტის თამაში, მიზეზი? ხელს უშლიდა მშვილდოსნობაში ვარჯიშში.

■ ■ ■

**1936 წელს** მაგიდის ჩოგბურთში ერთ-ერთი ტურნირის გახსნის მატჩში ბურთის ერთი გათამაშება პოლონელ **ალექს ენრლიხსა** და რუმინელ **პანეტ ფარკაშს** შორის... 2 საათსა და 12 წუთს გაგრძელდა.

■ ■ ■

**1976 წლის** ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში **ფრანც ბეკენბაურისთვის** იყო მე-100 შეხვედრა გფრ-ის ნაკრებში.

● სერიიდან: უცნაური სტადიონები

ავსტრია, ვენა. ეს სტადიონი, რომელსაც სურათზე ხედავთ, ერთ-ერთი უდიდესია მასშტაბით. შესაძლოა ამ სტადიონზე ოდესმე ითამაშოს „ბარსელონამ" ან მადრიდის „რეალმა"?!



## ნომრის სტუმარი

თორნიკე შენგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა NBA-სკენ რთული, მაგრამ რეალური

## შენგელიას მარტივი რეცეპტი

**ხვალ საქართველოს ნაკრების ფორვარდი, 20 წლის თორნიკე შენგელია ამერიკაში გაემგზავრება. მიუნხენის გავლით იგი ნიუ იორკში გაფრინდება, დანიშნულების ადგილი კი ბრუკლინია, რომლის გუნდი „ნეთსი" NBA-ს ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებს. ივლისში სწორედ ბრუკლინელებთან გააფორმა კონტრაქტი თორნიკე შენგელიამ.**
**გუშინ იგი ჩვენი გაზეთის სტუმარი იყო და ილაპარაკა როგორც მომავალზე, ასევე საქართველოს ნაკრებთან ერთად გავლილ შესარჩევ ეტაპზე. გემახსოვრებათ, რომ ეროვნული გუნდის ბოლო მატჩი, ჰოლანდიასთან, შენგელიამ ტრავმის გამო გამოტოვა. ინტერვიუ სწორედ ამ თემით დავიწყეთ.**



- ბოსნიასთან საშინაო შეხვედრისას ცუდად დავეცი და კუნთი გამეჭიმა. თამაშის მსვლელობისას ვერ ვიგრძენი, დასრულების შემდეგ კი ამტკივდა. მას მერე ლატვიაში გავფრინდით და იქ თამაში შევძელი, თუმცა საქართველოში დაბრუნების შემდეგ ორი ვარჯიში გვქონდა, ვცადე, მაგრამ ტრავმამ წვრთნაში ჩართვის საშუალება არ მომცა. ამიტომ ჰოლანდიასთან თამაშის გამოტოვებამ მომიწია. ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ რთული იყო შეხვედრის გვერდიდან ყურება. ძალიან მინდოდა მოედანზე შევსულიყავი, გუნდს დავხმარებოდი.

**- გაჭიმულობის წამალი დასვენებაა...**

- შესარჩევი ეტაპის დასრულების შემდეგ დასვენებისთვის დრო მქონდა. ეს აუცილებელიც იყო, რადგან ახლა რომ არ ამომესუნთქა, დასვენების საშუალება მომავალი სეზონის ბოლომდე არ მექნებოდა. არადა, მთელი ზაფხული სერიოზულად ვმუშაობდი: ჯერ ბელგიის ჩემპიონატის ფინალური მატჩები ჩავატარე, შემდეგ იტალიური კემპი, ამას მოჰყვა ორლანდოს საზაფხულო ლიგა, რომლის შემდეგაც საქართველოს ნაკრებს შევუერთდი.

**- ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საკუთარი გამოსვლით რამდენად კმაყოფილი ხარ?**

- რითაც შემეძლო, გუნდს ვეხმარებოდი, მაგრამ კმაყოფილი მაინც არ ვარ, რადგან მიმაჩნია რომ მეტი შემეძლო. თუმცა ისიც ცხადია, ყველა შეხვედრას ერთ დონეზე ვერ ჩაატარებ, არც სხვადასხვა მატჩი მიმდინარეობს ერთ კალაპოტში. ყველა მონინააღმდეგეს სხვადასხვაგვარი მიდგომა, შესაბამისი ტაქტიკის შერჩევა სჭირდება. სწორედ ამის მიხედვით გვაძლევს მწვრთნელი როლებს.

**- ყველაზე საინტერესო როლი რომელ შეხვედრაში გქონდა?**

> ახალ სეზონში ველი სათამაშო დროს და იმედი მაქვს, რომ საკუთარი შრომით დავიმსახურებ

- ყველა დავალება საინტერესოა, ნებისმიერ მეტოქესთან ბოლომდე თამაშია საჭირო, თუმცა მაინც ბოსნიასა და ლატვიასთან შეხვედრებს გამოვარჩევდი, როგორც შინ, ასევე სტუმრად. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დაცვაში თამაშს, მატჩები, რომლებიც ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა, უმთავრესად დაცვაში დამაჯერებელი თამაშის დამსახურებაა და საპირისპიროდ - წავაგეთ მხოლოდ იმ შეხვედრებში, რომლებშიც დაცვაში არადამაჯერებლად გამოვიყურებოდით.

**- ფედერაციის პრეზიდენტმა თქვა, ჰოლანდიაში გუნდი დაღლილი იყოო.**

- იყო მომენტი, როცა ჰოლანდიელებს საგრძნობი უპირატესობით გავასწარით, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ მოვახერხეთ. ამასთან, მეტოქემაც არაერთი რთული ტყორცნა გამოიყენა, რამაც თამაშის შემოტრიალება განაპირობა. საერთოდ, რამდენად დაღლილიც უნდა იყო, შესაძლოა ფსიქოლოგიური განწყობით, ყველაფერი გადაფარო, ხოლო თუ იფიქრებ: გადაღლილი ვარ და ვერ ვითამაშებო, საერთოდ არაფერი გამოვა.

**- ნაკრებში მწვრთნელმა შენი ამპლუის კალათბურთელები, ნიკა ცქიტიშვილი და ვლადიმერ ბოისა არ მიიწვია. კონკურენციის ხარისხის შემცირებამ როგორ იმოქმედა?**

- ამ თემაზე არ მიფიქრია. ბოისასა და ცქიტიშვილის არგამოძახება, ისევე როგორც ნაკრების სხვა წევრებს, მეც გამიკვირდა, მაგრამ ასე გადაწყვიტა მწვრთნელმა. საერთოდ კი საკუთარი თამაშის გასაუმჯობესებლად კონკურენცია

> შესაძლოა, ფსიქოლოგიური განწყობით გადაღლაც გადაფარო, ხოლო თუ იფიქრებ: ენერგია აღარ მაქვს და ვერ ვითამაშებო, საერთოდ არაფერი გამოვა.

აუცილებელია. რაც მეტად ძლიერ კალათბურთელთან მოგიწევს დაპირისპირება ვარჯიშებისას, მით უკეთესად მომზადებული შეხვდები მატჩებს. მათი არყოფნის მიუხედავად, მოთამაშეებმა ვთქვით და ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთეთ.

### თამაში, თამაში...

სანაკრებო თემიდან საკლუბოზე გადავინაცვლოთ. როგორც გითხარით, შენგელია 2012-13 წლების სეზონში „ბრუკლინ ნეთსის" ღირსებას დაიცავს.

- გუნდის ოფიციალური ვარჯიში 1-ელ ოქტომბერს დაიწყება, მანამდე ბრუკლინში ჩავალ და ვარჯიშს შევუდგები. იქ უკვე არიან შეკრებილი კალათბურთელები, რომლებიც არაოფიციალურად ემზადებიან. მეც მათ შევუერთდები, რომ პირველ ოქტომბერს მეტ-ნაკლებად კარგ კონდიციებში შევხვდე.

**- თუ ესაუბრე კლუბის ხელმძღვანელებს, რას ელიან ახალგაზრდა თორნიკე შენგელიასგან?**

- ამ თემაზე არ მილაპარაკია. ვერაფერს ვიტყვი...

**- თავად შენგელია რას ელის ახალი სეზონისგან?**

- ძალიან მინდა თამაში. ველი დროს და იმედი მაქვს, რომ საკუთარი შრომით დავიმსახურებ. თუმცა წინასწარ ამ თემაზეც რთულია კონკრეტულად ლაპარაკი.

**- ამერიკელები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ორი ბრუკლინელის - შენი და ტელეტოვიჩის გარჯას ნაკრებებში. საქართველოსა და ბოსნიის მატჩებამდე თუ იცნობდით ერთმანეთს?**



- ერთურთი სარაევოში გავიცანით, თუმცა ბევრი არ გვილაპარაკია, რადგან ტელეტოვიჩს სათანადო განწყობა არ ჰქონდა. მოგეხსენებათ, ის შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა. საპირისპიროდ, უხასიათოდ ვიყავი ბოსნიასთან თბილისური შეხვედრისას, რომელიც ბოლო წამებზე დრამატულ ბრძოლაში წავაგეთ.

**- ორლანდოს კემპისას „ბრუკლინის" მაისურით მსუბუქ ფორვარდადაც თამაშობდი და მძიმედაც. ალბათ, ოფიციალურ შეხვედრებშიც ასე იქნება.**

- შემიძლია მეოთხე ნომრად თამაშიც და მესამე ნომრადაც. მწვრთნელს სადაც დავჭირდები, იქ დავდგები. სერიოზული კონკურენციაა როგორც ერთ, ასევე მეორე პოზიციაზე. მსუბუქი ფორვარდის ამპლუაში არიან ჯერალდ უოლასი და ჯოშ ჩილდრესი, ამავე პოზიციაზე შეუძლია კარგად თამაში მირზა ტელეტოვიჩს, თუმცა ჯერ ისიც გასარკვევია, სად მოუწევს მას გარჯა.

**- „ბრუკლინი" საგრძნობლად გაძლიერდა, კონფერენციის ერთ-ერთ ფავორიტად იქცა.**

- ლიგაში ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი იქნება. ყველა რგოლი თანაბრადაა დაბალანსებული. დანარჩენს უშუალოდ თამაშები გვიჩვენებს.

### როგორ მოვხვდეთ NBA-ში?

იყო დრო, NBA-ს კალათბურთელებს შორიდან ვუყურებდით, მათი თამაშით ვტკბებოდით, მაგრამ არ ვიცოდით, როგორ შეიძლებოდა ამერიკულ ზღაპარში მოხვედრა, მფრინავი ხალიჩა უნდა გამოგვეყენებინა, თუ ცეცხლი დაგვენთო და ალზე ავმხტარიყავით. თორნიკე შენგელია მეოთხე ქართველი კალათბურთელი იქნება, რომელიც NBA-ში ითამაშებს. აი, რას ურჩევს იგი ახალგაზრდა სპორტსმენებს:

- NBA-ში თამაში რეალობად მაშინ იქცევა, თუ პატარაობიდანვე იქ მოხვედრას დაისახავ მიზნად. სავალი გზა მეტად რთულია, ამერიკის საკალათბურთო ასოციაციაში რომ მოხვდე, სხვას უნდა სჯობდე, რისთვისაც აუცილებელია სხვაზე მეტი ივარჯიშო.

**- როგორ ფიქრობ, საქართველოში არის იმის საფუძველი რომ ახალგაზრდა მაღალი დონის სპორტსმენად ჩამოყალიბდეს?**

- ნამდვილად არის. საქართველოში 15 წლამდე ვვარჯიშობდი. მას მერე, რაც უცხოეთში წავედი, პირობები კიდევ უფრო გაუმჯობესდა.

**- ბავშვებთან ახლა თუ გიხდება ურთიერთობა?**

- არის არაერთი კემპი, რომლებზეც გამოცდილი კალათბურთელები ახალგაზრდებს ბევრს ასწავლიან. „ბრუკლინშიც" იქნება მსგავსი ღონისძიებები. პატარებთან ურთიერთობის შანსს ხელიდან არ გავუშვებ, რადგან კარგად მესმის, რას ნიშნავს მათთვის კალათბურთელებთან ურთიერთობა. ბავშვი ვიყავი, ზაზა ფაჩულიამ თბილისში კემპი რომ მოაწყო. მეც დავესწარი და დღესაც ყველაფერი ნათლად მახსოვს.



---

ლეგიონერი

### გამარჯვება ვალიადოლიდთან

ესპანეთის ჩემპიონატი 29 სექტემბერს დაიწყება. მასში მონაწილე გუნდები გამალებით ემზადებიან კარსმომდგარი პირველობისთვის. მათ შორისაა სევილიური „კახასოლი", რომელშიც 18 წლის ქართველი **ბექა ბურჯანაძე** ირიცხება.

მან უკლებლივ ყველა საკონტროლო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და გუნდს ქულებითაც ეხმარება და მოხსნებითაც. ბოლო მატჩი მისი „კახასოლისთვის" წარმატებული გამოდგა - სევილიელებმა სამმატჩიანი შესვენების შემდეგ გამარჯვებას მიაღწიეს. თანაც სტუმრად, „ვალიადოლიდთან". „კახასოლს" 100 ქულამდე მისაღწევად 5 დააკლდა - 95:67.

ბექამ თანაგუნდელებს 3 ქულა შეაშველა. მატჩის ბომბარდირი სევილიელი **ბოგდანოვიჩი** გახდა (20 ქულა), **ჰოლანდმა** 17 ქულა ჩააგდო, ხოლო ხოლო **ესბარიმ** - 16.

ესპანეთის ჩემპიონატის საწყის ტურში, 29 სექტემბერს „კახასოლი" „მურსიას" მიიღებს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ლეგიონერები

# ფრანგული დერბი ქართველების შესრულებით



ბურთით გურამ კავთიძე

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მეექვსე ტურის წინ დაუმარცხებელი ერთი გუნდია, დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას „ტულონი“. ჩვენებურთა ამ გუნდმა წლეულს სეზონი ისე, როგორც არასდროს, კარგად დაიწყეს და ჩემპიონობაზე აქედანვე გააკეთეს განაცხადი.**

„ტულონი“ მეექვსე ტურში შინ ეთამაშება **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს“. მიუხედავად იმისა, რომ ტულონელებს საკუთარი მოედნის ფაქტორი ხელს შეუწყობს, მატჩი მათთვის მაინც რთული იქნება — კასტრელები ფრანგულ რაგბიში ერთ-ერთი ყველაზე მებრძოლი გუნდია.

ტულონელები ეცდებიან წაუგებელი სერია განაგრძონ. გამორიცხული არ არის, რომ ძირითად შემადგენლობაში ერთდროულად ითამაშონ მგეზავებმა **ჯონი ვილკინსონმა** და **ფრედერიკ მიშალაკმა.** სამწუხაროდ, ტრავმის გამო მოედანზე გასვლას ვერ შეძლებს საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი **დავით ქუბრიაშვილი.**

ალსანიშნავია, რომ შარშანდელ სეზონში ამ გუნდებს შორის ორივე შეხვედრა ფრედ დასრულდა, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ამჯერადაც უკომპრომისო ბრძოლაა მოსალოდნელი. კასტრელთა შემადგენლობაში ისევ ვერ იასპარეზებს ტრავმირებული ანტონ ფეიქრიშვილი. სტუმართა გუნდს დააკლდება ასევე **მატიას როლანი, იბრაჰიმ დიარა, დანიელ კირკპატრიკი** და **მაქს ევანსი.**

**დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონმა“ ხუთი თამაშიდან ოთხი მოიგო და სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზეა. „ვულკანები“ მე-6 ტურში შინ ხვდებიან დივიზიონის დებიუტანტ „გრენობლს“, რომელიც ყველასთვის მოულოდნელად შესანიშნავად ასპარეზობს. „ალპელები“ 14 ქულით მე-6 ადგილზე არიან და კლემონს 4 ქულით ჩამორჩებიან.

მასპინძლებს ტრავმის გამო საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი დავით ზირაქაშვილი და უელსელი ფულბეკი **ლი ბირნი** დააკლდებათ. სამაგიეროდ გამოჯანმრთელდნენ და მეტოქეს დაუხვდებიან **ბენჟამინ კაიზერი, სიტივენი სივივატუ, ნათან ჰინესი** და **ენტონი ფლოში.**

საფრანგეთის ჩემპიონის, **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი“ სტუმრად ეთამაშება ბასკურ „ბაიონს“. ტულუზელებმა მე-5 ტურში, ბარსელონაში მოულოდნელად წააგეს კატალონიურ „პერპინინათან“. ფრანგული რაგბის გრანდს არ სჩვევია ზედიზედ ორჯერ წაგება და, სავარაუდოდ, „ბაიონთან“, რომელიც 7 ქულით მე-11 ადგილზეა და პოტენციური აუტსაიდერია, გამარჯვებას უნდა მიაღწიოს.

ბრეგვაძე და კაკოვინი ტრავმირებულნი არიან და ვერ ითამაშებენ. სამაგიეროდ გამოჯანმრთელდა **კრისტოფ ტოლეაფუა**, ასე რომ, სამწვრთნელო ასპარეზზე გადაბარგებულ **ვილიამ სერვას** ბუცების ლურსმნიდან ჩამოხსნამ აღარ მოუწია.

**მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიე“ სტუმრად ეთამაშება „ბორდოს“, რომელსაც მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს. ბორროდოელებმა მეხუთე ტურში პარიზულ „სტად ფრანსეს“ სძლიეს და „მონპელიეს“ ამაღლებული განწყობით შეეგებებიან.

ჩვენებურთა გუნდს ტრავმის გამო გიორგი ჟღენტი დააკლდება. არგენტინის ნაკრებიდან კი **მაქსიმილიანო ბუსტოსი** დაუბრუნდა. დანარჩენი, ოთხი არგენტინელი კი ეროვნული გუნდის შემადგენლობაში რჩება.

**ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსე“ შინ მიიღებს „ტულუზის“ მძლეველ „პერპინიანს“. პარიზელებმა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ დაძლიეს კრიზისი და 6 ქულით მათთვის უჩვეულო მე-12 ადგილზე არიან.

## I დივიზიონი

### VI ტური

**ბაიონი-ტულუზი, ტულონი-კასტრი, სტად ფრანსე-პერპინიანი, კლერმონი-გრენობლი, მონ დე მარსანი-აჟენი, ბორდო-მონპელიე, მეტრო რასინგი-ბიარიცი.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ტულონი - 22 ქულა, 2. კლერმონი - 18, 3. ბიარიცი - 17, 4. კასტრი - 15, 5. ტულუზი - 15, 6. გრენობლი - 14, 7. მეტრო რასინგი - 14, 8. პერპინიანი - 1, 9. მონპელიე - 10, 10. ბორდო - 9, 11. ბაიონი - 7, 12. სტად ფრანსე - 6, 13. აჟენი - 6, 14. მონ დე მარსანი - 0.**

მეხუთე ტურის შეხვედრების წინ საპლეიოფო ექვსეულში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდია. **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილის** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკი“, რომელიც 12 ქულით მე-2 ადგილზეა, შინ ეთამაშება დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა და გოდერძი შველიძის „ბრივს“. ეს ქალაქები მეზობლები არიან და მათი დაპირისპირება მუდამ დერბად მიიჩნევა.

ალსანიშნავია, რომ „ბრივი“, რომელიც ელიტური პირველი დივიზიონიდან დაქვეითდა, იმთავითვე გათამაშების ფავორიტად მიიჩნეოდა, თუმცა ოთხი თამაშიდან მხოლოდ ორი მოიგო და ათი ქულით მე-9 ადგილზეა.

დივიზიონის უმთავრესი ფავორიტია **გურამ კავთიძის** „ლიონი“, რომელიც ასევე ეშურება ელიტურ, პირველ დივიზიონში დაბრუნებას. ლიონელები მე-5 ტურში შინ ეთამაშებიან „ლა როშელს“ და, სავარაუდოდ, იოლად უნდა სძლიონ.

მეხუთე ტურში საინტერესო იქნება „მასისა“ და „ალბის“ დაპირისპირება. ამ მატჩში მოედანზე ერბაშად ექვსი ქართველი იქნება. შალვა სუთიაშვილისა და დავით აშვეთიას „მასიმ“, რომელიც დივიზიონის დებიუტანტია, ორი თამაში მოიგო და რვა ქულით მე-11 ადგილზეა. **ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, გიორგი თეთრაშვილისა** და **კახაბერ კობერიძის** „ალბი“ მას ერთი ქულით უსწრებს და სატურნირო ცხრილში მე-10 საფეხური უჭირავს.

## II დივიზიონი

### V ტური

**ტარბი-კარკასონი, მასი-ალბი, ნარბონი-დაქსი, ოიონაქსი-კოლომიე, ოში-პო, ბეზიე-ექსი, ლიონი-ლა როშელი, ორიაკი-ბრივი.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ოიონაქსი - 15 ქულა, 2. ორიაკი - 12, 3. პო - 12, 4. ლიონი - 11. 5. კარკასონი - 11, 6. ლა როშელი - 10, 7. ტარბი - 10, 8. კოლომიე - 10, 9. ბრივი - 10, 10. ალბი - 9, 11. მასი - 8, 12. ოში - 8, 13. ექსი - 7, 14. ნარბონი - 6, 15. ბეზიე - 5, 16. დაქსი - 1.**



მარცხნივ დავით ხინჩაგიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი



„ჯიქები“ - „აია“

# ეპიცენტრი- თბილისიც, ბათუმიც, ქუთაისიც

**საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში სამი ტურის შემდეგ დაუმარცხებელი თბილისის ორი გუნდია — „ლელო“ და „არმაზი“. ორივე გუნდს მეოთხე ტურში უმძიმესი მატჩები ელის და გამორიცხული არ არის, გათამაშებაში დაუმარცხებელი აღარავინ დარჩეს.**

თბილისის „ლელოსა“ და ქვეყნის ჩემპიონის „არმიას“ მატჩი ტურის ცენტრალური შეხვედრა იქნება. ეს მატჩი „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ გაიმართება და რაგბის ქომაგებში დიდ ინტერესს იწვევს. ლელოელებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამი თამაშიდან სამივე მოიგეს, თანაც ისე, რომ სამივე შეხვედრაში პრემიალური ქულები მიითვალეს.

„ლელოს“ წარმატებული სტარტის მიზეზი, სავარაუდოდ, ახალგაზრდობისა და გამოცდილების შესანიშნავი სინთეზია. **მიხეილ სუჯაშვილს, რეზო ბელქანიას, ლაშა ხმალაძეს, გიორგი კაჭარავას** და **ირაკლი ყიასაშვილს** მხარს ახალგაზრდა მორაგბეები ბრწყინვალედ უბამენ, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებების წევრები არიან.

„არმიამ“ სეზონი გამარჯვებით კი დაიწყო, მაგრამ მერე მეორე ტურში კონკურენტთან და ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან ქუთაისის „აიასთან“ შინ წააგო. ამ წაფორხილების შემდეგ არმიელებმა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ თბილისის „ლოკომოტივთან“ უფრო მეტი შემართებით ითამაშეს და 18:12 დაამარცხეს.

სავარაუდოდ, სწორედ „ლელოსა“ და „არმიას“ დაპირისპირება გაარკვევს, ვინ არის მიმდინარე ჩემპიონატის რეალური ფავორიტი. ცხადია, ამ გუნდების ფინანსურ შესაძლებლობებში დიდი განსხვავებაა, თუმცა „ლელოს“ წლეულს შესანიშნავი და საკამოდ გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს, რაც თამაშის ნებისმიერ დროს ტაქტიკის ცვლილების საშუალებას იძლევა.

თბილისის „არმაზი“ კი, რომელიც „ლელოს“ კვალში მიჰყვება, სტუმრად ითამაშებს „ბათუმთან“. შავიზღვისპირელები მე-3 ტურში თბილისში დამარცხდნენ „ლელსოთან“ დიდი ანგარიშით 37:10. თუმცა შინ, ეს გუნდი ბევრად უფრო მობილიზებული და სხიფათოა. მით უფრო, რომ არმაზელები წლევანდელ ჩემპიონატში პირველად ჩაატარებენ გასვლით მატჩს. ცხადია, საინტერესოა, გათამაშების ყველაზე დიდი მოულოდნელობა, „არმაზი“, რამდენად შეძლებს ძალების კონცენტრაციას და სასურველი შედეგის მიღწევას.

კიდევ ერთი, არანაკლებ საინტერესო დაპირისპირებაა ქუთაისში, სადაც „აია“ ქართული რაგბის ფლაგმანს, თბილისის „ლოკომოტივს“ უმასპინძლებს. რკინიგზელებმა წლევანდელი ჩემპიონატი უჩვეულოდ ცუდად დაიწყეს. მათ სამი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგეს და გამორიცხული არ არის, ამბიციურ „აიასთან“ მატჩის შემდეგ ამ გუნდის სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდეს.

ქუთათურებმა მესამე ტურში მოულოდნელად წააგეს სტუმრად უმაღლესი ლიგის დებიუტანტ თბილისის „ილიაუნი ჯიქთან“. ცხადია, ამ ალიყურის შემდეგ მოთამაშე მწვრთნელი **ბესიკ ხამაშურიძე** გუნდის თამაშში კორექტივებს შეიტანდა და შინ რკინიგზელებთან, მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

„ილიაუნი ჯიქი“ თავის მხრივ თბილისის „აკადემიას“ დაუპირისპირდება, რომელსაც ჯერ მოგებათა გრაფაში ნული უწერია. აკადემიელები ყველაფერს ილონებენ, რათა ნავსი გატეხონ და პირველად მოიგონ. თუმცა, რა კოზირი უნდა გამოიყენონ შესანიშნავად მოთამაშე ახალგაზრდა „ჯიქებთან“, ძნელი სათქმელია.

წარმატების მისაღწევად, ვფიქრობთ, „ჯიქებს“ მეტოქის სათანადოდ შეფასება მართებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოლომდე თავდადებით მებრძოლ აკადემიელებს მათი დასჯა შეუძლიათ.

მიმდინარე გათამაშებაში ჯერ არ მოუგია თბილისის „ყოჩებსაც“, რომელიც შინ რუსთავის „ხარებს“ უმასპინძლებს. რუსთაველებმა პირველი გამარჯვება მესამე ტურში იზეიმეს „აკადემიასთან“ მატჩში, თუმცა მათთან ერთად მაინც აუტსაიდერად მიიჩნევა.

### IV ტური

**აკადემია-ილიაუნი ჯიქი, აია-ლოკომოტივი, არმია-ლელო, ბათუმი-არმაზი, ყოჩები-ხარები.**

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 3 | 3 | 0 | 0 | +77 | 15 |
| 2. არმაზი | 3 | 3 | 0 | 0 | +35 | 12 |
| 3. არმია | 3 | 2 | 0 | 1 | +21 | 10 |
| 4. აია | 3 | 2 | 0 | 1 | +5 | 9 |
| 5. ჯიქები | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 8 |
| 6. ლოკომოტივი | 3 | 1 | 0 | 2 | +7 | 6 |
| 7ხარები | 3 | 1 | 0 | 2 | -14 | 5 |
| 8. ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | -34 | 4 |
| 9. ყოჩები | 3 | 0 | 0 | 3 | -45 | 1 |
| 10. აკადემია | 3 | 0 | 0 | 3 | -49 | 1 |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ფორმულა 1

# 2013 წლის კონტურები

## სინგაპურის გრანპრის ორივე პრაქტიკა სებასტიან ფეტელმა მოიგო

გამოცემა Pitpass-მა გამოაქვეყნა მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონატის კალენდრის წინასწარი ვერსია. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალ კალენდარში არ მოინახა ადგილი ევროპის გრანპრისთვის, რომელიც ვალენსიაში იმართებოდა, მისი ადგილს კი ახალი რბოლა დაკავებს - ნიუ ჯერსის გრანპრი.

თუ ნიუ იორკში ამ ეტაპის ორგანიზატორები ყველა დანაპირებს შეასრულებენ და გრანპრის ჩაატარებენ, მაშინ 1984 წლის შემდეგ პირველად, ფორმულა 1-ის ერთ სეზონში აშშ-ში ორი რბოლა გაიმართება (1984 წელს კალენდარში იყო დეტროიტისა და დალასის რბოლები).

სხვა სერიოზული ცვლილებები არ არის – ტრადიციულად, ჩემპიონატი გაიხსნება ავსტრალიაში რბოლით, ამას მოჰყვება აზიური ეტაპები, შემდეგ კი "დიდი ცირკი" ევროპაში გადმოინაცვლებს. შემდეგ იქნება ორი ჩრდილოამერიკული ეტაპი, ისევ ევროპა, ბოლოს აშშ და ბრაზილიაში დასკვნითი ეტაპი.

შევნიშნავთ, რომ კალენდარი წინასწარია (მასში თარილებიც არ არის მითითებული) და ის უნდა დამტკიცდეს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიოს საბჭოს სხომაზე.

მანამდე კი პროექტს ასეთი სახე აქვს:

**1. ავსტრალია (მელბურნი)**
**2. მალაიზია (სეპანგი)**
**3. ჩინეთი (შანხაი)**
**4. ბაჰრეინი (საჰირი)**
**5. ესპანეთი (ბარსელონა)**
**6. მონაკო (მონტე კარლო)**
**7. კანადა (მონრეალი)**
**8. ნიუ ჯერსი (ნიუ იორკი)**
**9. ბრიტანეთი (სილვერსტოუნი)**
**10. გერმანია (ჰოკენჰაიმი)**
**11. უნგრეთი (ბუდაპეშტი)**
**12. ბელგია (სპა)**
**13. იტალია (მონცა)**
**14. სინგაპური (სინგაპური)**
**15. იაპონია (სუზუკა)**
**16. კორეა (იონამი)**
**17. ინდოეთი (ნიუ-დელი)**
**18. აბუ დაბი (აბუ დაბი)**
**19. აშშ (ოსტინი)**
**20. ბრაზილია (სან პაულუ)**

■ ■ ■

გერმანულ პრესაში უკვე დარწმუნებით წერენ იმის შესახებ, რომ ამ სეზონის შემდეგ, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** დატოვებს "მერსედესს". ჟურნალისტები მის ადგილს ბრიტანელ **ლუის ჰემილტონს** უწინასწარმეტყველებენ.

მაგრამ, არსებობს იმის შანსი, რომ ლეგენდარული პილოტი უმუშევარი არ დარჩება. შუმახერის გადაბირების სურვილს გამოთქვამს შვეიცარიული საჯინიბო "ზაუბერი".

*"თუ მიხაელი უმუშევარი დარჩა, არც დავფიქრდები, ისე შევთავაზებთ მას კონტრაქტს"*, - ამბობს საჯინიბოს მფლობელი **პეტერ ზაუბერი**.

■ ■ ■

გუშინ გაიმართა სინგაპურის გრანპრის ორი თავისუფალი ვარჯიში. პირველი სველ ასფალტზე ჩატარდა, რადგან პრაქტიკის წინ გაწვიმდა და პილოტები საშუალედო და წვიმის საბურავებით გავიდნენ.

მრბოლელები შეცდომებს უშვებდნენ, მაგრამ სერიოზულ ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია. საუკეთესო წრე **სებასტიან ფეტელმა** დააფიქსირა - 1.50,566.

მეორე სესიისას ასფალტი მშრალი იყო და გუნდებმა დასახული გეგმით დაიწყეს მუშაობა, საუკეთესო დრო კი ისევ ფეტელმა აჩვენა - 1.48,340.



სებასტიან ფეტელი

ჰოკეი

# ყველა კლუბი ბეტმენის მხარესაა

"მონრეალ კანადიენსის" მფლობელმა **ჯეფ მოლსონმა** გამოთქვა დამაჯერებელი აზრი იმის შესახებ, რომ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ლოკაუტი მალე დასრულდება.

*"რა თქმა უნდა, ბოლო 20 წლის განმავლობაში მეოთხე ლოკაუტმა, შესაძლოა, სერიოზულად იმოქმედოს ლიგის რეპუტაციაზე. მაგრამ NHL-თვის საჭირო ჯანსაღი ეკონომიკური სისტემა. შესაბამისად, ოცდაათივე კლუბის მფლობელი მხარს უჭერს კომისარ გერი ბეტმენის მიდგომას. ამასთან, ჩვენი გეგმაა, რაც შეიძლება სწრაფად დავიწყოთ თამაში და იმედია, ხელშეკრულება მაქსიმალურად სწრაფად გაფორმდება"*, - თქვა მოლსონმა.

ამასობაში, ESPN ირწმუნება, რომ ამ კვირას, ჰოკეის ეროვნული ლიგისა და მოთამაშეთა პროფკავშირის შეხვედრა, სავარაუდოდ, არ გაიმართება. ლოკაუტის გამოცხადების შემდეგ იყო ვარაუდი, რომ მხარეები უახლოეს პერიოდში გააგრძელებდნენ მოლაპარაკებას, მაგრამ ასე არ მოხდა. შეგახსენებთ, რომ უკვე გაუქმდა საგამოფენო მატჩები, გარდა ამისა, არ გაიხსნება საწვრთნელი ბანაკები.

კალათბურთი. NBA 2012-13 წელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

დირკი, დერონი და სუპერმენი: დიდი ტრიო არ შედგა

# სეზონის წინ: დალას მავერიქსი



**ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალურ ვებვერდზე დაიწყო 2012-13 წლების სეზონის წინ გუნდების წარდგენა. ლაკონური, მაგრამ ინფორმაციით დატვირთული მიმოხილვები კარგ წარმოდგენას შეგიქმნით სეზონის წინ გუნდების მზადებაზე.**

### დალას მავერიქსი 2011-12

**თავდასხმა:** საშუალოდ 101 ქულა - მე-20 ლიგაში

**მცველი:** საშუალოდ 99,7 ქულა - მე-8 ლიგაში

### წინა ხაზი

**კრის კამანის** გაფორმება - ხელმძღვანელობის შესანიშნავი გადაწყვეტილებაა. მისი კონტრაქტი ერთწლიანია და დაგვეთანხმეთ - რვა მილიონი საკმაოდ ადეკვატური ხელფასია მოთამაშისთვის, რომელიც საშუალოდ მატჩში ორმაგ დუბლს აკეთებს. თუმცა თავის სტატისტიკაში რამდენიმე მოხსნას მაინც დაკარგავს, რადგან „დალასმა“ ასევე **ელტონ ბრენდიც** დაიმატა, რომელიც „ფილადელფიამ“ მოიშორა.

**შეფასება:** 5 მინუსით

### უკანა ხაზი

გამთამაშებლის პოზიციაზე ძალიან სურდათ **დერონ უილიამსის** ხილვა, მაგრამ არ გამოვიდა. საბოლოოდ, მობერებული **ჯეისონ კიდი** და **ჯეისონ ტერი** „ნიუ იორკსა“ და „ბოსტონში“ გაუშვეს, მათ ადგილი კი ახალგაზრდა და პერსპექტიულმა - **ო'ჯეი მაიომ** და **დარენ კოლისონმა** დაიკავეს.

**შეფასება:** 4

### დაცვა

**ბრენდონ ჰეივუდისა** და **იან მაინმის** წასვლით, „დალასმა“ სიმაღლე დაკარგა. უკანა ხაზიც არ არის მაღალი, რასაც მეტოქის გუნდის მაღალი მცველები გამოიყენებენ. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად საშიში არაფერი მომხდარა, მაგრამ გაუმჯობესებაც არ არის.

**შეფასება:** 3 მინუსით

### სათადარიგოთა სკამი

„მავერიქსს“ მცველების საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს - ახალბედა **ჯარედ კანიგემი, დანტეი ჯონსი, როდრიგ ბობუა** და **დელონტე ვესტი**. ფორვარდის პოზიციაზე დახმარება შეუძლიათ **ვინს კარტერსა** და **ბრენდან რაიტს**.

**შეფასება:** 4 მინუსით

### მწვრთნელი

გასულ სეზონში „ტორონტომ“ გადაიბირა დაცვის ექსპერტი **დუეინ კეისი**. შემდეგ „პორტლენდში“ წავიდა შეტევის სპეციალისტი **ტერი სტოლტსი**. „დალასმა“ ძლივს შეინარჩუნა მთავარი მწვრთნელი **რიკ კარლაილი** და მასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა.

**შეფასება:** 4 მინუსით

### საბოლოო შეფასება

იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ გუნდს ჯერ დერონ უილიამსის, შემდეგ კი **დუაიტ ჰოვარდის** გადაბირება სურდა. ამიტომაც, გუნდის მფლობელმა **მარკ ქიუბანმა** და მთავარმა მენეჯერმა **დონი ნელსონმა** გასული სეზონი ჩააგდეს და დიდად არ იზრუნეს ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაზე. შემდეგ რაც მოხდა, ცნობილია: დერონმა „ბრუკლინთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა, დუაიტი კი **კობი ბრაიანტთან** „ლეიკერსში“ წავიდა, რითაც „დალასმა“ „ბ“ გეგმა აამუშავა.

თუმცა „დალასს“ აქვს მომავალ ზაფხულს ჰოვარდისთვის ბრძოლის შანსი, მაგრამ ეს ძალიან რთული იქნება. „სუპერმენს“ ძალიან უნდოდა „ორლანდოს“ დატოვება, ხოლო საკუთარი ნიჭის ისეთ გუნდში რეალიზება, როგორიც „ლეიკერსია“ - ერთი სიამოვნებაა. ასეა თუ ისე, „დალასის“ ხელმძღვანელობა ყოველთვის პოულობდა პრობლემების მოგვარების ვარიანტებს. ასე მოხდა ამჯერადაც, მაგრამ დაგვეთანხმებით, ჩემპიონობის პრეტენდენტობამდე ეს გუნდი ვერ ქაჩავს.

**საერთო შეფასება:** 4

# ახალი ამბები NBA-დან

"ფინიქს სანზის" ფორვარდს **ჩენინგ ფრაის** გულზე სერიოზული პრობლემები აღმოაჩნდა, - იტყობინება კლუბის ოფიციალური ვებგვერდი. ლაპარაკია მიიოკარდის ისეთ დაავადებაზე, როგორიცაა კარდიომიოპატია.

კალათბურთელს ავადმყოფობა წინასასეზონო სამედიცინო შემოწმებისას დაუდგინეს. ფრაი დროებით ჩამოაშორეს გუნდთან ერთად ვარჯიშს, დეკემბერში კი ის ხელახალ შემოწმებას ჩაიტარებს.

ფორვარდი "ფინიქსში" 2009 წლიდან გამოდის და საშუალოდ მატჩში 11.5 ქულასა და 5.9 მოხსნას აგროვებს.

■ ■ ■

"მინესოტას" ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ ესპანელი გამთამაშებელი **რიკი რუბიო** მალე გაივლის აღდგენით კურსს.

კლუბის მფლობელმა **გლენ ტეილორმა** თავის ბოლო ინტერვიუში განაცხადა, რომ *"რუბიო აუცილებლად მოახერხებს შობამდე მოედანზე დაბრუნებას"*.

მუხლის მძიმე ტრავმის გამო, გასულ სეზონში ესპანელმა მხოლოდ 41 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ, 10.6 ქულა და 8.2 შედეგიანი პასი დააგროვა.

■ ■ ■

31 წლის მცველმა **მარკიზ დენიელსმა** ერთწლიანი გარანტირებული კონტრაქტი გააფორმა „მილუოკისთან“, - იტყობინება Sportando. გასულ კვირას, კალათბურთელმა ღია ვარჯიში ჩაატარა გუნდის საწვრთნელი შტაბისთვის, რომელიც კმაყოფილი დარჩა დენიელსის ფიზიკური მდგომარეობით.

შეგახსენებთ, რომ ადრე ეს მცველი „ინდიანას“, „დალასისა“ და „საკრამენტოს“ რიგებში გამოდიოდა.

■ ■ ■

კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა 32 წლის მცველმა **კენიონ დულინგმა** და შესაბამისად, ამ კალათბურთელთან კონტრაქტი გაწყვიტა „ბოსტონ სელტიქსმა“. ეს გუნდი დულინგს შარშან არც ისე ხშირად იყენებდა - კენიონმა 46 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ, 4.0 ქულა, 1.1 პასი და 0.8 მოხსნა დააგროვა.

დულინგი 2000 წელს, „ორლანდომ“ დრაფტის მე-10 ნომრად აირჩია და მას შემდეგ, მცველმა „კლიპერსის“, „მაიამის“, „ორლანდოს“, „ნიუ ჯერსის“, „მილუოკისა“ და „ბოსტონის“ რიგებში ითამაშა. სულ მის ანგარიშზე 721 მატჩი მოდის, საშუალო სტატისტიკა კი 7.0 ქულასა და 2.2 შედეგიან პასს შეადგენს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



კენიონ დულინგი

● კრივი

# ხალხი ჰატონზე მიდის

## ძმებ კლიჩკოებს მწვრთნელი უკვდებათ

24 ნოემბერს ქალაქ მანჩესტერში ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, 33 წლის ბრიტანელი **რიკი ჰატონი** სამწლიანი პაუზის შემდეგ, პირველ ბრძოლას ჩაატარებს. მისი მეტოქე ჯერაც არ არის ცნობილი, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა კრივის ბრიტანელი გულშემატკივრები - ბილეთების გასაყიდად გამოტანის მომენტიდან 48 საათის შემდეგ, უკვე 18 ათასი ბილეთი იყო რეალიზებული. ცნობისთვის, ბრძოლის ჩატარების ადგილი - Manchester Arena 19 ათას მაყურებელს იტევს.

*„უბრალოდ გასაოცარია, რამდენად სწრაფად იყიდებოდა ბილეთები,* - ამბობს ჰატონი. - *მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც მხარს უჭერს ჩემს რინგზე დაბრუნებას. საოცარია, რომ ასეთ რთულ ეკონომიკურ პირობებში, ბევრი ადამიანი აპირებს ბრძოლის სანახავად ფულის გადახდას და ჩემ მხარდაჭერას.*

*როცა დაბრუნების შესახებ გამოვაცხადე, ყველას ვუთხარი - ეჭვგარეშეა, რომ ისევ გავხდება მსოფლიოს ჩემპიონი. იმის გათვალისწინებით, რამდენს ვვარჯიშობ დარბაზში, რამდენად კარგად ვგრძნობ თავს და რამდენად მჯერა საკუთარი შესაძლებლობების, ჩემი რწმენა კიდევ უფრო მტკიცდება“.*

■ ■ ■

ცუდი ამბავი შეიტყვეს ამ დღეებში **ვიტალი** და **ვლადიმერ კლიჩკოებმა** - მათ მწვრთნელს **ემანუელ სტიუარდს** ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები აქვს.

კერძოდ, ცნობილ სპეციალისტს, კრივის დიდების დარბაზის წევრს კიბოს ავადმყოფობა დაუდგინეს. კანადელი პრომოუტერის **ივონ მიშელის** თქმით, სტიუარდი ამჟამად საავადმყოფოშია, სადაც აუცილებელ პროცედურებს გადის ქირურგიული ჩარევის წინ.

მოულოდნელი დიაგნოზის გამო, სტიუარდი არ ესწრებოდა გასულ კვირას **სერხიო მარტინესისა** და **ხულიო სესარ ჩავესის** შეხვედრას, ასევე ვერ დაეხმარება ის თავის კანადელ შეგირდს **ადონის სტივენსონს**, რომელიც 12 ოქტომბერს შეხვდება **დონოვან ჯორჯს**.

ექიმები შორსმიმავალ პროგნოზს ჯერ არ აკეთებენ.




სტიუარდი და ვიტალი კლიჩკო

● ძიდაობა

# გაკოტრებული ჩემპიონი

41 წლის ამერიკელი მოჭიდავე **რულონ გარდნერი**, რომელმაც ლეგენდარულ რუსს **ალექსანდრ კარელინს** კარიერაში ერთადერთი მარცხი აგემა, ბანკროტად გამოცხადდა.

ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტის ფედერალურმა სასამართლომ 2000 წლის ოლიმპიური ჩემპიონის ქონების აუქციონზე გაყიდვა დაადგინა. დავამატებთ, რომ კრედიტორები მოჭიდავისგან 2.9 მილიონ დოლარს ითხოვენ, არადა, ამ მომენტისთვის გარდნერისა და მისი მეუღლის ყოველთვიური შემოსავალი მხოლოდ სამი ათასი დოლარია. ჩემპიონის ქონება აუქციონზე ოქტომბრის ბოლოს გაიყიდება.

წარმატებული სპორტული კარიერის მიუხედავად, გარდნერი ცნობილია, როგორც რთული ბედის მქონე ადამიანი. ის მოხვდა ავიაკატასტროფაში, ჩამოვარდა მოტოციკლიდან, თოვლმავლით სეირნობისას ტყეში დაიკარგა, რამაც ფეხების მოყინვა გამოიწვია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ბლექბერნი-მიდლსბრო | 1:2 |
| **ნასიონალი** | |
| გრიმსბი-ლუტონი | 4:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ემპოლი-ტერნანა | 0:2 |
| ვერონა-ნოვარა | 1:1 |
| **სერია C1/B** | |
| ბენევენტო-აველინო | 1:2 |
| **გერმანია** | |
| ნიურნბერგი-აინტრახტი | 1:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფრანქფურტი-სტ. პაული | 2:1 |
| უნიონი-კიოლნი | 2:1 |
| აალენი-აუე | 2:0 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ვეენი-ჰაიდენჰაიმი | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| კლოპენბურგი-ჰამბურგი II | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| კიოლნი II-ფორტუნა | 1:2 |
| ბოხუმი II-ვიდენბრუკი | 0:0 |
| ზიგენი-ლევერკუზენი II | 1:0 |
| დუისბურგი II-ობერჰაუზენი | 2:1 |
| ესენი-ჰულსი | 3:0 |
| **რეგიონალლიგა (ს-დ)** | |
| ტრირი-კობლენცი | 0:1 |
| ულმი-ელვერსბერგი | 2:0 |
| ჰომბურგი-ვორმატია | 1:2 |
| პფიულენდორფი-მანჰაიმი | 1:2 |
| ზონენჰოფი-ბაიერნი (ა) | 4:1 |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| აუგსბურგი II-მემინგენი | 1:1 |
| ფიურტი II-ფრონლახი | 1:0 |
| ჰელმსშტეტენი-მიუნხენი II | 1:0 |
| **საფრანგეთი** | |
| მონპელიე-სტ. ეტიენი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| არლი-შატორუ | 1:1 |
| გფკო აიაჩო-ანჟერსი | 0:1 |
| ისტრი-ნიმი | 2:0 |
| ლავალი-კაენი | 1:2 |
| ჰავრი-ნანტი | 1:1 |
| ლე მანი-ნიორი | 2:2 |
| ლანსი-მონაკო | 0:4 |
| ტური-სედანი | 1:1 |
| **ნასიონალი** | |
| ამიენი-ვანი | 0:1 |
| **ჰოლანდია** | |
| როდა-უტრეხტი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-მაასტრიხტი | 2:3 |
| ალმერი-გრააფსხაპი | 1:0 |
| კამბური-სპარტა | 3:2 |
| ემენი-ვეენდამი | 2:1 |
| ექსელსიორი-ეინდჰოვენი | 1:1 |
| დორდრეხტი-ტელსტარი | 3:2 |
| ვოლენდამი-ტოპ ოსი | 3:1 |
| იგლზი-დენ ბოში | 3:0 |
| ჰელმონდი-ფორტუნა | 1:1 |
| **ბელგია** | |
| სტანდარდი-გენტი | 1:2 |

| | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| ბრიუსელი-ეუპენი | 2:1 |
| **პორტუგალია** | |
| მორეირენსე-გიმარაეში | 0:1 |
| **დანია** | |
| აგფ ორჰუსი-სონდერიისკი | 2:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ვიბორგი-სკივე | 2:1 |
| **ნორვეგია** | |
| ვიკინგი-სტრიოსგოდსეტი | 3:2 |
| **შვედეთი** | |
| იურგორდენი-ჰაკენი | 0:3 |
| **II დივიზიონი** | |
| ოსტერსი-იონჩოპინგი | 2:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლუსტენაუ-გრიოდიგი | 1:1 |
| ჰარტბერგი-ბლაუ ვაისი | 1:3 |
| კაპფენბერგი-აუსტრია (ლ) | 0:0 |
| ვენა-სტ. პოლტენი | 1:5 |
| ალტახი-ჰორნი | 3:0 |
| **თურქეთი** | |
| ქარაბუქი-ანთალია | 1:0 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-სლიგო | 0:0 |
| ბოჰემიანსი-კორკი | 1:1 |
| დერი-უნივერსიტი | 1:2 |
| დანდალკი-შელბურნი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ეთლონი-მერვუ | 0:3 |
| გალვეი-ლიმერიკი | 0:1 |
| უოტერფორდი-ლონგფორდი | 4:2 |
| უექსფორდი-ფინ ჰარპსი | 2:2 |
| **უელსი** | |
| ერებსტვიტი-ლანელი | 0:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-ბანიკი | 2:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ზნოიმო-ოპავა | 2:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| სლოვანი-ნიტრა | 5:2 |
| **რუსეთი** | |
| კრასნოდარი-მორდოვია | 6:1 |
| **II დივიზიონი** | |
| სიბირი-მეტალურგი | 1:0 |
| ტომი-სკა ენერგია | 2:2 |
| უფა-შინიკი | 2:1 |
| როტორი-ნალჩიკი | 0:1 |
| სალუტი-ტორპედო | 1:1 |
| ვოლგარი-პეტროტრესტი | 3:2 |
| ხიმკი-ენისეი | 1:2 |
| ბალტიკა-ურალი | 0:2 |
| **პოლონეთი** | |
| კორონა-პოდბესკიცე | 2:1 |
| ლეგია-პოლონია | 1:1 |
| **ხორვატია** | |
| ზაგრები-სპლიტი | 2:1 |
| ლოკომოტივა-ისტრა | 1:0 |
| **უნგრეთი** | |
| ჰალადაში-მტკ | 3:0 |
| დიოშდიორი-პაკსი | 1:0 |
| **რუმინეთი** | |
| კონკორდია-ჩახლაული | 2:1 |
| გლორია-პეტროლული | 1:1 |

| | |
|---|---|
| **მოლდოვა** | |
| რაპიდი-ოლიმპია | 0:0 |
| ისტრა-ტირასპოლი | 0:0 |
| ზიმბრუ-ნისტრუ | 4:0 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ატლანტი-დინამო (რ) | 5:2 |
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 4:2 |
| **ავსტრია** | |
| ვენა-ინსბრუკი | 4:1 |
| ვილახი-ოლიმპია | 5:2 |
| გრაცი-ზალცბურგი | 5:3 |
| დორნბირნი-ალბა | 4:2 |
| ზნოიმო-ლინცი | 3:2 |
| კლაგენფიურტი-ზაგრები | 2:3 (ო) |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-დიუსელდორფი | 2:0 |
| ვოლფსბურგი-კიოლნი | 0:4 |
| კრეფელდი-ჰამბურგი | 1:3 |
| მანჰაიმი-შტრაუბინგი | 6:2 |
| მიუნხენი-აუგსბურგი | 0:2 |
| ნიურნბერგი-ინგოლშტადტი | 3:1 |
| **დანია** | |
| ოდენსე-ფრედრიკშავნი | 2:3 |
| ოლბორგი-ჰვიდოვრე | 2:1 |
| ჰერნინგი-სონდერიისკი | 1:3 |
| ჰერლევი-ელფსბორგი | 5:4 (ო) |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცი-ნიტრა | 2:4 |
| ჟილინა-ზვოლენი | 4:5 (ბ) |
| პოპრადი-კოშიცე | 1:2 |
| ტრენჩინი-მარტინი | 3:5 |
| პიესტანი-სკალიცა | 8:2 |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-ტპს | 5:1 |
| პელიკანსი-ჰიფკ | 1:2 (ო) |
| იუვიასკიულა-ლუკო | 5:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ბრნო | 2:4 |
| ჟლინი-კარლოვი ვარი | 4:2 |
| კლადნო-ვიტკოვიცე | 4:1 |
| პლზენი-პარდუბიცე | 1:2 |
| ხომუტოვი-სპარტა | 7:5 |
| სლავია-ლიტვინოვი | 1:2 |
| ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 4:1 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი-სერვეტი | 1:4 |
| ბერნი-ბილი | 2:3 (ო) |
| კლოტენი-დავოსი | 4:1 |
| ლუგანო-ციურიხი | 5:2 |
| რაპერსვილი-ფრიბურგი | 2:3 (ო) |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. მეცი** | |
| სეპი-ფ. მაიერი | 7:5, 6:2 |
| მონფილსი-კოლშრაიბერი | 6:7, 6:4, 6:4 |
| ცონგა-ლევინე | 6:3, 6:4 |
| დავიდენკო-კარლოვიჩი | 6:7, 7:6, 6:0 |
| **ATP. სანქტ პეტერბურგი** | |
| ხიმენო ტრავერო-ჩიპოლა | 6:2, 7:5 |
| ფონინი-ბაუტისტა | 6:4, 7:6 |
| იუჟნი-გარსია ლოპესი | 6:4, 0:6, 6:3 |
| კლიჟანი-ბერანკისი | 6:3, 6:2 |
| **WTA. გუანგჯოუ** | |
| უ. რადვანსკა-ჰსიე | 1:6, 6:3, 0:6 |
| კირსტეა-**რობსონი** | 4:6, 2:6 |
| **WTA. სეული** | |
| **ვოზნიაცკი**-ზაკოპალოვა | 6:2, 6:3 |
| მარტინეს სანჩესი-**მაკაროვა** | 1:6, 1:6 |
| **ლეპჩენკო**-პაჩეკი | 4:6, 7:6, 6:4 |
| ბერტენსი-**კანეპი** | 4:6, 4:6 |

● TV პროგრამა

**22 სექტემბერი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ნიურნბერგი-აინტრახტი.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტურის წინ.
**12:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
**15:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტურის წინ.
**15:45** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. სუონსი-ევერტონი (LIVE).
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. ჩელსი-სტოკი (LIVE).
**20:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. შალკე-ბაიერნი.
**22:00** გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ჰამბურგი-დორტმუნდი.
**00:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**01:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**01:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ფლუმინენსე-ნაუტიკო (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნიუ იორკი-კლიპერსი.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** რაგბი. ოთხი ერის თასი. ავსტრალია-არგენტინა.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. შალკე-ბაიერნი (LIVE).
**19:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
**20:30** რაგბი. ოთხი ერის თასი. ახალი ზელანდია-სამხრეთ აფრიკა.
**22:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**23:00** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნიუ იორკი-კლიპერსი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.
**12:50** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი.
**15:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**16:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ჰამბურგი-დორტმუნდი (LIVE).
**19:30** კალათბურთი. ევროლიგა. მაკაბი-ბარსელონა.
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.
**23:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**I არხი**

**17:55** ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ზესტაფონი-დილა (LIVE).

**23 სექტემბერი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ფლუმინენსე-ნაუტიკო.
**12:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
**13:00** პროგამა - იმედის ფსონი.
**14:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**14:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VI ტური. დენ ჰააგი-აიაქსი (LIVE).
**16:30** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. ლივერპული-მანჩესტერ იუნ (LIVE).
**18:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. მანჩესტერ სიტი-არსენალი (LIVE).
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. V ტური. ტოტენჰემი-ქუინზ პარკი.
**23:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ბოტაფოგო-კორინთიანსი (LIVE).
**01:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
**01:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ატლეტიკო (მნ)-გრემიო (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ჰამბურგი-დორტმუნდი.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. შარლოტი-ნიუ იორკი.
**14:15** პროგამა - იმედის ფსონი.
**15:15** ჩოგბურთის ლეგენდები - როჯერ ფედერერი.
**17:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ლევერკუზენი-ბორუსია (მ) (LIVE).
**19:30** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ვერდერი-შტუტგარტი (LIVE).
**21:25** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:10** არგენტინის ჩემპიონატი. VIII ტური. რივერ პლეიტი-რასინგი (LIVE).
**00:10** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
**01:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. შარლოტი-ნიუ იორკი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.
**12:30** რაგბი. ექვსი ერის თასი. უელსი-საფრანგეთი.
**14:30** კალათბურთი. ევროლიგა. კანტუ-მაკაბი.
**16:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VI ტური. ტვენტე-ჰერენვეენი (LIVE).
**18:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. VI ტური. ეინდჰოვენი-ფეიენოორდი (LIVE).
**20:30** რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-ირლანდია.
**22:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 29 | (მზე) |
| ქუთაისი | 20 | 29 | (წვიმა) |
| ბათუმი | 18 | 27 | (წვიმა) |
| ფოთი | 21 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ზუგდიდი | 19 | 27 | (წვიმა) |
| გორი | 15 | 29 | (წვიმა) |
| თელავი | 15 | 31 | (მზე) |
| სიღნაღი | 19 | 27 | (წვიმა) |
| ქობულეთი | 19 | 26 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 8 | 25 | (წვიმა) |
| ბორჯომი | 9 | 27 | (წვიმა) |
| მესტია | 9 | 20 | (მცირე წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1441 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6548 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6799 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2407 |

ფორმულა 1



სათამაშო ფერარი

## სათამაშოა თუ ნამდვილი?

იმ გულშემატკივრებს, რომლებიც წელს სინგაპურის გრანპრის ესწრებიან, საშუალება ექნებათ იხილონ არა მხოლოდ ფორმულა 1-ის ნამდვილი მანქანები, არამედ ნატურალური სიდიდის სათამაშო „ფერარი". ის მთლიანად Lego-ის კონსტრუქტორისგან არის აწყობილი.

16 გამოცდილი პროფესიონალისგან შემდგარმა ბრიგადამ შექმნა შარშანდელი Ferrari 150° Italia. ეს აქცია ერთობლივად მოაწყვეს სანავთობო გიგანტმა Shell-მა და დანიურმა კომპანია Lego-მ. პროექტის განხორციელებას დაახლოებით ნახევარი წელი დასჭირდა, თუმცა ამ დროის 99 პროცენტი დაგეგმვაში დაიხარჯა, შემდეგ კი მანქანა რამდენიმე ასეული ათასი ნაწილისგან 10 დღეში ააწყვეს. ისინი წინასწარ შექმნილ ფოლადის კარკასზე დაამაგრეს.

ავტომობილზე დაყენებულია „პირელის" ნამდვილი სარბოლო საბურავები, სავარძელიც ნამდვილია და მასში თავისუფლად მოთავსდება მრბოლელი. რაც შეეხება საჭეს, ისიც მთლიანად საბავშვო კონსტრუქტორის დეტალებისგან არის აწყობილი.

ათი დღის განმავლობაში, სათამაშო Ferrari 150° Italia სინგაპურის ქუჩებში იქნება გამოფენილი იმ სარეკლამო აქციის ფარგლებში, რომელსაც Shell ატარებს: ყველა, ვინც საწვავის ავზს ამ ჰოლანდიურ-ბელგიური კომპანიის ადგილობრივ გასამართ სადგურებში აავსებს, ამ მანქანის მინიატურულ მოდელს მიიღებს.

კალათბურთი

## ყველაზე მდიდარი ფლორიდელი

"მაიამი ჰიტის" მფლობელი **მიკი არისონი** ფლორიდას შტატის ყველაზე მდიდარი მაცხოვრებელია. მისი ქონება ხუთ მილიარდ დოლარად არის შეფასებული, - წერს ამერიკული პრესა. ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში არისონი 68-ე ადგილს იკავებს. "მაიამის" გარდა, ეს ბიზნესმენი მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს მულტიეროვნულ კრუიზულ კომპანიას ხელმძღვანელობს.

სხვათა შორის, 2011 წლის მონაცემებით, არისონი 4.2 მილიარდის მფლობელი იყო. შეგახსენებთ, რომ "მაიამი" 2011-12 წლების სეზონში ჩემპიონი გახდა.



მარჯვნივ მიკი არისონი

ჩოგბურთი



რაფა ნადალი

## მხოლოდ გოლფი

ესპანელმა ჩოგბურთელმა **რაფაელ ნადალმა** თავის „ტვიტერზე" დაწერა იმის შესახებ, რომ იძულებითი პაუზის დროს, მხოლოდ გოლფის თამაშის უფლება აქვს. შეგახსენებთ, რომ ჯერაც გაურკვეველია, მუხლის ტრავმის გამო როდის დაუბრუნდება კორტს მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი.

*„ახლა, სპორტის ერთადერთი სახეობით ვარ დაკავებული. სხვა არაფრის უფლებას არ მაძლევენ. ეს ექიმების ბრძანებაა. თუმცა ასეთ მინდორზე თამაში ყველას მოუნდებოდა"*, - წერს ნადალი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608